IFAB

თამაშის წესები

21/22

THIS TRANSLATION HAS BEEN PREPARED AND APPROVED BY THE GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

თარგმანი მომზადებული და დამტკიცებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ

ჩამოტვირთვა

Laws of the Game App

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD

FA WALES

FIFA®

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD

IFAB

თამაშის წესები

2021/22

The International Football Association Board
Münstergasse 9, 8001 Zurich, Switzerland
T: +41 (0)44 245 1886, F: +41 (0)44 245 1887
www.theifab.com

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭოს (IFAB) ნებართვის გარეშე არ შეიძლება წინამდებარე ბუკლეტის ნებისმიერი სახით გამრავლება ან თარგმნა, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ.

ძალაშია 2021 წლის 1 ივლისიდან

სარჩევი

წესების შესახებ 9

შენიშვნები და მოდიფიკაციები 16

შენიშვნები თამაშის წესებზე 17

ზოგადი მოდიფიკაციები 20

სახელმძღვანელო დროებით გაძევებისთვის (SIN BINS) 22

სახელმძღვანელო უკუშეცვლებისთვის 26

თამაშის წესები 2021/22 29

1 სათამაშო მოედანი 31

2 ბურთი 41

3 მოთამაშეები 45

4 მოთამაშეთა ეკიპირება 53

5 მსაჯი 59

6 მატჩის სხვა ოფიციალური პირები 69

7 მატჩის ხანგრძლივობა 77

8 თამაშის დაწყება და განახლება 81

9 ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ 85

10 მატჩის შედეგის განსაზღვრა 87

11 თამაშგარე 93

12 წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი 97

13 საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები 113

14 11 მ დარტყმა 117

15 ბურთის შემოგდება 123

16 კარიდან დარტყმა 127

17 კუთხური დარტყმა 131

მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი 134

FIFA-ს ხარისხის პროგრამა 147

ცვლილებები წესებში 2021/22 150

წესებში ცვლილებების მოკლე მიმოხილვა 151

წესებში ყველა ცვლილების დეტალები 153

ლექსიკონი 168

საფეხბურთო ორგანიზაციები 169

საფეხბურთო ტერმინები 170

სამსაჯო ტერმინები 180

მატჩის ოფიციალური პირების პრაქტიკული სახელმძღვანელო 182

შესავალი 183

პოზიციის შერჩევა, მოძრაობა და გუნდური მუშაობა 184

სხეულის ენა, კომუნიკაცია და სასტვენი 198

სხვა რჩევები 204

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD

თამაშის წესების შესახებ

წესების ფილოსოფია და სულისკვეთება

ფეხბურთი სპორტის უდიდესი სახეობაა დედამიწაზე. ყველა ქვეყანაში და ბევრ სხვადასხვა დონეზე თამაშობენ მას. ის ფაქტი, რომ თამაშის წესები ფეხბურთისთვის ერთნაირია მთელს მსოფლიოში, დაწყებული FIFA-ს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიდან, დამთავრებული პატარა ბავშვებს შორის მატჩით შორეულ სოფელში, წარმოადგენს მნიშვნელოვან უპირატესობას, რომელიც ფეხბურთის სასიკეთოდ ყველგან უნდა იქნას გამოყენებული.

ფეხბურთს უნდა ჰქონდეს წესები, რომლებიც შეინარჩუნებენ თამაშის სამართლიანობას – ეს არის უმნიშვნელოვანესი საფუძველი ამ „მშვენიერი თამაშის“ და „თამაშის სულისკვეთების“ სასიცოცხლოდ აუცილებელი თვისება. საუკეთესოა ის მატჩები, სადაც მსაჯი იშვიათად არის საჭირო, ვინაიდან მოთამაშეები პატივისცემით თამაშობენ ერთმანეთის, მატჩის ოფიციალური პირებისა და წესების მიმართ.

ფეხბურთის წესები სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით საკმაოდ მარტივია. თუმცა, ვინაიდან ბევრი სიტუაცია „სუბიექტურია“, ხოლო მსაჯები ცოცხალი ადამიანები არიან, ზოგიერთი გადაწყვეტილებები გარდაუვლად მცდარი იქნება ან გამოიწვევს დებატებს და დისკუსიებს. ზოგიერთი ადამიანისთვის ეს დისკუსიები თამაშისგან მიღებული სიამოვნების და მისი მიმზიდველობის ნაწილია, თუმცა მიუხედავად იმისა სწორია თუ არა გადაწყვეტილებები, თამაშის „სულისკვეთება“ მოითხოვს, რომ მსაჯების გადაწყვეტილებებს ყოველთვის პატივი სცენ. ყველა მათგანი, ვისაც აქვს გავლენა გუნდებზე, განსაკუთრებით მწვრთნელებს და კაპიტნებს, გააჩნიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა თამაშის მიმართ, რათა მატჩის ოფიციალურ პირებს და მათ გადაწყვეტილებებს პატივი სცენ.

წესებს არ შეუძლია ყველა შესაძლო სიტუაციასთან გამკლავება. ამიტომ იმ შემთხვევებში, როდესაც წესებში არ არსებობს პირდაპირი მითითება მოქმედებაზე, IFAB-ის მოლოდინია, რომ მსაჯი გადაწყვეტილებებს გამოიტანს თამაშის და წესების „სულისკვეთების“ გათვალისწინებით – ეს ხშირად გულისხმობს, რომ დაისვას კითხვა: „რა სურს ან რას ელოდება ფეხბურთი?

წესებმა ასევე უნდა უზრუნველყონ მოთამაშეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობის შენარჩუნება. მოთამაშეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება განვლილ წლებში წარმოადგენდა გარკვეული ცვლილებების მიღების მამოძრავებელ ძალას, როგორიც არის დამატებით დროში კიდევ ერთი შეცვლის განხორციელების შესაძლებლობა და შესვენებების შემოღება, რათა მოთამაშეებმა შეძლონ წყლის დალევა და გაგრილება.

ამასთან ერთად, კოვიდ-19 პანდემიის საპასუხოდ, მე-3 წესში შემოღებული იქნა დროებითი ცვლილება, რომელიც ყველაზე მაღალი დონის შეჯიბრებებს აძლევს არჩევანის უფლებას გაზარდონ შეცვლების რაოდენობა სამიდან ხუთამდე. ასევე დაწყებულია დამატებითი ცვლილების გამოცდა, როდესაც ადგილი აქვს ტვინის შერყევას, რათა გუნდებმა პირველ რიგში იზრუნონ მოთამაშის ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე, რომელმაც მიიღო ან სავარაუდოდ მიიღო ტვინის შერყევა, და ამავე დროს არ შეექმნათ პრობლემები გუნდის რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნის გამო.

უბედური შემთხვევები გარდაუვალია, თუმცა თამაშის წესები მიმართულია იმისკენ, რომ თამაში გახადოს რაც შეიძლება უსაფრთხო, მოთამაშეთა ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სპორტულ სამართლიანობას შორის ბალანსის შენარჩუნებით. ეს მოითხოვს, რომ მსაჯებმა გამოიყენონ წესები, რათა მტკიცედ გაუმკლავდნენ იმ მოთამაშეებს, რომელთა მოქმედებები არის ზედმეტად აგრესიული ან სახიფათო. საფრთხის შემცველი თამაშის მიუღებლობა წესებში განმტკიცებულია ისეთ სადისციპლინო ფრაზებში, როგორიც არის „გაუაზრებელი ორთაბრძოლა“, „ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას“ ან „გადაჭარბებულ ძალის გამოყენება“.



წესებში ცვლილებების მართვა

ფეხბურთი უნდა დარჩეს მიმზიდველი და სიხარული მიანიჭოს მოთამაშეებს, ოფიციალური პირებს და მწვრთნელებს, ისევე როგორც მაყურებლებს, გულშემატკივრებს და მმართველებს, ასაკის, სქესის, რასის, რელიგიის, კულტურის, ეთნიკურობის, სექსუალური ორიენტაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის განურჩევლად.

შესაბამისად, წესებში ცვლილებების შეტანამდე, IFAB-ი და მისი ყველა ორგანო, რომლებიც მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უნდა დარწმუნდნენ, რომ ცვლილება სასარგებლო იქნება თამაშისთვის. ზოგჯერ ეს ნიშნავს, რომ საჭიროა შესაძლო ცვლილების ტესტირება.

წესებში ცვლილების შეტანის ყოველ წინადადებაში ძირითადი ყურადღება ეთმობა სამართლიანობას, პატიოსნებას, პატივისცემას, უსაფრთხოებას, მონაწილეთა და გულშემატკივართა სიამოვნებას და სადაც ეს შესაძლებელია, ტექნოლოგიის გამოყენებას თამაშის გაუმჯობესებისთვის.

IFAB-ი გააგრძელებს მსოფლიო საფეხბურთო ოჯახთან თანამშრომლობას, რათა წესებში ცვლილებებმა სარგებლობა მოუტანოს ფეხბურთს ყველა დონეზე და მსოფლიოს ყველა კუთხეში, და რომ თამაშის სისუფთავე, წესები და მსაჯები იყვნენ პატივცემული, დაფასებული და დაცული.

მომავალი

2021 და 2022 წლებში IFAB-ი გააგრძელებს მუშაობას და ფართო კონსულტაციებს მრჩეველთა საბჭოებთან, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით მოთამაშეთა ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე პანდემიის პირობებში და „ტვინის შერყევის შემთხვევაში შეცვლების“ ტესტირების შედეგებზე.

IFAB-თვის დიდი სიამოვნებაა ითანამშრომლოს ადამიანებთან მსოფლიოს ყველა კუთხიდან და ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით ვიღებთ წინადადებებს ან კითხვებს თამაშის წესებთან დაკავშირებით. მართლაც, წესებში ბევრი ბოლო ცვლილება ინიცირებული იქნა ადამიანების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ეს თანამშრომლობა გახდება უფრო მარტივი და აქტიური, ასე რომ გთხოვთ, დეტალები შეამოწმოთ ჩვენს ვებ-გვერდზე: **www.theifab.com**

გთხოვთ, გააგრძელეთ თქვენი წინადადებების, იდეების და კითხვების გამოგზავნა შემდეგ მისამართზე: **lawenquiries@theifab.com**.



შენიშვნები და მოდიფიკაციები

შენიშვნები თამაშის წესებზე

ოფიციალური ენები
IFAB-ი თამაშის წესებს გამოსცემს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. თუ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ტექსტებს შორის, საჭიროა ინგლისურ ენაზე გამოცემით ხელმძღვანელობა.

სხვა ენები
ეროვნულ ასოციაციებს, რომლებიც თარგმნიან თამაშის წესებს, 2021/22 წლების გამოცემის თარგის მიღება IFAB-გან შეუძლია
შემდეგ მისამართზე: **info@theifab.com**.

ეროვნული ასოციაციები, რომლებიც გამოსცემენ თამაშის წესების თარგმნილ ვერსიას ამ ფორმატის გამოყენებით, შეუძლიათ გაუგზავნონ ასლი IFAB-ის (სატიტულო გვერდზე ნათელი განმარტებით, რომ ეს არის ეროვნული ასოციაციის ოფიციალური თარგმანი), რათა მოხდეს მისი IFAB-ის ვებ-გვერდზე განთავსება საერთო გამოყენების მიზნით.

გაზომვები
თუ არსებობს რაიმე სხვაობა ერთეულთა მეტრულ და იმპერიულ სისტემებს შორის, სავალდებულოა მეტრული სისტემით სარგებლობა.

წესების გამოყენება
ყოველ კონფედერაციაში, ქვეყანაში, ქალაქსა და სოფელში ჩატარებულ ყოველ მატჩში გამოიყენება თამაშის ერთი და იგივე წესები და გარდა IFAB-ის მიერ ნებადართული მოდიფიკაციებისა (იხ. „ზოგადი მოდიფიკაციები“), წესები არ უნდა იქნას მოდიფიცირებული ან შეცვლილი. გამონაკლისი შესაძლებელია IFAB-ის ნებართვით.

მათ, ვისაც მატჩის ოფიციალური პირების და თამაშის სხვა მონაწილეთა სწავლა-განათლება ევალებათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ:

- მსაჯებმა წესები უნდა გამოიყენონ თამაშის „სულისკვეთების“ გათვალისწინებით, რათა ხელი შეუწყონ სამართლიან და უსაფრთხო მატჩებს
- ყველამ პატივი უნდა სცეს მატჩის ოფიციალურ პირებს და მათ გადაწყვეტილებებს, არ დაივიწყონ და პატივი სცენ, რომ მსაჯები ადამიანები არიან და შეცდომებს დაუშვებენ

მოთამაშეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა თამაშის იმიჯის მიმართ, და გუნდის კაპიტანმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს წესების და მსაჯების გადაწყვეტილებების პატივისცემა.

აღნიშვნები

მთავარი ცვლილებები წესებში ხაზგასმულია ყვითლად და გამოყოფილია მინდვრებზე. სარედაქციო ცვლილებები ხაზგასმულია.

ზოგადი მოდიფიკაციები

თამაშის წესების უნივერსალობა ნიშნავს, რომ თამაში არსებითად იგივეა მსოფლიოს ყველა კუთხეში და ყველა დონეზე. თამაშისთვის „სამართლიანი" და უსაფრთხო გარემოს შექმნის მხარდამხარ, წესებმა ასევე უნდა წაახალისოს თამაშით გატაცება და მისგან სიამოვნების მიღება.

ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ IFAB-ს ეროვნული ასოციაციებისთვის მინიჭებული ჰქონდა გარკვეული მოქნილობა, წესების ზოგიერთი „ორგანიზაციული" ნაწილის მოდიფიცირებისთვის ფეხბურთის გარკვეულ კატეგორიებში. თუმცა, IFAB-ი სრულიად დარწმუნებულია, რომ ეხლა ეროვნულმა ასოციაციებმა უნდა მიღონ მეტი შესაძლებლობები ფეხბურთის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შეცვლისთვის, თუ ეს სარგებლობას მოუტანს ფეხბურთს მათ საკუთარ ქვეყანაში.

ის, თუ როგორ თამაშობენ და მსაჯობენ ფეხბურთს, ერთნაირი უნდა იყოს მსოფლიოს ყველა სათამაშო მოედანზე, FIFA-ს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიდან, ყველაზე პატარა სოფელში მატჩამდე. თუმცა, ქვეყანაში ადგილობრივი ფეხბურთის საჭიროებებმა უნდა განსაზღვროს რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს თამაში, რამდენ ადამიანს შეუძლია თამაშში მონაწილეობის მიღება და როგორ დაისაჯოს ზოგიერთი არასამართლიანი საქციელი.

შედეგად, IFAB-ის 131-ე ყოველწლიურმა გენერალურმა სხდომამ, რომელიც გაიმართა ლონდონში 2017 წლის 3 მარტს, ერთხმად დაადგინა, რომ ამიერიდან ნაციონალურ ასოციაციებს (ასევე კონფედერაციებს და FIFA-ს) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიტანონ ცვლილებები ფეხბურთის თამაშის წესების ყველა ან ზოგიერთ ქვემოთ მოყვანილ ორგანიზაციულ ნაწილში, რისთვისაც ისინი პასუხისმგებელნი არიან:

ჭაბუკთა, ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მასობრივი ფეხბურთისთვის:

- სათამაშო მოედნის ზომა
- ბურთის ზომა, წონა ან მასალა, რომლისგანაც ის დამზადებულია
- ბოძებს შორის ან ძელიდან მიწის ზედაპირამდე მანძილი
- თამაშის ორი (თანაბარი) ტაიმის (და დამატებითი დროის ორი თანაბარი ტაიმის) ხანგრძლივობა
- უკუშეცვლების გამოყენება
- დროებით გაძევების გამოყენება ზოგიერთი/ყველა გაფრთხილებისთვის

ნებისმიერი დონისთვის, გარდა შეჯიბრებებისა უმაღლესი ლიგის კლუბების პირველი გუნდების ან "A" კატეგორიის ეროვნული გუნდების მონაწილეობით:

- შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც გუნდს უფლება აქვს გამოიყენოს არის ხუთი, ჭაბუკთა ფეხბურთის გარდა, სადაც მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იქნება ეროვნული ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს მიერ

ამის გარდა, ეროვნული ასოციაციებისთვის შემდგომი მოქნილობის მისანიჭებლად, რათა მათ სარგებლობა მოუტანონ და განავითარონ ადგილობრივი ფეხბურთი, IFAB-ის ყოველწლიურმა გენერალურმა სხდომამ დაამტკიცა შემდეგი ცვლილებები, რომლებიც ეხება ფეხბურთის „კატეგორიებს":

- ქალთა ფეხბურთი აღარ არის განცალკევებული კატეგორია და ამჟამად გააჩნია ისეთივე სტატუსი, როგორც მამაკაცთა ფეხბურთს
- ასაკობრივი შეზღუდვები ჭაბუკებისთვის და ვეტერანებისთვის გაუქმებულია – ეროვნულ ასოციაციებს, კონფედერაციებს და FIFA-ს გააჩნიათ მოქმედების თავისუფლება ამ კატეგორიებისთვის ასაკობრივი შეზღუდვების განსაზღვრისთვის
- ყოველი ეროვნული ასოციაცია თვითონ დაადგენს, თუ რომელი შეჯიბრებები ფეხბურთის ყველაზე დაბალ დონეებზე არის განსაზღვრული, როგორც „მასობრივი" ფეხბურთი

ნებართვები სხვა მოდიფიკაციებისთვის

ეროვნულ ასოციაციებს გააჩნიათ შესაძლებლობა დაამტკიცონ სხვადასხვა მოდიფიკაციები სხვადასხვა შეჯიბრებებისთვის – აუცილებელი არ არის მათი უნივერსალური გამოყენება ან ყოველი მათგანის გამოყენება. **თუმცა, IFAB-ის ნებართვის გარეშე სხვა მოდიფიკაციები არ არის ნებადართული.**

IFAB-ი სთხოვს ეროვნულ ასოციაციებს აცნობონ მას, თუ რა მოდიფიკაციები და რომელ დონეზე არის გამოყენებული, ვინაიდან ეს ინფორმაცია და განსაკუთრებით მიზეზი/მიზეზები, თუ რატომ არის მოდიფიკაციები გამოყენებული, შესაძლოა დაგვეხმაროს განვითარების იდეების/სტრატეგიების იდენტიფიცირებაში, რაც IFAB-ს შეუძლია გაუზიაროს სხვა ეროვნულ ასოციაციებს ფეხბურთის განვითარებაში დასახმარებლად.

IFAB-თვის ასევე უაღრესად საინტერესო იქნებოდა მოესმინა აზრი თამაშის წესების სხვა, შესაძლო მოდიფიკაციების შესახებ, რამაც შესაძლოა გაზარდოს თამაშში მონაწილეთა რაოდენობა, ფეხბურთი გახადოს უფრო მიმზიდველი და ხელი შეუწყოს მის განვითარებას მთელს მსოფლიოში.

სახელმძღვანელო დროებით გაძევებისთვის (SIN BINS)

IFAB-ის 131-ე ყოველწლიურმა გენერალურმა სხდომამ, რომელიც ჩატარდა ლონდონში 2017 წლის 3 მარტს, მოიწონა დროებით გაძევების (sin bins) გამოყენება ყველა ან ზოგიერთი გაფრთხილებისთვის/ყვითელი ბარათისთვის ჭაბუკთა, ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მასობრივ ფეხბურთში, შეჯიბრების ჩამტარებელი ეროვნული ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს თანხმობის შემთხვევაში.

მითითება დროებით გაძევებისთვის შეიძლება ნახოთ:

მე-5 წესში - მსაჯი (უფლებები და მოვალეობები): სადისციპლინო სანქცია

მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება უჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათები და, თუ შეჯიბრების დებულებით დაშვებულია, დროებით გააძევოს მოთამაშე მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედანზე ყოფნამდე, მათ შორის ტაიმებს შორის შესვენების, დამატებითი დროის და 11 მ ნიშნულიდან დარტყმების დროს.

დროებით გაძევებაა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას, რომელიც ისჯება გაფრთხილებით (ყვითელი ბარათით) და დაუყოვნებლივ არის დასჯილი თამაშის მომდევნო ნაწილში მონაწილეობის „შეჩერებით“. არსი მდგომარეობს იმაში, რომ „მყისიერ დასჯას" გააჩნია მნიშვნელოვანი და დაუყოვნებლივი ზეგავლენა დამრღვევ მოთამაშეზე და შესაძლოა, მოთამაშის გუნდზე.

ეროვნულმა ასოციაციამ, კონფედერაციამ ან FIFA-მ უნდა დაამტკიცოს დროებით გაძევების პროტოკოლი (შეჯიბრებების დებულებებში გამოსაქვეყნებლად) ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელოს ფარგლებში:

მხოლოდ მოთამაშეები

- დროებით გაძევება გამოიყენება მხოლოდ მოთამაშეების მიმართ (მათ შორის მეკარეების მიმართაც), მაგრამ არა სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშეების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს დარღვევები, რომლებიც ისჯება ყვითელი ბარათით

მსაჯის სიგნალი

- დროებით გაძევებას მსაჯი აღნიშნავს ყვითელი ბარათის ჩვენებით და შემდეგ ნათლად მიუთითებს, ორივე ხელის გამოყენებით, დროებით გაძევების ადგილისკენ (როგორც წესი, მოთამაშეთა ტექნიკური ზონისკენ)

დროებით გაძევების პერიოდი

- დროებით გაძევების ხანგრძლივობა ერთნაირია ყველა დარღვევისთვის
- დროებით გაძევების ხანგრძლივობა უნდა იყოს მთლიანი სათამაშო დროის 10 %-დან 15 %-მდე (მაგ.: 10 წუთი 90 წუთიან მატჩში; 8 წუთი 80 წუთიან მატჩში)
- დროებით გაძევების პერიოდი იწყება, როდესაც თამაში განახლდება მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის დატოვების შემდეგ
- მსაჯმა დროებით გაძევების პერიოდში უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი დრო, რომელიც „დაიკარგა“ თამაშის შეჩერებაზე, რითვისაც „დამატებული დრო“ დაშვებული იქნება ყოველი ტაიმის ბოლოს (მაგ.: შეცვლა, ტრავმა და ა.შ.)
- შეჯიბრების დებულებამ უნდა განსაზღვროს, თუ ვინ დაეხმარება მსაჯს გაძევების პერიოდის აღრიცხვაში - ის შეიძლება იყოს დელეგატი, სათადარიგო მსაჯი ან ნეიტრალური მსაჯის ასისტენტი; მეორეს მხრივ, ის შეიძლება იყოს გუნდის ოფიციალური პირი
- როგორც კი დროებით გაძევების პერიოდი დასრულდება, მოთამაშეს შეუძლია დაბრუნდეს გვერდითი ხაზიდან მსაჯის ნებართვით, რომელიც მან შეიძლება მისცეს ბურთის თამაშში ყოფნისას
- მსაჯს გააჩნია საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება, თუ როდის შეიძლება დაბრუნდეს მოთამაშე სათამაშო მოედანზე
- დროებით გაძევებული მოთამაშე არ შეიძლება იყოს შეცვლილი დროებით გაძევების პერიოდის დასრულებამდე (თუ გუნდმა არ გამოიყენა ყველა საკუთარი ნებადართული შეცვლა)
- თუ დროებით გაძევების პერიოდი არ იქნა დასრულებული პირველი ტაიმის ბოლოსთვის (ან მეორე ტაიმის ბოლოსთვის, როდესაც დამატებითი დრო უნდა იქნას დანიშნული), დროებით გაძევების პერიოდის დარჩენილი ნაწილი უნდა გაგრძელდეს მეორე ტაიმის დასაწყისიდან (დამატებითი დროის დასაწყისიდან)
- მოთამაშეს, რომლის დროებით გაძევების პერიოდი არ არის ამოწურული მატჩის დასრულებისას, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს 11 მ დარტყმების შესრულებაში

დროებით გაძევების ზონა

- დროებით გაძევებული მოთამაშე უნდა დარჩეს ტექნიკურ ზონაში (თუ ასეთი არსებობს) ან გუნდის მწვრთნელთან/ტექნიკურ პერსონალთან, თუ არ მონაწილეობს მოთელვაში (იმ პირობებში, როგორც სათადარიგო მოთამაშეები)

დარღვევები დროებით გაძევების დროს

- დროებით გაძევებული მოთამაშე, რომელიც ჩაიდენს ყვითელი ან წითელი ბარათით დასჯად დარღვევას მისი დროებით გაძევების პერიოდის განმავლობაში, შემდგომ აღარ მიიღებს მონაწილეობას მატჩში და ვერ იქნება ჩანაცვლებული ან შეცვლილი

შემდგომი სადისციპლინო სანქციები

- შეჯიბრებებმა/ეროვნულმა ასოციაციებმა უნდა განსაზღვრონ მოხსენდეს თუ არა დროებით გაძევება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს და განხორციელდეს თუ არა რაიმე შემდგომი სადისციპლინო სანქციები, მაგ.: მონაწილეობის შეჩერება გარკვეული რაოდენობის დროებით გაძევებების დაგროვებისთვის, როგორც გაფრთხილებების (ყვითელი ბარათების) შემთხვევაში

დროებით გაძევების სისტემები

შეჯიბრებებში შეიძლება გამოიყენებული იქნას ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი დროებით გაძევების სისტემებიდან:

- სისტემა „A“ – ყოველი გაფრთხილებისთვის (ყვითელი ბარათისთვის)
- სისტემა „B“ – ზოგიერთი გაფრთხილებისთვის (ყვითელი ბარათისთვის)

სისტემა „A“ - დროებით გაძევება ყოველი გაფრთხილებისთვის (ყვითელი ბარათისთვის)

- ყველა გაფრთხილება (ყვითელი ბარათი) ისჯება დროებით გაძევებით
- მოთამაშე, რომელიც მიიღებს მე-2 გაფრთხილებას (ყვითელ ბარათს) იმავე მატჩში:
    - მიიღებს მეორე დროებით გაძევებას და შემდგომ ვეღარ მიიღებს მონაწილეობას მატჩში
    - შეიძლება იქნას ჩანაცვლებული სათადარიგო მოთამაშით მეორე დროებით გაძევების პერიოდის დასრულებისას, თუ მოთამაშის გუნდმა არ გამოიყენა ამ მომენტისთვის შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა (იმის გამო, რომ გუნდი უკვე იქნა „დასჯილი“ იმით, რომ თამაშობდა ამ მოთამაშის გარეშე დროებით გაძევების 2 პერიოდის განმავლობაში)

სისტემა „B“ - დროებით გაძევება ზოგიერთი გაფრთხილებისთვის (ყვითელი ბარათისთვის)*

- დარღვევების გარკვეული სია, რომლებიც ისჯება გაფრთხილებით (ყვითელი ბარათით), დაისჯება დროებით გაძევებით
- ყველა სხვა, გაფრთხილებით (ყვითელი ბარათით) დასჯადი დარღვევები, დაისჯება გაფრთხილებით (ყვითელი ბარათით)
- მოთამაშე, რომელიც დროებით იყო გაძევებული და შემდეგ მიიღებს გაფრთხილებას (ყვითელ ბარათს), აგრძელებს თამაშს
- მოთამაშეს, რომელმაც მიიღო გაფრთხილება (ყვითელი ბარათი) და შემდეგ იღებს დროებით გაძევებას, შეუძლია თამაშის გაგრძელება დროებით გაძევების პერიოდის დასრულების შემდეგ
- მოთამაშე, რომელიც იღებს მეორე დროებით გაძევებას იმავე მატჩში, მოიხდის მეორე სასჯელს და შემდგომ ვეღარ მიიღებს მონაწილეობას მატჩში. მოთამაშე შეიძლება ჩანაცვლებული იქნას სათადარიგო მოთამაშით მეორე დროებით გაძევების პერიოდის დასრულებისას, თუ ამ მომენტისთვის მოთამაშის გუნდმა არ გამოიყენა შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა. მაგრამ, მოთამაშე, რომელმაც ასევე მიიღო ყვითელი ბარათი (რომელიც არ ისჯება დროებით გაძევებით), არ შეიძლება იქნას ჩანაცვლებული ან შეცვლილი
- მოთამაშე, რომელიც იღებს მეორე გაფრთხილებას (ყვითელ ბარათს) იმავე მატჩში, იქნება გაძევებული და ვეღარ მიიღებს შემდგომ მონაწილეობას მატჩში და ვერ იქნება ჩანაცვლებული/შეცვლილი

**ზოგიერთი შეჯიბრებისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს დროებით გაძევების გამოყენება მხოლოდ გაფრთხილებებისთვის (ყვითელი ბარათებისთვის) ისეთ დარღვევებზე, რომლებიც ეხება „არაშესაფერის“ ქცევას, მაგ.:*

- *სიმულაცია*
- *მეტოქე გუნდისთვის მატჩის განახლებაში განზრახ ხელის შეშლა*
- *უთანხმოების გამოხატვა ან სიტყვიერი კომენტარები ან ჟესტები*
- *იმედისმომცემი შეტევის ჩაშლა შეკავებით, მოქაჩვით, ბიძგით ან ბურთზე ხელით თამაშით*
- *დამრტყმელი იყენებს აკრძალულ ცრუ მოძრაობებს 11 მ დარტყმისას*

სახელმძღვანელო უკუშეცვლებისთვის

IFAB-ის 131-ე ყოველწლიურ გენერალურ სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, რომელიც ჩატარდა ლონდონში 2017 წლის 3 მარტს, თამაშის წესები ნებას რთავს უკუშეცვლების გამოყენებას ჭაბუკთა, ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მასობრივ ფეხბურთში, შეჯიბრების ჩამტარებელი ეროვნული ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს თანხმობის შემთხვევაში.

მითითება უკუშეცვლებზე შეიძლება ნახოთ:

მე-3 წესში - მოთამაშეები (შეცვლების რაოდენობა):

უკუშეცვლები

- ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია უკუშეცვლების გამოყენება ჭაბუკთა, ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მასობრივ ფეხბურთში.

„უკუშეცვლის სათადარიგო მოთამაშე“ არის მოთამაშე, რომელმაც უკვე ითამაშა მატჩში და შეცვლილი იქნა (შეცვლილი მოთამაშე) და მოგვიანებით ბრუნდება მატჩში სათამაშოდ სხვა რომელიმე მოთამაშის ჩანაცვლებით.

შეცვლილი მოთამაშისთვის მატჩში სათამაშოდ მოედანზე დაბრუნების ნებართვასთან ერთად, უკუშეცვლის სათადარიგო მოთამაშის მიმართ გამოიყენება მე-3 წესის და თამაშის წესების მოთხოვნები. კერძოდ, დაცული უნდა იყოს მე-3 წესში აღწერილი შეცვლის პროცედურა.



IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD

თამაშის წესები

2021/22

IFAB

წესი 1



IFAB

სათამაშო მოედანი

1. მოედნის საფარი

სათამაშო მოედნის საფარი უნდა იყოს მთლიანად ბუნებრივი ან, თუ ნებადართულია შეჯიბრების დებულების მიერ, მთლიანად ხელოვნური, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შეჯიბრების დებულებით ნებადართულია ხელოვნური და ბუნებრივი მასალების ინტეგრირებული კომბინაცია (ჰიბრიდული სისტემა).

ხელოვნური საფარი უნდა იყოს მწვანე ფერის.

FIFA-ს წევრი ასოციაციების წარმომადგენელ გუნდებს შორის შეჯიბრებებში ან საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში გამოყენებული ხელოვნური საფარი უნდა აკმაყოფილებდეს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას საფეხბურთო საფარისთვის“, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გაცემულია IFAB-ის სპეციალური ნებართვა.

2. მოედნის დახაზვა

სათამაშო მოედანი უნდა იყოს მართკუთხა ფორმის, უწყვეტი და უსაფრთხო ხაზებით მონიშნული; ბუნებრივი მოედნების დასახაზად შესაძლოა გამოყენებულ იქნას ხელოვნური სათამაშო საფარის მასალა, იმ პირობით, რომ ის არ არის სახიფათო. ეს ხაზები ეკუთვნის იმ ფართობს, რომელსაც შემოსაზღვრავენ.

სათამაშო მოედანი მხოლოდ წესი 1-ში მითითებული ხაზებით უნდა იყოს მონიშნული. თუ გამოყენებულია ხელოვნური საფარი, სხვა ხაზების არსებობა დასაშვებია, იმ პირობით, რომ ისინი განსხვავებული ფერის არიან და მკვეთრად განსხვავდებიან საფეხბურთო ხაზებისგან.

მოედნის შემომსაზღვრელი ორი უფრო გრძელი ხაზი არის გვერდითი ხაზი. ორი უფრო მოკლე ხაზი არის კარის ხაზი.

სათამაშო მოედანი გაყოფილია ორ ნაწილად შუა ხაზით, რომელიც აკავშირებს გვერდითი ხაზების შუა წერტილებს.

ცენტრის ნიშნული აღნიშნულია შუა ხაზის ცენტრში. მის ირგვლივ შემოხაზულია წრე 9.15 მ (10 იარდი) რადიუსით.



- ზომები აიღება ხაზების გარეთა საზღვრიდან, ვინაიდან ყოველი ხაზი არის იმ არეალის ნაწილი, რომელსაც შემოსაზღვრავს
- 11 მ ნიშნული იზომება ნიშნულის ცენტრიდან კარის ხაზის გარე საზღვრამდე

შესაძლებელია მოედნის მონიშვნა მის საზღვრებს გარეთ, კუთხური რკალიდან 9.15 მ (10 იარდი) დაშორებით, კარის ხაზისა და გვერდითი ხაზის მართობულად.

ყველა ხაზი უნდა იყოს ერთნაირი სიგანის და არ უნდა აღემატებოდეს 12 სმ (5 დუიმი). კარის ხაზების სიგანე უნდა იყოს კარის ბოძების და ძელის სიგანის ტოლი.

მოთამაშე, რომელიც გაავლებს აკრძალულ ხაზებს სათამაშო მოედანზე, გაფრთხილებული უნდა იყოს არასპორტული საქციელისთვის. თუ მსაჯი შეამჩნევს, რომ ეს გაკეთდა თამაშის მსვლელობისას, მოთამაშე გაფრთხილებული იქნება ბურთის თამაშიდან გასვლისთანავე.

3. ზომები

გვერდითი ხაზი კარის ხაზზე გრძელი უნდა იყოს.

- სიგრძე (გვერდითი ხაზი):
  არანაკლებ 90 მ (100 იარდი)
  არაუმეტეს 120 მ (130 იარდი)
- სიგანე (კარის ხაზი):
  არანაკლებ 45 მ (50 იარდი)
  არაუმეტეს 90 მ (100 იარდი)

<u>შეჯიბრების ჩამტარებელმა გვერდითი და კარის ხაზის სიგრძე შეიძლება განსაზღვროს ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში.</u>

4. ზომები საერთაშორისო მატჩებისთვის

- სიგრძე (გვერდითი ხაზი):
  არანაკლებ 100 მ (110 იარდი)
  არაუმეტეს 110 მ (120 იარდი)
- სიგანე (კარის ხაზი):
  არანაკლებ 64 მ (70 იარდი)
  არაუმეტეს 75 მ (80 იარდი)

შეჯიბრების ჩამტარებელმა გვერდითი და კარის ხაზის სიგრძე შეიძლება განსაზღვროს ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში.

5. კარის მოედანი

კარის ორივე ბოძის შიდა მხრიდან კარის ხაზის გასწვრივ გადაიზომება 5.5 მ (6 იარდი), საიდანაც მოედნის სიღრმეში, კარის ხაზის მართობულად გაივლება ორი ხაზი, რომლებიც 5.5 მ (6 იარდი) მანძილზე შეერთდება კარის ხაზის პარალელური ხაზით. ამ ხაზებით და კარის ხაზით შემოსაზღვრული ფართობი არის კარის მოედანი.

6. საჯარიმო მოედანი

კარის ორივე ბოძის შიდა მხრიდან კარის ხაზის გასწვრივ გადაზომილია 16.5 მ (18 იარდი), საიდანაც მოედნის სიღრმეში, კარის ხაზის მართობულად გავლებულია ორი ხაზი, რომლებიც 16.5 მ (18 იარდი) მანძილზე შეერთდება კარის ხაზის პარალელური ხაზით. ამ ხაზებით და კარის ხაზით შემოსაზღვრული ფართობი არის საჯარიმო მოედანი.

ყოველ საჯარიმო მოედანში აღინიშნება 11 მ ნიშნული – კარის ბოძებს შორის შუა წერტილიდან 11 მ (10 იარდი) მანძილზე და მათგან თანაბარი მანძილის დაშორებით.

ორივე საჯარიმო მოედნის გარეთ შემოივლება 9.15 მ (10 იარდი) რადიუსის რკალი, რომლის ცენტრს წარმოადგენს 11 მ ნიშნული.

7. კუთხური ზონა

კუთხური ზონა განსაზღვრულია 1 მ (1 იარდი) რადიუსის მეოთხედი რკალით, რომლებიც გავლებულია ყოველი კუთხური ფლაგშტოკიდან სათამაშო მოედნის შიგნით.



8. ფლაგშტოკები

მოედნის ყოველ კუთხეში განთავსებულია ფლაგშტოკები, არანაკლებ 1.5 მ (5 ფუტი) სიმაღლის, ოვალური ზედა ბოლოთი, რომლებზეც დამაგრებული უნდა იყოს ალმები.

კუთხური ფლაგშტოკები ასევე შეიძლება განთავსდეს მოედნის შუა ხაზის ორივე ბოლოში, გვერდითი ხაზიდან 1 მ (1 იარდი) დაშორებით.

9. ტექნიკური ზონა

ტექნიკური ზონა განკუთვნილია იმ მატჩებისთვის, რომლებიც ტარდება სტადიონებზე, სადაც არსებობს დასაჯდომი ადგილები გუნდების ოფიციალური პირების, სათადარიგო მოთამაშეებისა და შეცვლილი მოთამაშეებისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

- ტექნიკური ზონა გრძელდება დასაჯდომი ადგილიდან ორივე მხარეს
- ამ ზონის საზღვრების დასადგენად გამოყენებული უნდა იყოს ხაზები
- იმ პირების რაოდენობა, ვისაც უფლება აქვთ დაიკავონ ადგილები ტექნიკურ ზონაში, განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით
- ტექნიკურ ზონაში მყოფი პირები:
    - იდენტიფიცირებული უნდა იყვნენ მატჩის დაწყებამდე შეჯიბრების წესების შესაბამისად
    - უნდა მოიქცნენ შესაბამისი პასუხისმგებლობით
    - დარჩნენ მის საზღვრებში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, მაგ.: ფიზიოთერაპევტი/ექიმი შედის სათამაშო მოედანში, მსაჯის ნებართვით, დაშავებული მოთამაშის შემოწმების მიზნით
- მხოლოდ ერთ პირს აქვს უფლება ერთი და იმავე დროს ტექნიკური ინსტრუქციები მისცეს ტექნიკური ზონიდან

10. კარი

კარი განთავსებული უნდა იყოს ყოველი კარის ხაზის ცენტრში.

კარი შედგება ორი ვერტიკალური ბოძისგან, რომლებიც თანაბარი მანძილითაა დაშორებული კუთხური ალმებისგან და ზევით შეერთებულია ჰორიზონტალური ძელით. ბოძები და ძელი დამზადებული უნდა იყოს ნებადართული მასალისგან და არ უნდა იყოს სახიფათო. ორივე კარის ბოძები და ძელი უნდა იყოს ერთნაირი ფორმის, რომელიც უნდა იყოს კვადრატული, მართკუთხა, წრიული, ელიფსური ან ამ ფორმების ნარევი.

რეკომენდირებულია, რომ FIFA-ს ან კონფედერაციების ეგიდით ჩატარებულ ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოყენებული კარი პასუხობს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას საფეხბურთო კარისთვის“.

მანძილი ბოძების შიდა კონტურებს შორის არის 7.32 მ (8 იარდი), ხოლო მანძილი მიწის ზედაპირიდან ძელის ქვედა კონტურამდე არის 2.44 მ (8 ფუტი).

კარის ბოძების განლაგება კარის ხაზის მიმართ უნდა იყოს გრაფიკული ნახაზების მიხედვით.

ბოძები და ძელი უნდა იყოს თეთრი ფერის, უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე სიგანე და სიღრმე და ის არ უნდა აღემატებოდეს 12 სმ (5 დუიმი).

თუ ძელი დაზიანდა ან ჩამოვარდა, თამაში უნდა შეჩერდეს, ვიდრე ძელი არ შეკეთდება ან არ მოთავსდება თავის ადგილზე. თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით. თუ ვერ ხერხდება ძელის შეკეთება, მატჩი უნდა შეწყდეს. დაუშვებელია თოკის ან რაიმე მოქნილი ან საშიში მასალის გამოყენება ძელის ნაცვლად.

ბადე შესაძლებელია მიმაგრებული იყოს კარზე და კარის უკან მიწაზე; ის საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული და ხელს არ უნდა უშლიდეს მეკარეს.

უსაფრთხოება

ორივე კარი (მათ შორის გადასატანი კარი) მყარად უნდა იყოს დამაგრებული მიწაზე.

11. გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია (GLT)

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სისტემები შესაძლოა გამოყენებული იყოს იმის დასადგენად, გატანილი იქნა თუ არა გოლი და მსაჯის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის გამოყენება გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.



კარის ბოძების განლაგება კარის ხაზის მიმართ უნდა იყოს ქვემოთ მოცემული გრაფიკული ნახაზების მიხედვით

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის პრინციპები

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია გამოიყენება უშუალოდ კარის ხაზისთვის და მხოლოდ იმის დასადგენად, გატანილი იქნა თუ არა გოლი.

გატანილი გოლის ინდიკაცია უნდა იყოს მყისიერი და ავტომატურად დამოწმებული ერთი წამის ფარგლებში გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სისტემის საშუალებით მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირებისთვის (მსაჯის საათის მეშვეობით, ვიზუალური სიგნალის და ვიბრაციის დახმარებით). ის ასევე შეიძლება გადაცემული იქნას ვიდეოსაოპერაციო ოთახში.

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის მოთხოვნები და სპეციფიკაციები

თუ გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია გამოყენებულია შეჯიბრების მატჩებში, შეჯიბრების ორგანიზატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ სისტემა (მათ შორის კარის ფორმის ან ბურთში გამოყენებული ტექნოლოგიის ნებისმიერი შესაძლო დასაშვები მოდიფიკაცია) პასუხობს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიისთვის“.

თუ გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, მსაჯმა უნდა შეამოწმოს ტექნოლოგიის გამოსადეგობა მატჩამდე, როგორც ეს დადგენილია „ტესტირების სახელმძღვანელოში“. თუ ტექნოლოგია არ ფუნქციონირებს „ტესტირების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, მაშინ მსაჯმა არ უნდა გამოიყენოს გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სისტემა და უნდა მოახსენოს ამის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

12. კომერციული რეკლამა

დაუშვებელია ნებისმიერი სახის კომერციული რეკლამის - რეალურის ან ვირტუალურის - განთავსება სათამაშო მოედანზე, მიწის ზედაპირზე კარის ბადით შემოსაზღვრულ ზონაში, ტექნიკურ ზონაში ან მსაჯისთვის გამოყოფილ ვიდეოგადამოწმების ზონაში ან მიწის ზედაპირზე 1 მ-ზე (1 იარდი) უფრო ახლოს სათამაშო მოედნის შემომსაზღვრელი ხაზებიდან, გუნდების მოედანზე გასვლის მომენტიდან მოედნიდან გამოსვლამდე პირველი ტაიმის ბოლოს, მეორე ტაიმის სათამაშოდ გუნდების მოედანზე დაბრუნების მომენტიდან მატჩის დასრულებამდე. დაუშვებელია რეკლამის განთავსება კარზე, ბადეზე, კუთხური ალმის ფლაგშტოკებზე ან მათ ალმებზე. ასევე, დაუშვებელია ამ საგნებზე დამატებითი მოწყობილობების (კამერები, მიკროფონები და ა.შ.) დამაგრება.

ამის გარდა, ვერტიკალურ სიბრტყეში განთავსებული რეკლამა დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ:

- 1 მ-ით (1 იარდი) გვერდითი ხაზებიდან
- ისეთივე მანძილით კარის ხაზიდან, როგორიცაა კარის ბადის სიღრმე
- 1 მ-ით (1 იარდი) კარის ბადიდან

13. ლოგოტიპები და ემბლემები

სათამაშო დროის განმავლობაში აკრძალულია FIFA-ს, კონფედერაციების, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების, შეჯიბრებების, კლუბების ან მათი ორგანოების წამომადგენლობითი ლოგოტიპების ან ემბლემების - რეალურის ან ვირტუალურის - რეპროდუცირება სათამაშო მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას, კარის ბადეებზე და მათ მიერ შემოსაზღვრულ ზონაში, კარზე და კუთხურის ფლაგშტოკებზე. ისინი დაშვებულია ფლაგშტოკების ალმებზე.

14. მსაჯის ვიდეოასისტენტები (VAR's)

მატჩებში, სადაც გამოყენებულია მსაჯის ვიდეოასისტენტები, უნდა არსებობდეს „ვიდეოსაოპერაციო ოთახი“ (VOR) და, სულ მცირე, ერთი „მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონა“ (RRA).

ვიდეოსაოპერაციო ოთახი (VOR)

ვიდეოსაოპერაციო ოთახი წარმოადგენს მსაჯის ვიდეოასისტენტის, მისი ასისტენტის (AVAR) და გამეორების ოპერატორის (RO) სამუშაო ოთახს; ის შეიძლება იყოს სტადიონზე, სტადიონთან ახლოს ან უფრო შორ მანძილზე. მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ უფლება მატჩის დროს შევიდნენ ვიდეოსაოპერაციო ოთახში ან იყვნენ კომუნიკაციაში მსაჯის ვიდეოასისტენტთან, მის ასისტენტთან ან გამეორების ოპერატორთან.

მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე, შეცვლილი მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც შევა ვიდეოსაოპერაციო ოთახში, იქნება გაძევებული.

მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონა (RRA)

იმ მატჩებში, სადაც გამოყენებულია მსაჯის ვიდეოასისტენტი, უნდა არსებობდეს, მსაჯის ვიდეოგადამოწმების, სულ მცირე, ერთი ზონა, სადაც მსაჯი ახორციელებს ინციდენტების ვიდეოგადამოწმებას მოედანზე. მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონა უნდა იყოს:

- ხილულ ადგილას სათამაშო მოედნის გარეთ
- ნათლად მონიშნული

მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე, შეცვლილი მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც შევა მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონაში, იქნება გაფრთხილებული.

წესი 2

ბურთი

1. ხარისხი და პარამეტრები

ყველა ბურთი უნდა იყოს:

- სფერული ფორმის
- დამზადებული შესაბამისი მასალისაგან
- 68 სმ-დან (27 დუიმი) 70 სმ-მდე (28 დუიმი) გარშემოწერილობის
- 410 გრ-დან (14 უნცია) 450 გრ-მდე (16 უნცია) წონის მატჩის დაწყებისას
- 0.6-1.1 ატმოსფეროს (600-1,100 გრ/სმ^2) წნევის ზღვის დონეზე (8.5 კგძ/კვ.დ-15.6 კგძ/კვ. დ)

FIFA-ს ან კონფედერაციების ეგიდით ორგანიზებული ყველა ოფიციალური შეჯიბრების მატჩებში გამოყენებული ყველა ბურთი უნდა პასუხობდეს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას ბურთებისთვის“ და ატარებდეს ამ პროგრამის ერთ-ერთ ნიშანს.

ყოველი ნიშანი აჩვენებს, რომ ბურთმა გაიარა ოფიციალური შემოწმება და პასუხობს ამ ნიშნის განსაკუთრებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, დამატებით მე-2 წესში მოყვანილ მინიმალურ მახასიათებლებთან ერთად და დამტკიცებული უნდა იყოს IFAB-ის მიერ.

ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების შეჯიბრებებში შესაძლოა მოთხოვნილი იყოს ისეთი ბურთების გამოყენება, რომლებიც ატარებენ ამ ნიშნებიდან ერთ-ერთს.

იმ ოფიციალური შეჯიბრებების მატჩებში, რომლებიც ტარდება FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების ეგიდით, დაუშვებელია ბურთზე ყოველგვარი რეკლამის განთავსება, გარდა შეჯიბრების, შეჯიბრების ორგანიზატორის ლოგოტიპის/ემბლემის და ავტორიზებული დამამზადებლის სავაჭრო ნიშნისა. ასეთი ნიშნების ზომები და რაოდენობა შესაძლოა შეიზღუდოს შეჯიბრების დებულებით.

2. დაზიანებული ბურთის შეცვლა

თუ ბურთი დაზიანდა და გამოუსადეგარი გახდა:

- თამაში უნდა შეჩერდეს და
- განახლდეს „სადავო“ ბურთით

თუ ბურთი გამოუსადეგარი გახდა საწყისი დარტყმისას, კარიდან დარტყმისას, კუთხური დარტყმისას, საჯარიმო დარტყმისას, 11 მ დარტყმისას ან ბურთის შემოგდებისას, თამაშის განახლება უნდა გამეორდეს.

თუ ბურთი გამოუსადეგარი გახდა 11 მ დარტყმისას ან დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან, მისი წინ მოძრაობისას და ვიდრე ის შეეხო მოთამაშეს, ძელს აბ ბოძებს, 11 მ დარტყმა უნდა გამეორდეს.

მატჩის მსვლელობისას ბურთის შეცვლა მსაჯის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

3. დამატებითი ბურთები

დამატებითი ბურთები, რომლებიც პასუხობენ მე-2 წესის მოთხოვნებს, შეიძლება განთავსებული იქნას სათამაშო მოედნის გარშემო, ხოლო მათ გამოყენებას აკონტროლებს მსაჯი.

IFAB

წესი 3



IFAB

მოთამაშეები

1. მოთამაშეთა რაოდენობა

მატჩი ტარდება ორი გუნდის მონაწილეობით. თითოეულში მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არის თერთმეტი, მათ შორის ერთი მეკარეა. მატჩი არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს, თუ რომელიმე გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია.

თუ გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია იმის გამო, რომ ერთმა ან უფრო მეტმა მოთამაშემ განზრახ დატოვა სათამაშო მოედანი, მსაჯი არ არის ვალდებული შეაჩეროს მატჩი და შეუძლია გამოიყენოს უპირატესობა. მაგრამ, მატჩი არ შეიძლება გაგრძელდეს ბურთის თამაშიდან გასვლის შემდეგ, თუ გუნდს არ ჰყავს სულ მცირე შვიდი მოთამაშე.

თუ შეჯიბრების დებულების მიხედვით ყველა მოთამაშე და სათადარიგო მოთამაშე ჩაწერილი უნდა იყვნენ განაცხადში საწყისი დარტყმის შესრულებამდე და გუნდი იწყებს მატჩს თერთმეტზე ნაკლები მოთამაშით, მხოლოდ გუნდის განაცხადში ჩაწერილ მოთამაშეებს და სათადარიგო მოთამაშეებს შეუძლიათ მატჩში მონაწილეობის მიღება მატჩის ჩატარების ადგილას მისვლისთანავე.

2. შეცვლების რაოდენობა

ოფიციალური შეჯიბრებები

შეცვლების რაოდენობა – არაუმეტეს ხუთი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრების მატჩში, განსაზღვრული იქნება FIFA-ს, კონფედერაციის ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის მიერ, გარდა მამაკაცთა და ქალთა შეჯიბრებებისა უმაღლეს ლიგაში კლუბების პირველი გუნდების ან "A" კატეგორიის ეროვნული გუნდების მონაწილეობით, სადაც დაშვებულია არაუმეტეს სამი შეცვლა.

შეჯიბრების დებულებაში მითითებული უნდა იყოს:

- განაცხადში შესაყვანი სათადარიგო მოთამაშეების რაოდენობა – სამიდან თორმეტამდე
- შეიძლება თუ არა გამოყენებული იქნას ერთი დამატებითი შეცვლა, თუ მატჩი გრძელდება დამატებით დროში (იმის მიუხედავად, გამოიყენა თუ არა უკვე გუნდმა დაშვებული შეცვლების სრული რაოდენობა)

სხვა მატჩები
"A" კატეგორიის ეროვნული გუნდების მატჩებში შესაძლებელია არაუმეტეს თორმეტი სათადარიგო მოთამაშის შეყვანა განაცხადში, საიდანაც შესაძლებელია არაუმეტეს ექვსი მოთამაშის გამოყენება.

ყველა სხვა მატჩში შესაძლებელია მეტი რაოდენობის შეცვლების გამოყენება, იმ პირობით, რომ:

- გუნდები მიაღწევენ შეთანხმებას მაქსიმალურ რაოდენობაზე
- მსაჯი ინფორმირებულია მატჩამდე

თუ მსაჯი არ არის ინფორმირებული ან შეთანხმება არ არის მიღწეული მატჩის დაწყებამდე, დასაშვებია არაუმეტეს ექვსი შეცვლის გამოყენება.

უკუშეცვლები
ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია უკუშეცვლების გამოყენება ჭაბუკთა, ვეტერანთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მასობრივ ფეხბურთში.

3. შეცვლის პროცედურა

მატჩის დაწყებამდე მსაჯს უნდა წარედგინოს ყველა სათადარიგო მოთამაშის სახელი და გვარი. სათადარიგო მოთამაშე, რომლის სახელი და გვარი არ წარედგინება მსაჯს ამ დროისთვის, ვერ მიიღებს მონაწილეობას მატჩში.

მოთამაშის შეცვლისას სათადარიგო მოთამაშით, აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- მსაჯი ინფორმირებული უნდა იყოს მოსალოდნელი შეცვლის შესახებ
- შესაცვლელი მოთამაშე:
  - იღებს მსაჯის ნებართვას დატოვოს სათამაშო მოედანი, თუ უკვე არ იმყოფება მის ფარგლებს მიღმა და უნდა დატოვოს მოედანი უახლოეს ადგილას მოედნის შემომსაზღვრელ ხაზზე, თუ მსაჯი არ მიუთითებს, რომ მოთამაშემ მოედანი შეიძლება დატოვოს უშუალოდ და დაუყოვნებლივ შუა ხაზთან ან სხვა ადგილას (მაგ.: უსაფრთხოების ან ტრავმის გამო)
  - დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს ტექნიკურ ზონაში ან გასახდელში და ის ვეღარ მიიღებს მონაწილეობას იმავე მატჩში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ნებადართულია უკუშეცვლები
- თუ მოთამაშე, რომელიც უნდა შეიცვალოს, უარს აცხადებს სათამაშო მოედნის დატოვებაზე, თამაში გრძელდება

სათადარიგო მოთამაშე მოედანზე შედის მხოლოდ:

- თამაშის შეჩერებისას
- მოედნის შუა ხაზთან
- მას შემდეგ, როცა შესაცვლელი მოთამაშე გავიდა მოედნიდან
- მსაჯისგან სიგნალის მიღების შემდეგ

შეცვლის პროცედურა დასრულებულია, როდესაც სათადარიგო მოთამაშე შედის სათამაშო მოედანზე; ამ მომენტიდან ჩანაცვლებული მოთამაშე ხდება შეცვლილი მოთამაშე, ხოლო სათადარიგო მოთამაშე ხდება მოთამაშე და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თამაშის ნებისმიერ განახლებაში.

ყველა შეცვლილი და სათადარიგო მოთამაშე იმყოფება მსაჯის იურისდიქციის ქვეშ, იმის მიუხედავად, იღებს თუ არა მატჩში მონაწილეობას.

4. მეკარის შეცვლა

ნებისმიერ მოთამაშეს უფლება აქვს ადგილი გაუცვალოს მეკარეს იმ პირობით, რომ:

- მსაჯი ინფორმირებულია შეცვლამდე
- შეცვლა ხდება თამაშის შეჩერების დროს

5. დარღვევები და სანქციები

თუ განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე იწყებს მატჩს განაცხადში შეყვანილი მოთამაშის ნაცვლად და მსაჯი არ არის ინფორმირებული ამ ცვლილების შესახებ:

- მსაჯი თამაშის გაგრძელების ნებას დართავს განაცხადში შეყვანილ სათადარიგო მოთამაშეს
- განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშის მიმართ არ გამოიყენება სადისციპლინო სანქცია
- განაცხადში შეყვანილი მოთამაშე შეიძლება გახდეს განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე
- შეცვლების რაოდენობა არ მცირდება
- მსაჯი ატყობინებს ინციდენტის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს

თუ შეცვლა განხორციელდა პირველი ტაიმის შემდეგ შესვენების დროს ან დამატებითი დროის დაწყებამდე, პროცედურა უნდა დასრულდეს თამაშის განახლებამდე. თუ მსაჯი არ არის ინფრმირებული, განაცხადში შეყვანილ სათადარიგო მოთამაშეს შეუძლია თამაშის გაგრძელება, სადისციპლინო სანქცია არ იქნება გამოტანილი და საკითხი მოხსენდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

თუ მოთამაშე ადგილს უცვლის მეკარეს მსაჯის ნებართვის გარეშე, მსაჯი:

- აგრძელებს თამაშს
- აფრთხილებს ორივე მოთამაშეს, როდესაც ბურთი თამაშიდან გავა, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც შეცვლას ადგილი აქვს შესვენების დროს (მათ შორის შესვენებისას დამატებით დროში) ან მატჩის დასასრულსა და დამატებითი დროის დაწყების და/ან 11 მ დარტყმებს შორის პერიოდში

ნებისმიერი სხვა დარღვევებისთვის:

- მოთამაშეები იქნებიან გაფრთხილებული
- თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის შეჩერების მომენტში

6. გაძევებული მოთამაშეები და სათადარიგო მოთამაშეები

მოთამაშე, რომელიც გაძევებულია:

- გუნდის განაცხადის წარდგენამდე, არ შეიძლება მოხვდეს გუნდის განაცხადში რაიმე სტატუსით
- გუნდის განაცხადში შეყვანის შემდეგ და საწყის დარტყმამდე, შეიძლება ჩანაცვლებული იყოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშით, რომელიც თავის მხრივ არ შეიძლება ჩანაცვლებული იყოს; შეცვლების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გუნდმა გააკეთოს, არ მცირდება
- საწყისი დარტყმის შემდეგ, არ შეიძლება ჩანაცვლდეს

განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე, რომელიც გაძევებულია საწყის დარტყმამდე ან მის შემდეგ, არ შეიძლება ჩანაცვლდეს.

7. ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე

მწვრთნელი და სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც შეყვანილნი არიან გუნდის განაცხადში (მოთამაშეების და სათადარიგო მოთამაშეების გამოკლებით) წარმოადგენენ გუნდის ოფიციალურ პირებს. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შეყვანილი გუნდის განაცხადში, როგორც მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი, წარმოადგენს უცხო პირს.

თუ გუნდის ოფიციალური პირი, სათადარიგო, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშე ან უცხო პირი, ცხოველი, საგანი და ა.შ. (გარეშე ფაქტორი) აღმოჩნდებიან სათამაშო მოედანზე, მსაჯმა უნდა:

- შეაჩეროს თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს თამაშში ჩარევას
- უზრუნველყოს პიროვნების მოედნიდან გაყვანა თამაშის შეჩერებისას
- მიიღოს შესაბამისი სადისციპლინო სანქცია

თუ თამაში შეჩერებული იქნა და მასში ჩაერევა მოხდა:

- გუნდის ოფიციალური პირის, სათადარიგო, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშის მიერ, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით ან 11 მ დარტყმით
- უცხო პირის (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.) მიერ, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით

თუ აშკარაა, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე და ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თამაშში ჩარევა მოხდა თავდამსხმელი გუნდის მიერ.

8. მოთამაშე სათამაშო მოედნის გარეთ

თუ მოთამაშე, რომელსაც სჭირდება მსაჯის ნებართვას სათამაშო მოედანზე დასაბრუნებლად, ბრუნდება მსაჯის ნებართვის გარეშე, მსაჯმა უნდა:

- შეაჩეროს თამაში (თუმცა არა დაუყოვნებლივ, თუ მოთამაშე არ ერევა თამაშში ან ხელს არ უშლის მატჩის ოფიციალურ პირს ან შესაძლებელია უპირატესობის გამოყენება)
- გააფრთხილოს მოთამაშე სათამაშო მოედანზე ნებართვის გარეშე დაბრუნებისთვის

თუ მსაჯი აჩერებს თამაშს, ის უნდა განახლდეს:

- საჯარიმო დარტყმით თამაშში ჩარევის ადგილიდან
- თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის შეჩერების მომენტში, თუ ადგილი არ ჰქონდა თამაშში ჩარევას

მოთამაშე, რომელიც გადაკვეთს სათამაშო მოედნის ფარგლებს და ეს არის სათამაშო მოქმედების ნაწილი, არ არღვევს წესებს.

9. გატანილი გოლი, როდესაც სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი

თუ გოლის გატანის შემდეგ და თამაშის განახლებამდე მსაჯი შეამჩნევს, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი:

- მსაჯმა არ უნდა ჩათვალოს გოლი, თუ ზედმეტი პირი იყო:
  - იმ გუნდის მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე, შეცვლილი მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე ან ოფიციალური პირი, რომელმაც გაიტანა გოლი; თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ზედმეტი პირი
  - უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.), რომელიც ჩაერია თამაშში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გოლი გატანილი იქნა იმგვარ გარემოებებში, რომლებიც აღწერილია ზემოთ სექციაში „ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე"; თამაში განახლდება „სადავო" ბურთით
- მსაჯმა უნდა ჩათვალოს გოლი, თუ ზედმეტი პირი იყო:
  - იმ გუნდის მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე, შეცვლილი მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე ან ოფიციალური პირი, რომლის კარშიც გატანილია გოლი
  - უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.), რომელიც არ ჩაერია თამაშში

ყველა შემთხვევაში, მსაჯმა უნდა უზრუნველყოს ზედმეტი პირის გაყვანა სათამაშო მოედნიდან.

თუ გატანილი გოლის შემდეგ თამაში განახლდა და მსაჯი აცნობიერებს, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი, გატანილი გოლი არ შეიძლება იყოს გაუქმებული. თუ ზედმეტი პირი ჯერ კიდევ იმყოფება სათამაშო მოედანზე, მსაჯმა უნდა:

- შეაჩეროს თამაში
- უზრუნველყოს ზედმეტი პირის გაყვანა
- გარემოებების შესაბამისად განაახლოს თამაში „სადავო" ბურთით ან საჯარიმო/თავისუფალი დარტყმით

მსაჯმა უნდა მოახსენოს ინციდენტის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

10. გუნდის კაპიტანი

გუნდის კაპიტანს არ გააჩნია რაიმე სპეციალური სტატუსი და პრივილეგიები, მაგრამ გააჩნია გარკვეული ხარისხის პასუხისმგებლობა გუნდის ქცევაზე.



წესი 4



მოთამაშეთა ეკიპირება

1. **უსაფრთხოება**
   მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს ისეთი ეკიპირება ან ჩაიცვას ისეთი რამ, რაც სახიფათო იქნება.

   ყველანაირი სამკაულის ტარება აკრძალულია (ყელსაბამი, ბეჭედი, საყურე, სამაჯური, ტყავის სახვევი, რეზინის სახვევი და ა.შ.) და უნდა იყოს მოხსნილი. აკრძალულია სახვევის გამოყენება სამკაულის დასაფარად.

   მოთამაშეების შემოწმება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე, ხოლო სათადარიგო მოთამაშეების, სათამაშო მოედანზე შესვლამდე. თუ მოთამაშე ატარებს ან იყენებს აკრძალულ/სახიფათო ეკიპირებას ან სამკაულს, მსაჯმა უნდა მოსთხოვოს მოთამაშეს:

   - მოიხსნას ნივთი
   - დატოვოს სათამაშო მოედანი თამაშის მომდევნო შეჩერებისას, თუ მას არ შეუძლია ან არ სურს მოთხოვნის შესრულება

   მოთამაშე, რომელიც უარს ამბობს მოთხოვნის შესრულებაზე ან კვლავ ატარებს საგანს, უნდა იყოს გაფრთხილებული.

2. **სავალდებულო ეკიპირება**
   მოთამაშის სავალდებულო ეკიპირება განისაზღვრება შემდეგი ცალკეული ნივთებით:

   - სახელოებიანი მაისური
   - შორტი
   - გამაშები – სახვევი ან რაიმე მასალა, რომელიც გამოყენებულია ან ჩაცმულია გამაშის ზემოდან, უნდა იყოს გამაშის იმ ნაწილის ფერი, რომელზეც არის გამოყენებული ან რომელსაც ფარავს
   - წვივსაფარები – დამზადებული უნდა იყოს შესაფერისი მასალისგან, რათა უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა და დაფარული უნდა იყოს გამაშებით
   - ფეხსაცმელი

   მეკარეებს შეუძლიათ ჩაიცვან სპორტული შარვალი.

თუ მოთამაშე შემთხვევით კარგავს ფეხსაცმელს ან წვივსაფარს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოცვალოს ის და არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც ბურთი გავა თამაშიდან; თუ ფეხსაცმელის ან წვივსაფარის გამოცვლამდე მოთამაშე თამაშობს ბურთზე და/ან გაიტანს გოლს, გოლი გატანილად ითვლება.

3. ფერები

- ორივე გუნდმა უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და მსაჯებისაგან
- ორივე მეკარემ უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ სხვა მოთამაშეებისაგან და მსაჯებისაგან
- თუ ორი მეკარის ფორმა ერთნაირი ფერისაა და მათ არ გააჩნიათ სხვა მაისური, მსაჯმა უნდა დაიწყოს მატჩი

შიდა მაისური უნდა იყოს:

- ერთი ფერის, რომელიც არის მაისურის სახელოს ძირითადი ფერის

ან

- მოხატული/სხვადასხვა ფერის, რომელიც ზუსტად ასახავს მაისურის სახელოს

შიდა შორტი/ტრიკო უნდა იყოს შორტის ძირითადი ფერის ან შორტის ყველაზე ქვედა ნაწილის ფერის - ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეებმა უნდა ჩაიცვან ერთნაირი ფერის ფორმები.

4. სხვა ეკიპირება

ნაბადართულია დამცავი ეკიპირება, როგორიც არის მაგალითად თავსაბური, ნიღაბი, მუხლის ან ხელის დამცავი, რომელიც მეკარის კეპის და სპორტული სათვალის მსგავსად უსაფრთხოა და დამზადებულია რბილი, მსუბუქი მასალისაგან.

თავსაბური

როდესაც გამოყენებულია თავსაბური (გარდა მეკარის კეპისა), ის:

- უნდა იყოს შავი ან მაისურის ძირითადი ფერის (იმ პირობით, რომ იმავე გუნდის მოთამაშეები ჩაიცვამენ ისეთივე ფერის მაისურს)
- უნდა შეეხამებოდეს მოთამაშის ეკიპირების პროფესიონალურ შესახედაობას
- არ უნდა იყოს მიმაგრებული მაისურზე
- არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს ამ საგნის მატარებელი მოთამაშისთვის ან სხვა მოთამაშეებისთვის (მაგ.: გამხსნელი/ჩამკეტი მექანიზმი კისრის გარშემო)
- არ უნდა ჰქონდეს რაიმე გამოშვერილი ნაწილი/ნაწილები

კავშირის ელექტრონული საშუალებები

მოთამაშეებს (მათ შორის სათადარიგო/შეცვლილ ან გაძევებულ მოთამაშეებს) არა აქვთ უფლება ატარონ ან გამოიყენონ ნებისმიერი სახის ელექტრონული ან საკომუნიკაციო ეკიპირება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებადართულია EPTS-ი). გუნდის ოფიციალური პირების მიერ ნებისმიერი სახის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენება ნებადართულია, როდესაც ის პირდაპირ არის დაკავშირებული მოთამაშეთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან ან ტაქტიკურ/სამწვრთნელო მიზნებთან. თუმცა, მხოლოდ მცირე ზომის, გადასატანი, ხელში დასაჭერი მოწყობილობა (მაგ.: მიკროფონი, ყურსასმენი, მობილური/სმარტფონი, სმარტვოტჩი, ტაბლეტი, ლეპტოპი) შეიძლება იქნას გამოყენებული. გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც იყენებს მოწყობილობას, რომელიც აკრძალულია ან იქცევა შეუფერებლად ელექტრონული ან საკომუნიკაციო მოწყობილობის გამოყენების შედეგად, გაძევებული იქნება ტექნიკური ზონიდან.

ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები (EPTS)

როდესაც FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული ასოციაციების ეგიდით ორგანიზებული ოფიციალური შეჯიბრების მატჩში გამოყენებულია ჩასაცმელად/სატარებლად გამოსადეგი ტექნოლოგია, როგორც ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემების ნაწილი, შეჯიბრების ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოთამაშეების ეკიპირებაზე მიმაგრებული ტექნოლოგია არ არის სახიფათო და პასუხობს სატარებლად გამოსადეგი EPTS-ის მოთხოვნებს „EPTS-თვის FIFA-ს ხარისხის პროგრამის“ შესაბამისად.

თუ გამოყენებულია მატჩის ან შეჯიბრების ორგანიზატორის მიერ მიწოდებული ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემა, მატჩის ან შეჯიბრების ორგანიზატორის პასუხისმგებლობაა, რათა უზრუნველყონ, რომ ოფიციალური შეჯიბრებების მატჩების მიმდინარეობისას EPTS-დან ტექნიკურ ზონაში გადაცემული ინფორმაცია და მონაცემები არის სანდო და ზუსტი.

„EPTS-თვის FIFA-ს ხარისხის პროგრამა“ ეხმარება შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომ ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები იყოს სანდო და ზუსტი მათი ექსპლუატაციაში მიღების პროცესში.

5. მოწოდებები, განცხადებები, გამოსახულებები და რეკლამა

ეკიპირებაზე არ უნდა იყოს რაიმე პოლიტიკური, რელიგიური ან პირადი მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები. მოთამაშეებმა არ უნდა გამოაჩინონ შიდა მაისური და შორტი/ტრიკო, რომელზეც აღბეჭდილია პოლიტიკური, რელიგიური,

პირადი მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები, ან რეკლამა, მწარმოებლის ლოგოტიპის გარდა. ნებისმიერი დარღვევისთვის მოთამაშე და/ან გუნდი დაისჯება შეჯიბრების ორგანიზატორის, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის ან FIFA-ს მიერ.

პრინციპები

- მე-4 წესი ვრცელდება ყველა ეკიპირებაზე (მათ შორის ტანსაცმელზეც), რომელსაც ატარებენ მოთამაშეები, სათადარიგო და შეცვლილი მოთამაშეები; ის ასევე ვრცელდება ტექნიკურ ზონაში მყოფ გუნდის ყველა ოფიციალურ პირზე
- შემდეგი (როგორც წესი) არის ნებადართული:
    - მოთამაშის ნომერი, ვინაობა, გუნდის გერბი/ლოგოტიპი, მოწოდებები/ემბლემები ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის, მოწოდებები/ემბლემები პატივისცემის და პატიოსნების შესახებ, ისევე როგორც ნებისმიერი რეკლამა, რომელიც ნებადართულია შეჯიბრების დებულებით ან ეროვნული ასოციაციის, კონფედერაციის ან FIFA-ს რეგლამენტებით
    - მატჩთან დაკავშირებული ფაქტები: გუნდები, თარიღი, შეჯიბრება/ღონისძიება, ჩატარების ადგილი
- ნებადართული მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები შემოფარგლული უნდა იყოს მაისურის წინა ნაწილით და/ან სამკლავურით
- გარკვეულ შემთხვევებში, მოწოდება, განცხადება ან გამოსახულება შეიძლება განთავსებული იქნას მხოლოდ კაპიტნის სამკლავურზე

წესის ინტერპრეტაცია

დასაშვები მოწოდების, განცხადების ან გამოსახულების ინტერპრეტაციისას, მხედველობაში მისაღებია მე-12 წესი (წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი), რაც მსაჯისგან მოითხოვს მიიღოს ზომები მოთამაშის წინააღმდეგ, რომელიც დამნაშავეა იმაში, რომ:

- იყენებს შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ ან უცენზურო გამოთქმებს და/ან მოქმედებას/მოქმედებებს
- მოქმედებს პროვოკაციული, დამცინავი ან გამომწვევი ფორმით

ნებისმიერი მოწოდება, განცხადება ან გამოსახულება, რომელიც ხვდება ამ რომელიმე კატეგორიაში, არ არის ნებადართული.

თუ „რელიგიური“ ან „პირადი“ შედარებით ადვილი განსასაზღვრია, „პოლიტიკური“ ნაკლებად ნათელია. თუმცა მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები, რომლებიც რომელიმე ქვემოთ მოყვანილს განეკუთვნება, არ არის ნებადართული:

- ნებისმიერი პიროვნება/პიროვნებები, ცოცხალი ან გარდაცვლილი (თუ არ არის ოფიციალური შეჯიბრების დასახელების ნაწილი)
- ნებისმიერი ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო პოლიტიკური პარტია/ორგანიზაცია/ჯგუფი და ა.შ.
- ნებისმიერი ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული მთავრობა ან ნებისმიერი მათი განყოფილება, ოფისი ან განშტოება
- ნებისმიერი ორგანიზაცია დისკრიმინაციული პოლიტიკით
- ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის მიზნები/მოქმედებები შეურაცხყოფს ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობას
- ნებისმიერი განსაკუთრებული პოლიტიკური აქტი/ღონისძიება

მნიშვნელოვანი ეროვნული ან საერთაშორისო ღონისძიების აღნიშვნისას გათვალისწინებული უნდა იქნას მეტოქე გუნდის (მათ მხარდამჭერთა ჩათვლით) და ზოგადად საზოგადოების გრძნობები და განწყობილებები.

შეჯიბრების დებულება შეიძლება შეიცავდეს დამატებით აკრძალვებს/შეზღუდვებს; კერძოდ, ნებადართული მოწოდებების, განცხადებების და გამოსახულებების ზომასთან, რაოდენობასთან და განთავსების ადგილთან დაკავშირებით. რეკომენდირებულია, რომ მოწოდებებთან, განცხადებებთან ან გამოსახულებებთან დაკავშირებით არსებული კამათი მოგვარდეს მატჩის/შეჯიბრების დაწყებამდე.

6. დარღვევები და სანქციები

ამ წესის ნებისმიერი დარღვევისთვის არ არის საჭირო თამაშის შეჩერება. მოთამაშე:

- მიიღებს მითითებას დატოვოს სათამაშო მოედანი ეკიპირების წესრიგში მოსაყვანად
- დატოვებს მოედანს, როდესაც თამაში შეჩერდება, თუ ეკიპირება უკვე არ არის მოყვანილი წესრიგში

ეკიპირების წესრიგში მოსაყვანად ან გამოსაცვლელად სათამაშო მოედნიდან გასული მოთამაშის ეკიპირება უნდა:

- შემოწმდეს მატჩის ოფიციალური პირის მიერ, მოედანზე დაბრუნების ნებართვის მიღებამდე
- მოთამაშე მოედანზე უნდა დაბრუნდეს მხოლოდ მსაჯის ნებართვით (რაც შესაძლოა მიცემული იყოს თამაშის მსვლელობისას)

ნებართვის გარეშე მოედანზე დაბრუნებული მოთამაშე უნდა იყოს გაფრთხილებული და თუ თამაში შეჩერებულია გაფრთხილების მისაცემად, ინიშნება თავისუფალი დარტყმა იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის შეჩერების მომენტში. ხოლო, თუ ის ჩაერევა თამაშში, დაინიშნება საჯარიმო დარტყმა (ან 11 მ დარტყმა) იმ ადგილიდან, სადაც მოხდა თამაშში ჩარევა.

წესი 5

მსაჯი

1. **მსაჯის უფლებამოსილება**
   ყოველ მატჩს აკონტროლებს მსაჯი, რომელსაც მატჩთან მიმართებით გააჩნია სრული უფლებამოსილება უზრუნველყოს თამაშის წესების დაცვა.

2. **მსაჯის გადაწყვეტილებები**
   გადაწყვეტილებები მიღებული იქნება მსაჯის კომპეტენციის შესაბამისად თამაშის წესების და "თამაშის სულისკვეთების" მიხედვით და დამყარებული იქნება მსაჯის შეხედულებაზე, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს შესაბამისი ქმედებები თამაშის წესების ფარგლებში.

   თამაშთან დაკავშირებულ ყველა ფაქტზე – მათ შორის ჩათვლილ ან არ ჩათვლილ გოლზე და თამაშის შედეგზე – მსაჯის გადაწყვეტლება საბოლოოა. მსაჯის და მატჩის ყველა სხვა ოფიციალური პირის გადაწყვეტილებებს ყოველთვის პატივი უნდა სცენ.

   მსაჯს არ შეუძლია შეცვალოს თამაშის განახლების გადაწყვეტილება, როდესაც მიხვდება, რომ ის მცდარია ან მატჩის სხვა რომელიმე ოფიციალური პირის რჩევის საფუძველზე, თუ თამაში უკვე განახლებულია ან მსაჯმა მისცა თამაშის პირველი ან მეორე ტაიმის დამთავრების ნიშანი (დამატებითი დროის ჩათვლით) და დატოვა სათამაშო მოედანი ან შეწყვიტა მატჩი. თუმცა, თუ ტაიმის დასრულებისას მსაჯი ტოვებს სათამაშო მოედანს მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონაში წასასვლელად ან რათა მიუთითოს მოთამაშეებს, რომ დაბრუნდნენ სათამაშო მოედანზე, ეს არ ზღუდავს გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობას იმ ინციდენტისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტაიმის დასრულებამდე.

   12.3 წესში და მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლში აღწერილის გამოკლებით, თამაშის განახლების შემდეგ სადისციპლინო სანქცია შესაძლოა იქნას გამოტანილი, თუ მატჩის რომელიმე ოფიციალურმა პირმა განსაზღვრა დარღვევა და შეეცადა ეს ეცნობებინა მსაჯისთვის თამაშის განახლებამდე; სანქციასთან დაკავშირებული განახლება არ იქნება გამოყენებული.

   თუ მსაჯს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქციები, თამაში შეიძლება გაგრძელდეს მატჩის სხვა ოფიციალური პირების ზედამხედველობის ქვეშ, ვიდრე ბურთი არ გავა თამაშიდან.

3. უფლებები და მოვალეობები

მსაჯი:

- უზრუნველყოფს თამაშის წესების დაცვას
- აკონტროლებს მატჩს მატჩის სხვა ოფიციალურ პირებთან ურთიერთქმედებით
- მოქმედებს როგორც ქრონომეტრისტი, აწარმოებს მატჩში მომხდარი ფაქტების ჩანაწერს და წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს მატჩის პატაკს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სადისციპლინო ზომების და მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ მომხდარი ნებისმიერი სხვა ინციდენტის შესახებ
- ზედამხდეველობას უწევს და/ან ანიშნებს თამაშის განახლებას

უპირატესობა

- აგრძელებს თამაშს, როდესაც ხდება დარღვევა და გუნდი, რომლის წინააღმდეგ დაარღვიეს წესი, ისარგებლებს უპირატესობით და დასჯის თავდაპირველ დარღვევას, თუ მოსალოდნელი უპირატესობის გამოყენება არ ხდება მაშინვე ან რამოდენიმე წამის ფარგლებში

სადისციპლინო სანქცია

- როდესაც ერთდროულად ხდება ერთზე მეტი დარღვევა, დასჯის უფრო სერიოზულ დარღვევას – სადისციპლინო სანქციის, თამაშის განახლების, ფიზიკური კონტაქტის სიმძიმის და ტაქტიკური ზეგავლენის გათვალისწინებით
- გაატარებს სადისციპლინო ზომებს იმ მოთამაშეების მიმართ, რომლებიც დამნაშავე არიან ისეთი დარღვევებისთვის, რომლებიც იმსახურებენ გაფრთხილებას ან გაძევებას
- გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს სადისციპლინო ზომა მატჩის წინ მოედნის შესამოწმებლად სათამაშო მოედანზე შესვლიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედნიდან გამოსვლამდე (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ). თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება არ დაუშვას მოთამაშე მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. წესი 3.6); მსაჯი მოახსენებს შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი სხვა არასათანადო საქციელის შესახებ
- გააჩნია უფლებამოსილება აჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათები და, თუ შეჯიბრების დებულებით დაშვებულია, დროებით გააძევოს მოთამაშე მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედანზე ყოფნამდე. მათ შორის, შესვენების, დამატებითი დროის და 11 მ ნიშნულიდან დარტყმების დროს
- მიიღებს ზომებს გუნდების ოფიციალური პირების მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ იქცევიან და სიტყვიერად გააფრთხილებს ან აჩვენებს ყვითელ ბარათს გასაფრთხილებლად ან წითელ ბარათს სათამაშო მოედნიდან და მისი შემოგარენიდან, მათ შორის ტექნიკური ზონიდან გასაძევებლად; თუ დამრღვევის დადგენა არ არის შესაძლებელი, სანქციას მიიღებს ტექნიკურ ზონაში მყოფი უფროსი მწვრთნელი. გუნდის სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელს, რომელიც ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რისთვისაც იმსახურებს გაძევებას, შეუძლია დარჩეს ტექნიკურ ზონაში, თუ გუნდს არ ჰყავს სხვა სამედიცინო პერსონალი და იმოქმედოს შესაბამისად, თუ მოთამაშეს სჭირდება სამედიცინო დახმარება
- მოქმედებს მატჩის სხვა ოფიციალური პირების რჩევის საფუძველზე იმ ინციდენტებთან მიმართებაში, რომლებიც მან თავად ვერ დაინახა

ტრავმები

- აგრძელებს თამაშს ბურთის თამაშიდან გასვლამდე, თუ მისი აზრით მოთამაშე მხოლოდ უმნიშვნელოდ დაშავდა
- აჩერებს თამაშს, თუ მოთამაშე სერიოზულად დაშავდა და უზრუნველყოფს მის გაყვანას სათამაშო მოედნიდან. არ შეიძლება დაშავებული მოთამაშის მკურნალობა სათამაშო მოედანზე. დაშავებული მოთამაშე სათამაშო მოედანზე შეიძლება დაბრუნდეს მხოლოდ თამაშის განახლების შემდეგ; თუ ბურთი თამაშშია, სათამაშო მოედანზე დაბრუნება უნდა მოხდეს გვერდითი ხაზიდან, მაგრამ თუ ბურთი გასულია თამაშიდან, ის შეიძლება მოხდეს სათამაშო მოედნის ნებისმიერი შემომსაზღვრელი ხაზიდან. სათამაშო მოედნის დატოვების შესახებ მოთხოვნიდან გამონაკლისი არის, როდესაც:
    - დაშავებულია მეკარე
    - მეკარე და მოედნის მოთამაშე შეეჯახნენ ერთმანეთს და საჭიროებენ ყურადღებას
    - ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეები შეეჯახნენ ერთმანეთს და საჭიროებენ ყურადღებას
    - ადგილი ჰქონდა მძიმე ტრავმას
    - მოთამაშე დაშავდა ფიზიკური დარღვევის გამო, რომლისთვისაც მეტოქე გაფრთხილებული ან გაძევებული იყო (მაგ.: გაუაზრებელი ან წესების სერიოზული დარღვევა), თუ მოთამაშის შემოწმება/მკურნალობა სწრაფად დასრულდა
    - დანიშნულია 11 მ დარტყმა და ტრავმირებული მოთამაშე არის დარტყმის შემსრულებელი
- უზრუნველყოფს, რომ სისხლდენის შემთხვევაში ნებისმიერი მოთამაშე დატოვებს სათამაშო მოედანს. მოთამაშე შეიძლება დაბრუნდეს სათამაშო მოედანზე მხოლოდ მსაჯისგან სიგნალის მიღების შემდეგ, რომელიც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სისხლდენა შეჩერებულია და ეკიპირებაზე არ არის სისხლი

- თუ მსაჯმა სათამაშო მოედანზე შესვლის ნება დართო ექიმებს და/ან საკაცის მზიდავებს, მოთამაშემ უნდა დატოვოს მოედანი საკაცით ან საკუთარი ფეხით. მოთამაშე, რომელიც არ დაემორჩილება ამ მოთხოვნებს, გაფრთხილებული უნდა იყოს არასპორტული საქციელისთვის
- თუ მსაჯმა გადაწყვიტა ტრავმირებული მოთამაშის გაფრთხილება ან გაძევება, რომელმაც უნდა დატოვოს სათამაშო მოედანი სამედიცინო დახმარების მისაღებად, ბარათი ნაჩვენები უნდა იქნას მოთამაშის გასვლამდე
- თუ თამაში შეჩერებული იქნა სხვა რომელიმე მიზეზის გამო ან მოთამაშის ტრავმა არ წარმოადგენს თამაშის წესების დარღვევის შედეგს, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით

გარეშე ჩარევა

- შეაჩერებს, დროებით შეწყვეტს ან დაასრულებს მატჩს წესების ნებისმიერი დარღვევისთვის ან გარეშე ჩარევის გამო, მაგალითად, თუ:
  - განათება არაადეკვატურია
  - მაყურებლის მიერ ნასროლი საგანი მოხვდება მატჩის ოფიციალურ პირს, მოთამაშეს ან გუნდის ოფიციალურ პირს, მსაჯს შეუძლია გააგრძელოს, შეაჩეროს, დროებით შეწყვიტოს ან დაასრულოს მატჩი, ინციდენტის სიმძიმიდან გამომდინარე
  - მაყურებელმა ჩაბერა სასტვენს, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა თამაშზე - თამაში შეჩერდება და განახლდება „სადავო“ ბურთით
  - ზედმეტი ბურთი, სხვა საგანი ან ცხოველი შეაღწევს სათამაშო მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას, მსაჯმა უნდა:
    - შეაჩეროს თამაში (და განაახლოს „სადავო“ ბურთით) თუ ეს ხელს უშლის თამაშს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აშკარაა, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე; თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), იმ შემთხვევისა გარდა, როდესაც თამაშში ჩარევა მოხდა თავდამსხმელი გუნდის მიერ
    - გააგრძელოს მატჩი, თუ ის არ უშლის ხელს თამაშს და უზრუნველყოფს მის გატანას/გაყვანას სათამაშო მოედნიდან პირველივე შესაძლებლობისთანავე
- არ დაუშვებს სათამაშო მოედანზე იმ პირებს, ვისაც ამის უფლება არა აქვთ

4. მსაჯის ვიდეოასისტენტი (VAR)

მსაჯის ვიდეოასისტენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ მატჩის/შეჯიბრების ორგანიზატორმა დააკმაყოფილა „დანერგვის მხარდაჭერის და დამტკიცების პროგრამის“ (IAAP – Implementation Assistance and Approval Programme) მოთხოვნები, როგორც ეს დადგენილია FIFA-ს საბუთებში IAAP-ის შესახებ და მიიღო FIFA-ს წერილობითი თანხმობა.

მსაჯის ვიდეოასისტენტი შეიძლება დაეხმაროს მსაჯს მხოლოდ „ნათელი და აშკარა შეცდომისას“ ან „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტისას” შემდეგ შემთხვევებში:

- გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი
- 11 მ დარტყმა არის/ 11 მ დარტყმა არ არის
- პირდაპირი წითელი ბარათი (არა მეორე ყვითელი ბარათი)
- შეცდომა იდენტიფიკაციაში, როდესაც მსაჯი აფრთხილებს ან აძევებს დამნაშავე გუნდის მოთამაშეს, რომელსაც არ ჩაუდენია დარღვევა

მსაჯის ვიდეოასისტენტის დახმარება დაკავშირებული იქნება ინციდენტის ვიდეოგამოსახულების გამეორების/გამეორებების გამოყენებაში. მსაჯი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დამყარებული იქნას მხოლოდ მსაჯის ვიდეოასისტენტის და/ან მსაჯის ინფორმაციაზე, რომელიც უშუალოდ გადაამოწმებს გამეორებულ ვიდეოკადრებს („ვიდეოგადამოწმება მოედანზე“).

გარდა „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტისა“, მსაჯმა (და, თუ საჭიროა, „მოედანზე მყოფმა“ მატჩის სხვა ოფიციალურმა პირებმა) ყოველთვის უნდა მიიღოს გადაწყვეტილება (მათ შორის გადაწყვეტილება არ დასაჯოს შესაძლო დარღვევა); ეს გადაწყვეტილება არ იცვლება, თუ ის არ არის „ნათელი და აშკარა შეცდომა“.

ინციდენტის ვიდეოგადამოწმება თამაშის განახლების შემდეგ

თუ თამაში შეჩერებული და შემდეგ განახლებული იქნა, მსაჯს შეუძლია ვიდეოგადამოწმების განხორციელება და შესაბამისი სადისციპლინო სანქციის გამოტანა, თუ ადგილი ჰქონდა შეცდომას იდენტიფიკაციაში, ან შესაძლო გაძევებით დასჯადი დარღვევის შემთხვევას, რაც დაკავშირებულია ძალადობრივ მოქმედებასთან, შეფურთხებასთან, კბენასთან ან უაღრესად შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და/ან უცენზურო მოქმედების/მოქმედებების გამოყენებასთან.

5. მსაჯის ეკიპირება

სავალდებულო ეკიპირება

მსაჯს უნდა ჰქონდეს შემდეგი ეკიპირება:

- სასტვენი/სასტვენები
- საათი/საათები
- წითელი და ყვითელი ბარათები
- წიგნაკი (ან სხვა საშუალება მატჩში მომხდარი მოვლენების ჩასაწერად)

სხვა ეკიპირება
მსაჯმა შესაძლოა გამოიყენოს:

- სასიგნალო ალმები, სასაუბრო გადამცემი მოწყობილობები და სხვა ეკიპირება მატჩის სხვა ოფიციალურ პირებთან კომუნიკაციისთვის
- EPTS ან სხვა მოწყობილობა ფიზიკური მდგომარეობის კონტროლისთვის

მსაჯებს და მატჩის სხვა, „მოედანზე მყოფ“ ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ სამკაულების ან სხვა რომელიმე ელექტრონული მოწყობილობის, მათ შორის კამერების, ტარება.

6. მსაჯის სიგნალები

იხილეთ მსაჯისთვის დამტკიცებული სიგნალების გრაფიკული გამოსახულებები

11 მ დარტყმა

თავისუფალი დარტყმა

საჯარიმო დარტყმა



უპირატესობა (1)



უპირატესობა (2)

კუთხური დარტყმა

კარიდან დარტყმა

წითელი და **ყვითელი ბარათი**



შემოწმება: ყურთან მიტანილი თითი, მეორე ხელი გვერდზე გაშლილია



ვიდეოგადამოწმება: „სატელევიზიო სიგნალი“

7. მატჩის ოფიციალური პირების პასუხისმგებლობა

მსაჯი ან მატჩის სხვა ოფიციალური პირი არ აგებს პასუხს:

- ნებისმიერი სახის დაზიანებისთვის, რომელსაც მიიღებს მოთამაშე, ოფიციალური პირი ან მაყურებელი
- ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც მიადგება ნებისმიერ ქონებას
- ნებისმიერი სხვა დანაკარგისთვის, რომელსაც განიცდის რომელიმე პირი, კლუბი, კომპანია, ასოციაცია ან სხვა ორგანო, რაც განპირობებულია ან შეიძლება განპირობებული იყოს ნებისმიერი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომელიც მსაჯმა შეიძლება მიიღოს თამაშის წესების მიხედვით ან იმ ჩვეულებრივი პროცედურების გამო, რომლებიც აუცილებელია მატჩის ორგანიზების, ჩატარების და კონტროლისთვის

ამ გადაწყვეტილებებში შეიძლება შედიოდეს გადაწყვეტილება:

- დასაშვებია თუ არა მატჩის ჩატარება სათამაშო მოედნის ან მისი მიმდებარე ზონების მდგომარეობის ან ბუნებრივი პირობების გამო
- რაიმე მიზეზით მატჩის შეწყვეტის შესახებ
- სათამაშო მოედნის აღჭურვილობის შესაბამისობისა და მატჩის მიმდინარეობისას გამოყენებული სათამაშო ბურთის ვარგისიანობის შესახებ
- შეაჩეროს ან არ შეაჩეროს თამაში მაყურებლების ჩარევის ან სხვა პრობლემების გამო, რომლებიც წარმოიშვა მაყურებლებისთვის განკუთვნილ ზონაში
- შეაჩეროს ან არ შეაჩეროს თამაში, რათა დაშავებულმა მოთამაშემ დატოვოს სათამაშო მოედანი დახმარების მისაღებად
- მოითხოვოს, რომ დაშავებულმა მოთამაშემ დატოვოს სათამაშო მოედანი დახმარების მისაღებად
- მისცეს ან არ მისცეს მოთამაშეს გარკვეული ტანსაცმლის ან ეკიპირების ტარების უფლება
- სადაც მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება, ნება დართოს ან არა ნებისმიერ პირს (მათ შორის გუნდების ან სტადიონის ოფიციალურ პირებს, უსაფრთხოების ოფიცრებს, ფოტოგრაფებს ან მედიის სხვა წარმომადგენლებს) იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის სიახლოვეს
- ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მიღებული თამაშის წესების შესაბამისად ან მისი მოვალეობების შესრულებისას FIFA-ს, კონფედერაციის, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის, შეჯიბრების დებულების მითითებების ან მატჩის რეგლამენტის მიხედვით, რომლითაც ტარდება მატჩი

IFAB

წესი 6

IFAB

მატჩის სხვა ოფიციალური პირები

მატჩებზე შესაძლოა დანიშნული იყოს მატჩის სხვა ოფიციალური პირები (მსაჯის ორი ასისტენტი, სათადარიგო მსაჯი, მსაჯის ორი დამატებითი ასისტენტი, მსაჯის სათადარიგო ასისტენტი, მსაჯის ვიდეოასისტენტი და სულ მცირე ერთი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი). ისინი დაეხმარებიან მსაჯს მატჩის კონტროლში თამაშის წესების შესაბამისად, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის მსაჯი მიიღებს.

მსაჯი, მსაჯის ასისტენტები, სათადარიგო მსაჯი, მსაჯის დამატებითი ასისტენტები და მსაჯის სათადარიგო ასისტენტი არიან „მოედანზე მყოფი“ მატჩის ოფიციალური პირები.

მსაჯის ვიდეოასისტენტი (VAR) და მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი (AVAR) არიან მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები (VMOs) და ეხმარებიან მსაჯს თამაშის წესების და „მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის“ შესაბამისად.

მატჩის ოფიციალური პირები მოქმედებენ მსაჯის ხელმძღვანელობით. გაუმართლებელი ჩარევის ან არასათანადო ქცევის შემთხვევაში, მსაჯი გაანთავისუფლებს მათ მოვალეობების შესრულებისაგან და წარადგენს პატაკს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში.

„მოედანზე მყოფი“ მატჩის ოფიციალური პირები, მსაჯის სათადარიგო ასისტენტის გამოკლებით, ეხმარებიან მსაჯს დარღვევების დროს, როდესაც ისინი უკეთ ხედავენ მათ და უნდა წარუდგინონ პატაკი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ნებისმიერი სერიოზული უდისციპლინო საქციელის ან ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდება მსაჯის და მატჩის სხვა ოფიციალური პირების მხედველობის არის მიღმა. მათ რჩევა უნდა მისცენ მსაჯს და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს ნებისმიერი პატაკის მომზადებისას.

„მოედანზე მყოფი“ მატჩის ოფიციალური პირები ეხმარებიან მსაჯს სათამაშო მოედნის, ბურთების და მოთამაშეთა ეკიპირების შემოწმებისას (მათ შორის, თუ პრობლემები მოგვარებული იქნა) და აწარმოებენ დროის, გოლების, უდისციპლინო საქციელის და სხვა ფაქტების ჩანაწერებს.

შეჯიბრების დებულებამ ნათლად უნდა დაადგინოს თუ ვინ შეცვლის მატჩის ოფიციალურ პირს, როდესაც მას არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი და ასევე ნებისმიერი

ამასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება. განსაკუთრებით ნათელი უნდა იყოს, თუ ვინ შეცვლის მსაჯს, როდესაც მსაჯს არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი – სათადარიგო მსაჯი, მსაჯის პირველი ასისტენტი თუ მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი.

1. მსაჯის ასისტენტები

ისინი ანიშნებენ, როდესაც:

- ბურთი მთლიანად დატოვებს სათამაშო მოედანს და რომელ გუნდს აქვს კუთხური დარტყმის, კარიდან დარტყმის ან ბურთის შემოგდების უფლება
- თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე შეიძლება დაისაჯოს
- მოთხოვნილია მოთამაშეთა შეცვლა
- დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან მეკარე ტოვებს კარის ხაზს ბურთის დარტყმამდე, და თუ ბურთი გადაკვეთს ხაზს; თუ დანიშნულია მსაჯის დამატებითი ასისტენტი, მსაჯის ასისტენტი დაიკავებს პოზიციას 11 მ ნიშნულის გასწვრივ

მსაჯის ასისტენტის დახმარება ასევე გულისხმობს მოთამაშეთა შეცვლის პროცედურის კონტროლს.

მსაჯის ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა 9.15 მ (10 იარდი) დისტანციის კონტროლში დახმარებისთვის.

2. სათადარიგო მსაჯი

სათადარიგო მსაჯის დახმარება ასევე გულისხმობს:

- შეცვლის პროცედურის ზედამხედველობას
- მოთამაშის/სათადარიგო მოთამაშის ეკიპირების შემოწმებას
- მოთამაშის სათამაშო მოედანზე დაბრუნების კონტროლს მსაჯის სიგნალის/ნებართვის შემდეგ
- ბურთების შეცვლის პროცედურის ზედამხედველობას
- მატჩის ყოველი ტაიმის (მათ შორის დამატებითი დროის) ბოლოს დამატებული მინიმალური დროის ჩვენებას, რომელიც მსაჯს განზრახული აქვს ათამაშოს
- მსაჯის ინფორმირებას ტექნიკურ ზონაში მყოფთა ნებისმიერი უდისციპლინო საქციელის შესახებ

3. მსაჯის დამატებითი ასისტენტები

მსაჯის დამატებითმა ასისტენტებმა შეიძლება ანიშნონ:

- როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს, მათ შორის, როდესაც გატანილია გოლი
- რომელ გუნდს აქვს კუთხური დარტყმის ან კარიდან დარტყმის უფლება
- როდესაც მეკარე ტოვებს კარის ხაზს ბურთის დარტყმამდე 11 მ დარტყმებისას და თუ ბურთი გადაკვეთს კარის ხაზს

4. მსაჯის სათადარიგო ასისტენტი

მსაჯის სათადარიგო ასისტენტის ერთადერთი მოვალეობაა შეცვალოს მსაჯის ასისტენტი ან სათადარიგო მსაჯი, როდესაც მათ არ შეუძლიათ მატჩის გაგრძელება.

5. მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები (VMOs)

მსაჯის ვიდეოასისტენტი არის მატჩის ოფიციალური პირი, რომელსაც შეუძლია მსაჯის დახმარება გადაწყვეტილების გამოტანაში ვიდეოკადრების გამეორების გამოყენებით მხოლოდ „ნათელი და აშკარა შეცდომისას“ ან „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტისას“, რომელიც დაკავშირებულია შემდეგთან: გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი, 11 მ დარტყმა არის/11 მ დარტყმა არ არის, პირდაპირი წითელ ბარათი (არა მეორე ყვითელი ბარათი) ან იდენტიფიკაციაში შეცდომა, როდესაც მსაჯი აფრთხილებს ან აძევებს დამნაშავე გუნდის მოთამაშეს, რომელსაც არ ჩაუდენია დარღვევა.

მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი არის მატჩის ოფიციალური პირი, რომელიც ეხმარება მსაჯის ვიდეოასისტენტს ძირითადად:

- სატელევიზიო კადრების ყურებით, როდესაც მსაჯის ვიდეოასისტენტი დაკავებულია ინციდენტების შემოწმებით ან ვიდეოგადამოწმებით
- მსაჯის ვიდეოასისტენტთან დაკავშირებული ინციდენტების და ნებისმიერი საკომუნიკაციო ან ტექნოლოგიური სირთულეების ჩანიშვნით
- მსაჯის ვიდეოასისტენტის დახმარებით მისი მსაჯთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებით მსაჯთან კომუნიკაციით, როდესაც მსაჯის ვიდეოასისტენტი დაკავებულია ინციდენტების „შემოწმებით“/„ვიდეოგადამოწმებით“, მაგ.: უთხრას მსაჯს, რომ „შეაჩეროს მატჩი“ ან „დააყოვნოს მატჩის განახლება“ და ა.შ.
- „შემოწმებისთვის“ ან „ვიდეოგადამოწმებისთვის“ თამაშის განახლების დაყოვნებისას „დაკარგული“ დროის აღრიცხვით
- მსაჯის ვიდეოასისტენტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით შესაბამის მხარეებთან

6. მსაჯის ასისტენტის სიგნალები

ინილეთ მსაჯის ასისტენტისთვის დამტკიცებული სიგნალების გრაფიკული გამოსახულებები

შეცვლა

ბურთის შემოგდება
თავდამსხმელისთვის



ბურთის შემოგდება
მცველისთვის

თავისუფალი/საჯარიმო დარტყმა
თავდამცველი გუნდისთვის

თავისუფალი/საჯარიმო დარტყმა
თავდამსხმელი გუნდისთვის



კუთხური დარტყმა



კარიდან დარტყმა

თამაშგარე

თამაშგარე მოედნის
მახლობელ ნაწილში



თამაშგარე მოედნის
შუა ნაწილში

თამაშგარე მოედნის
შორეულ ნაწილში

7. მსაჯის დამატებითი ასისტენტის სიგნალები

გატანილი გოლი
(იმ შემთხვევის გარდა,
როდესაც ბურთმა ძალიან აშკარად
გადაკვეთა კარის ხაზი)

IFAB

წესი 7



IFAB

მატჩის ხანგრძლივობა

1. **სათამაშო დროის პერიოდები**
   მატჩი გრძელდება ორი 45 წუთიანი თანაბარი პერიოდის, ანუ ტაიმის განმავლობაში, რომელიც შესაძლოა შემცირდეს, თუ მსაჯი და ორივე გუნდი შეთანხმდნენ მატჩის დაწყებამდე და თუ ეს შეჯიბრების დებულებასთან არის შესაბამისობაში.

2. **შესვენება ტაიმებს შორის**
   მოთამაშეებს უფლება აქვთ შეისვენონ ტაიმებს შორის. შესვენება არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს; დამატებითი დროის ტაიმებს შორის ნებადართულია მოკლე შესვენება (რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წუთს) სითხეების დასალევად. შეჯიბრების დებულებაში მითითებული უნდა იყოს შესვენების ხანგრძლივობა და ის შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მსაჯის ნებართვით.

3. **დამატებული დრო**
   მსაჯი ორივე ტაიმს დაუმატებს იმ სრულ სათამაშო დროს, რაც დაიკარგა შესაბამის ტაიმში:

   - შეცვლებზე
   - მოთამაშეთა ტრავმების შეფასებასა და მათ გაყვანაზე სათამაშო მოედნიდან
   - დროის გაჭიანურებაზე
   - სადისციპლინო სანქციებზე
   - შეჯიბრების დებულებით დაშვებული სამედიცინო შესვენებებისთვის, მაგ.: „სითხეების დასალევად“ (რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წუთს) და „გასაგრილებლად“ (90 წამიდან სამ წუთამდე)
   - ინციდენტების „შემოწმებისას“ და „ვიდეოგადამოწმებისას“ მსაჯის ვიდეოასისტენტთან დაკავშირებული ინციდენტების გამო
   - ნებისმიერი სხვა მიზეზით, მათ შორის თამაშის განახლების მნიშვნელოვანი დაყოვნების გამო (მაგ.: გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნა)

   ყოველი ტაიმის საფინალო წუთის ბოლოს სათადარიგო მსაჯი აჩვენებს მინიმალურ დროს, რომელიც მსაჯმა გადაწყვიტა დაუმატოს. მსაჯს შეუძლია დამატებული დროის გაზრდა, მაგრამ არა შემცირება.

მსაჯმა არ უნდა მოახდინოს პირველი ტაიმის სათამაშო დროის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომის კომპენსირება მეორე ტაიმისთვის სათამაშო დროის დამატებით ან გამოკლებით.

4. 11 მ დარტყმა

თუ საჭიროა 11 მ დარტყმის შესრულება ან გამეორება, თამაშის შესაბამის ტაიმს ემატება დარტყმის შესასრულებლად საჭირო დრო.

5. შეწყვეტილი მატჩი

შეწყვეტილი მატჩი უნდა გადათამაშდეს, თუ შეჯიბრების დებულება ან ორგანიზატორები არ გადაწყვეტენ სხვაგვარად.



IFAB

წესი 8

IFAB

თამაშის დაწყება და განახლება

საწყისი დარტყმა სრულდება მატჩის ორივე ტაიმის და დამატებითი დროის ორივე ტაიმის დასაწყებად და გატანილი გოლის შემდეგ თამაშის განახლებისთვის. საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები, 11 მ დარტყმა, ბურთის შემოგდება, კარიდან დარტყმა და კუთხური დარტყმა არის თამაშის განახლების სხვა მეთოდები (იხ. წესები 13-დან 17-მდე). „სადავო" ბურთი არის თამაშის განახლების მეთოდი, როდესაც მსაჯი აჩერებს თამაშს და თამაშის წესები არ მოითხოვს მატჩის განახლებას ზემოთ მოყვანილი რომელიმე მეთოდით.

თუ დარღვევა მოხდა იმ დროს, როდესაც ბურთი არ იმყოფებოდა თამაშში, თამაშის განახლების მეთოდი არ შეიცვლება.

1. საწყისი დარტყმა

პროცედურა

- გუნდი, რომელიც მოიგებს კენჭისყრას, ირჩევს რომელ კარს შეუტიოს მატჩის პირველ ტაიმში ან შეასრულოს საწყისი დარტყმა
- ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე მათი მეტოქეები შეასრულებენ საწყის დარტყმას ან გადაწყვეტენ, თუ რომელ კარს შეუტიონ პირველ ტაიმში
- გუნდი, რომელმაც გადაწყვიტა, თუ რომელ კარს შეუტიოს პირველ ტაიმში, შეასრულებს საწყის დარტყმას მატჩის მეორე ტაიმის დასაწყებად
- მეორე ტაიმისთვის გუნდები ცვლიან სათამაშო მოედნის ნახევრებს და უტევენ საწინააღმდეგო კარს
- გუნდის მიერ გოლის გატანის შემდეგ, საწყის დარტყმას ასრულებს მეტოქე გუნდი

ყოველი საწყისი დარტყმისთვის:

- ყველა მოთამაშე, გარდა საწყისი დარტყმის შემსრულებელი მოთამაშისა, უნდა იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის საკუთარ ნახევარზე
- საწყისი დარტყმის შემსრულებელი გუნდის მეტოქეები ბურთის თამაშში შესვლამდე უნდა იმყოფებოდნენ ბურთიდან არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე
- ბურთი უძრავად უნდა იდოს სათამაშო მოედნის ცენტრში
- მსაჯი აძლევს სიგნალს
- ბურთი თამაშშია, როდესაც ის დაარტყეს და აშკარად მოძრაობს

- გოლი მეტოქის კარში შესაძლოა გატანილი იქნას უშუალოდ საწყისი დარტყმისას; თუ ბურთი პირდაპირ გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, დაინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქეების სასარგებლოდ

დარღვევები და სანქციები

თუ საწყისი დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ხელმეორედ შეეხება ბურთს, ვიდრე მას სხვა მოთამაშე შეეხო, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა, ხოლო დარღვევისთვის ბურთზე ხელით თამაშით, დაინიშნება საჯარიმო დარტყმა.

საწყისი დარტყმის შესრულების პროცედურის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის საწყისი დარტყმა გამეორდება.

2. „სადავო“ ბურთი

პროცედურა

- „სადავო“ ბურთი დაგდებული იქნება თავდამცველი გუნდის მეკარისთვის მის საჯარიმო მოედანში, თუ თამაში შეჩერებული იქნა, როდესაც:
  - ბურთი იმყოფებოდა საჯარიმო მოედანში ან
  - ბოლო შეხება ბურთზე მოხდა საჯარიმო მოედანში
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში მსაჯი „სადავო“ ბურთს დააგდებს იმ გუნდის ერთი მოთამაშისთვის, რომელიც ბოლოს შეეხო ბურთს და იმ ადგილას, სადაც ბურთს ბოლოს შეეხო მოთამაშე, უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.) ან, როგორც ეს აღწერილია მე-9.1 წესში, მატჩის ოფიციალური პირი
- ყველა დანარჩენი მოთამაშე (ორივე გუნდის) უნდა იმყოფებოდეს არანაკლებ 4 მ (4.5 იარდი) მანძილზე ბურთიდან, ვიდრე ის შევა თამაშში

ბურთი თამაშშია, როდესაც ის შეეხება მიწას.

დარღვევები და სანქციები

„სადავო“ ბურთის გდება გამეორდება, თუ:

- მიწასთან შეხებამდე მას შეეხება მოთამაშე
- ბურთი დატოვებს სათამაშო მოედანს მიწასთან შეხების შემდეგ, მაგრამ არც ერთი მოთამაშე არ შეხებია მას

თუ „სადავო“ ბურთის გდების შემდეგ ის გადის კარში ისე, რომ მას არ შეეხო სულ მცირე ორი მოთამაშე, თამაში განახლდება:

- კარიდან დარტყმით, თუ ბურთი გადის მეტოქე გუნდის კარში
- კუთხური დარტყმით, თუ ბურთი გადის გუნდის საკუთარ კარში

IFAB

წესი 9

IFAB

ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ

1. ბურთი თამაშის გარეთ

ბურთი თამაშიდან გასულია, როდესაც:

- ის მთლიანად გადაკვეთს კარის ან გვერდით ხაზს – მიწაზე ან ჰაერში
- თუ თამაში შეჩერებული იქნა მსაჯის მიერ
- ის ეხება მატჩის ოფიციალურ პირს, რჩება სათამაშო მოედანზე და:
  - გუნდი იწყებს იმედისმომცემ შეტევას ან
  - ბურთი პირდაპირ გადის კარში ან
  - იცვლება ბურთის მფლობელი გუნდი

ყველა ამ შემთხვევაში თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით.

2. ბურთი თამაშში

ყველა სხვა დროს ბურთი თამაშშია, როდესაც ის ეხება მატჩის ოფიციალურ პირს და როდესაც ის აირეკლება კარის ბოძიდან, ძელიდან ან კუთხურის ფლაგშტოკიდან და რჩება სათამაშო მოედანზე.

IFAB

წესი 10



IFAB

მატჩის შედეგის განსაზღვრა

1. **გატანილი გოლი**

   გოლი გატანილია, თუ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი ბოძებს შორის და ძელს ქვემოთ, იმ პირობით, რომ მანამდე გოლის გამტანმა გუნდმა არ დაარღვია თამაშის წესები.

   თუ მეკარე უშუალოდ ხელით შეაგდებს ბურთს მეტოქის კარში, დაინიშნება კარიდან დარტყმა.

   თუ მსაჯმა ანიშნა, რომ გოლი გატანილია, ვიდრე ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი, თამაში განახლდება „სადავო" ბურთის გდებით.

2. **გამარჯვებული გუნდი**

   მეტი გოლის გამტანი გუნდი ითვლება გამარჯვებულად. თუ ორივე გუნდმა გაიტანა გოლების ერთნაირი რაოდენობა ან გოლი საერთოდ არ იქნა გატანილი, მატჩი ითვლება ფრედ დამთავრებულად.

   როდესაც შეჯიბრების დებულება მოითხოვს ფრედ დამთავრებულ მატჩში ან შინ და სტუმრად გამართული მატჩების შემდეგ გამარჯვებულის დადგენას, ნებადართულია გამარჯვებული გუნდის გამოვლენის მხოლოდ შემდეგი პროცედურები:

   - სტუმრად გატანილი გოლების წესი
   - დამატებითი დროის ორი თანაბარი ტაიმი, ყოველი მათგანი არაუმეტეს 15 წუთის ხანგრძლივობით
   - დარტყმები 11 მ ნიშნულიდან

   შესაძლებელია ზემოთ აღწერილი პროცედურების კომბინაციების გამოყენება.

3. **დარტყმები 11 მ ნიშნულიდან**

   დარტყმები 11 მ ნიშნულიდან სრულდება მატჩის დასრულების შემდეგ და თუ სხვა რამ არ არის მითითებული, გამოიყენება შესაბამისი თამაშის წესები. დარტყმებისას 11 მ ნიშნულიდან მხედველობაში არ მიიღება მატჩის მსვლელობისას მიცემული სიტყვიერი გაფრთხილებები და ნაჩვენები ყვითელი ბარათები.





პროცედურა

11 მ ნიშნულიდან დარტყმების დაწყებამდე

- სხვა მოსაზრებების (მაგ.: სათამაშო მოედნის მდგომარეობა, უსაფრთხოება და ა.შ.) არ არსებობის შემთხვევაში მსაჯი ატარებს კენჭისყრას იმ კარის დასადგენად, რომელშიც შესრულდება დარტყმები, რაც შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამო ან, როდესაც კარი ან სათამაშო ზედაპირი გამოუსადეგარი გახდა
- მსაჯი კვლავ ატარებს კენჭისყრას და მოგებული გუნდი ირჩევს პირველი ან მეორე დარტყმის უფლებას
- სათადარიგო მოთამაშის გარდა, რომელიც შეცვლის მეკარეს, რომელსაც არ შეუძლია თამაშის გაგრძელება, მხოლოდ მატჩის დამთავრებისას სათამაშო მოედანზე მყოფ ან დროებით (ტრავმა, ეკიპირების მოწესრიგება და ა.შ.) სათამაშო მოედნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოთამაშეებს შეუძლიათ 11 მ დარტყმების შესრულება
- ყოველი გუნდი პასუხისმგებელია იმ თანმიმდევრობის შერჩევაზე, რომლითაც დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები შეასრულებენ დარტყმებს. მსაჯი არ არის ინფორმირებული თანმიმდევრობის შესახებ
- თუ მატჩის დასრულებისას და დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას ერთ გუნდს ჰყავს უფრო მეტი მოთამაშე, ვიდრე მეტოქე გუნდს, მათ საკუთარ გუნდში უნდა შეამცირონ მოთამაშეთა რაოდენობა, რათა გაუტოლდნენ მეტოქეს და მსაჯი ინფორმირებული უნდა იყოს გამოყვანილი მოთამაშეების სახელების და ნომრების შესახებ. ნებისმიერ გამოყვანილ მოთამაშეს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს დარტყმებში (გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევისა)
- მეკარე, რომელსაც არ შეუძლია გააგრძელოს დარტყმებში მონაწილეობის მიღება დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას, შეიძლება ჩანაცვლებული იქნას მოთამაშეთა რაოდენობის გასათანაბრებლად გამოყვანილი მოთამაშით ან, თუ მისმა გუნდმა არ გამოიყენა შეცვლების დაშვებული მაქსიმალური რაოდენობა, განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშით. თუმცა, შეცვლილი მეკარე აღარ მიიღებს მონაწილეობას დარტყმებში და ვეღარ შეასრულებს დარტყმას
- თუ მეკარემ უკვე შეასრულა დარტყმა, მის შემცვლელს არ შეუძლია დარტყმის შესრულება დარტყმების მორიგ სერიამდე

დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან

- სათამაშო მოედანზე უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ 11 მ დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები და მატჩის ოფიციალური პირები
- 11 მ დარტყმის უფლების მქონე ყველა მოთამაშე, გარდა დარტყმის შემსრულებელი მოთამაშისა და ორივე მეკარისა, უნდა იმყოფებოდნენ ცენტრალურ წრეში
- 11 მ დარტყმის შემსრულებელი გუნდის მეკარე უნდა დარჩეს სათამაშო მოედანზე, საჯარიმო მოედნის გარეთ, კარის და საჯარიმო მოედნის ხაზების გადაკვეთის წერტილში

- 11 მ დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეს შეუძლია ადგილი გაუცვალოს მეკარეს
- დარტყმა ითვლება დასრულებულად, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, გავა თამაშიდან ან მსაჯი შეაჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის; დამრტყმელს არ შეუძლია ბურთზე განმეორებით თამაში
- მსაჯი აკეთებს ჩანაწერს შესრულებული დარტყმების შესახებ
- თუ მეკარე ჩაიდენს დარღვევას და ამის შედეგად დარტყმა უნდა გამეორდეს, მეკარე სიტყვიერად იქნება გაფრთხილებული პირველი დარღვევისთვის და ყოველი მომდევნო დარღვევისთვის/დარღვევებისთვის გაფრთხილებული იქნება ყვითელი ბარათით
- თუ მოთამაშე დასჯილია დარღვევისთვის, რომელიც ჩადენილია დარტყმის შესასრულებლად მსაჯის მიერ სიგნალის მიცემის შემდეგ, დარტყმა ჩანიშნული იქნება, როგორც აცილებული, ხოლო მოთამაშე გაფრთხილებული
- თუ ორივე, მეკარე და დამრტყმელი, ერთდროულად ჩაიდენს დარღვევას, დარტყმა ჩაინიშნება როგორც აცილებული, ხოლო დამრტყმელი იქნება გაფრთხილებული

ქვემოთ მოყვანილი პირობებით, ორივე გუნდი ასრულებს ხუთ-ხუთ დარტყმას

- გუნდები დარტყმებს ასრულებენ რიგრიგობით
- ყველა დარტყმა სრულდება სხვადასხვა მოთამაშის მიერ და დარტყმის უფლების მქონე ყველა მოთამაშემ უნდა შეასრულოს დარტყმა, ვიდრე რომელიმე მოთამაშე შეასრულებს მეორე დარტყმას
- თუ ხუთივე დარტყმის შესრულებამდე ერთი გუნდი გაიტანს იმაზე მეტ გოლს, ვიდრე გაიტანდა მეორე გუნდი, თუნდაც ხუთივე დარტყმის შესრულების შემდეგ, დარტყმები შეწყდება
- თუ ორივე გუნდის მიერ ხუთივე დარტყმის შესრულების შემდეგ ანგარიში თანაბარია, დარტყმების შესრულება გაგრძელდება, ვიდრე ერთი გუნდი არ გაიტანს მეტოქეზე ერთით მეტ გოლს დარტყმების ერთნაირი რაოდენობის შესრულების შემდეგ
- ზემოთ აღნიშნული პრინციპი გამოიყენება დარტყმების ნებისმიერი შემდგომი თანმიმდევრობისთვის, თუმცა გუნდს შეუძლია თანმიმდევრობის შეცვლა
- 11 მ დარტყმების შესრულება არ უნდა შეყოვნდეს იმ მოთამაშის გამო, რომელიც დატოვებს სათამაშო მოედანს. ამ მოთამაშის დარტყმა გაუქმებული იქნება (არ არის გატანილი), თუ მოთამაშე არ დაბრუნდება დროულად დარტყმის შესასრულებლად

შეცვლები და გაძევებები დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან

- მოთამაშე, სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშე შეიძლება იყოს გაფრთხილებული ან გაძევებული
- გაძევებული მეკარე ჩანაცვლებული უნდა იყოს დარტყმის უფლების მქონე მოთამაშით
- მოთამაშე, გარდა მეკარისა, რომელსაც არ შეუძლია გაგრძელება, არ შეიძლება იყოს ჩანაცვლებული
- მსაჯმა არ უნდა შეწყვიტოს მატჩი, თუ გუნდის მოთამაშეთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები გახდება



IFAB

წესი 11



IFAB

თამაშგარე

1. თამაშგარე მდგომარეობა

თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნა თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას.

მოთამაშე იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ:

- მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის ნახევარზე (შუა ხაზის გამოკლებით) და
- მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის კარის ხაზთან უფრო ახლოს, ვიდრე ბურთი და ბოლოდან მეორე მეტოქე

ყველა მოთამაშის, მათ შორის მეკარის, ხელები მხედველობაში არ მიიღება. თამაშგარის განსაზღვრის მიზნით ხელის ზედა საზღვარი არის ერთ ხაზზე იღლიის ქვედა ნაწილთან.

მოთამაშე არ იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ ის იმყოფება ერთ ხაზზე:

- ბოლოდან მეორე მეტოქესთან ან
- ბოლო ორ მეტოქესთან

2. თამაშგარე დარღვევა

თანაგუნდელის მიერ ბურთზე თამაშის ან შეხების* მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე ისჯება მხოლოდ აქტიურ სათამაშო მოქმედებებში ჩართვისას, როდესაც ის:

- ხელს უშლის თამაშს ბურთზე თამაშით ან შეხებით, რომელიც მას მიაწოდა ან რომელსაც შეეხო მისი თანაგუნდელი ან
- ხელს უშლის მეტოქეს:
  - როდესაც დაბრკოლებას უქმნის მეტოქეს, რომ ითამაშოს ბურთზე ან ჰქონდეს ბურთზე თამაშის შესაძლებლობა, მეტოქის ხედვის ხაზის აშკარა დაფარვით ან
  - მეტოქესთან ბურთისთვის ორთაბრძოლაში შესვლით ან

** ბურთზე „თამაშის“ ან „შეხებისას“ გამოყენებული უნდა იქნას კონტაქტის პირველი წერტილი*

- ბურთზე თამაშის აშკარა მცდელობით, რომელიც ახლოს არის მასთან, როდესაც ეს მოქმედება ზეგავლენას ახდენს მეტოქეზე ან
- აშკარა მოქმედებით, რომელიც აშკარად ახდენს ზეგავლენას მეტოქის შესაძლებლობაზე ითამაშოს ბურთი

ან

- მოიპოვებს უპირატესობას ამ მდგომარეობაში ყოფნისას ბურთზე თამაშით ან მეტოქისთვის ხელის შეშლით, როდესაც ბურთი:
  - აისხლიტა/აირეკლა, როდესაც მოხვდა კარის ბოძებს, ძელს, მატჩის ოფიციალურ პირს ან მეტოქეს
  - მეტოქის მიერ გამიზნულად იქნა მოგერიებული კარის გადარჩენისას

თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე, რომელიც ბურთს იღებს მეტოქისგან, რომელმაც განზრახ ითამაშა ბურთზე, მათ შორის ხელით, არ მოიპოვებს უპირატესობას, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ეს იყო მეტოქის მიერ ბურთზე გამიზნულად თამაში კარის გადარჩენისას.

„კარის გადარჩენა“ ნიშნავს, როდესაც მოთამაშე სხეულის რაიმე ნაწილით, გარდა ხელებისა (მეკარის გამოკლებით მის საჯარიმო მოედანში), აჩერებს ბურთს ან ცდილობს ბურთის გაჩერებას, რომელიც გადის კარში ან ძალიან ახლოს არის კართან.

სიტუაციებში, სადაც:

- თამაშგარე მდგომარეობიდან მოძრავი ან თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე იმყოფება მეტოქის მოძრაობის გზაზე და ხელს უშლის მეტოქის მოძრაობას ბურთისკენ, ეს არის თამაშგარე დარღვევა, თუ ის ზეგავლენას ახდენს მეტოქის შესაძლებლობაზე ითამაშოს ან იბრძოლოს ბურთისთვის; თუ მოთამაშე გადაადგილდება მეტოქის მოძრაობის გზაზე და აფერხებს მეტოქის წინსვლას (მაგ.: ახდენს მეტოქის ბლოკირებას), დარღვევა უნდა დაისაჯოს მე-12 წესის შესაბამისად
- თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე მოძრაობს ბურთისკენ მასზე თამაშის მიზნით და მის წინააღმდეგ არღვევენ წესებს, ვიდრე ის ითამაშებს ან შეეცდება ითამაშოს ბურთზე, ან ბურთისთვის შევა მეტოქესთან ორთაბრძოლაში, დაისჯება წესების დარღვევა, ვინაიდან ეს მოხდა თამაშგარე დარღვევამდე
- წესების დარღვევა მოხდა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშის წინააღმდეგ, რომელმაც უკვე ითამაშა ან ცდილობდა ეთამაშა ბურთზე, ან ებრძოდა მეტოქეს ბურთისთვის, დაისჯება თამაშგარე დარღვევა, ვინაიდან ეს მოხდა წესების დარღვევამდე

3. დარღვევა არ არის

თამაშგარე დარღვევა არ არის, თუ მოთამაშე ბურთს იღებს უშუალოდ:

- კარიდან დარტყმისას
- ბურთის შემოგდებისას
- კუთხური დარტყმისას

4. დარღვევები და სანქციები

თუ ადგილი აქვს თამაშგარე დარღვევას, მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას იმ ადგილას, სადაც დარღვევა მოხდა, მათ შორის, თუ დარღვევა მოხდა მოთამაშის საკუთარ ნახევარზე.

დამცველი მოთამაშე, რომელიც მსაჯის ნებართვის გარეშე ტოვებს სათამაშო მოედანს, თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით უნდა ჩაითვალოს, რომ იმყოფება კარის ან გვერდით ხაზზე თამაშის შემდგომ შეჩერებამდე ან ვიდრე თავდამცველი გუნდი არ ითამაშებს ბურთს მოედნის შუა ხაზისკენ და ბურთი არ იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ. თუ მოთამაშე განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, იგი გაფრთხილებული უნდა იყოს თამაშიდან ბურთის გასვლისთანავე.

თავდამსხმელ მოთამაშეს შეუძლია გავიდეს სათამაშო მოედნიდან ან დარჩეს მის მიღმა იმ მიზნით, რომ არ ჩაერთოს აქტიურად სათამაშო მოქმედებებში. თუ მოთამაშე ბრუნდება სათამაშო მოედანზე კარის ხაზიდან და ერთვება სათამაშო მოქმედებებში თამაშის შემდგომ შეჩერებამდე, ან მანამდე, ვიდრე თავდამცველმა გუნდმა ითამაშა ბურთი მოედნის შუა ხაზისკენ და ბურთი იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ, თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით უნდა ჩაითვალოს, რომ მოთამაშე იმყოფება კარის ხაზზე. მოთამაშე, რომელიც განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, ბრუნდება მსაჯის ნებართვის გარეშე და არ იქნა დასჯილი თამაშგარეში ყოფნის გამო და მოიპოვებს უპირატესობას, უნდა იყოს გაფრთხილებული.

თუ თავდამსხმელი მოთამაშე გოლის გატანის მომენტში უძრავად იმყოფება კარის ბოძებს შორის და კარის შიგნით, გოლი უნდა ჩაითვალოს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს თამაშგარე ან მე-12 წესის დარღვევას, რა შემთხვევაშიც თამაში განახლდება თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმით.

წესი 12



წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

საჯარიმო, თავისუფალი და 11 მ დარტყმები შეიძლება დანიშნული იყოს მხოლოდ ბურთის თამაშში ყოფნისას ჩადენილი დარღვევებისთვის.

1. საჯარიმო დარტყმა

საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილ რომელიმე დარღვევას იმგვარად, რომ მსაჯი მას განიხილავს, როგორც გაუფრთხილებელს, გაუაზრებელს ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით:

- თავს ესხმის
- შეახტება
- ურტყამს ან ცდილობს დაარტყას ფეხი
- უბიძგებს
- ურტყამს ან ცდილობს დაარტყას რაიმე (მათ შორის თავი)
- ასრულებს ვარდნას ან შედის ორთაბრძოლაში
- გამოუდებს ან ცდილობს გამოუდოს ფეხი

თუ დარღვევა მოხდა ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით, ის დაისჯება საჯარიმო ან 11 მ დარტყმით.

- გაუფრთხილებელი დარღვევა ნიშნავს, რომ ორთაბრძოლის დროს მოთამაშე მოქმედებს უყურადღებოდ, დაუფიქრებლად ან წინდაუხედავად. სადისციპლინო სანქცია საჭირო არ არის
- გაუაზრებელი დარღვევა ნიშნავს ორთაბრძოლისას მოთამაშის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი არ ფიქრობს იმაზე, რომ მოქმედებს სახიფათოდ მეტოქის მიმართ ან არ ფიქრობს მოსალოდნელ შედეგებზე. იგი გაფრთხილებული უნდა იქნას
- გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენება ნიშნავს, რომ მოთამაშემ გადაამეტა საჭირო ძალას და ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას. იგი გაძევებული უნდა იქნას

საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს:

- დარღვევა ბურთზე ხელით თამაშით (მეკარის გარდა მის საჯარიმო მოედანში)

- აკავებს მეტოქეს
- აფერხებს მეტოქის მოძრაობას ფიზიკური კონტაქტით
- კბენს ან აფურთხებს ვინმეს გუნდების განაცხადებიდან ან მატჩის ოფიციალურ პირს
- ესვრის საგანს ბურთს, მეტოქეს ან მატჩის ოფიციალურ პირს, ან ხელში დაჭერილი საგნით ახდენს კონტაქტს ბურთზე

იხილეთ ასევე დარღვევები მე-3 წესში.

ბურთზე ხელით თამაში

ბურთზე ხელით თამაშის დარღვევების განსაზღვრის მიზნებისთვის, ხელის ზედა საზღვრად ითვლება ხაზი, რომელიც გაივლის იღლიის ქვედა საზღვარზე. ხელის ყოველი შეხება ბურთთან არ არის დარღვევა.

დარღვევაა, თუ მოთამაშე:

- განზრახ ეხება ბურთს მისი ხელით, მაგალითად, ხელის მოძრაობით ბურთისკენ
- ეხება ბურთს ხელით, როდესაც ის მის სხეულს ხდის არაბუნებრივად დიდს. ითვლება, რომ მოთამაშემ მისი სხეული არაბუნებრივად გაზარდა, როდესაც მისი ხელის მდგომარეობა ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არ არის მისი სხეულის მოძრაობის შედეგი ან არ არის გამართლებული ამ მოძრაობით. ხელის ამგვარი მდგომარეობით მოთამაშე ეწევა რისკს, რომ ბურთი მოხვდება მის ხელს და იქნება დასჯილი
- გაიტანს მას მეტოქის კარში:
  - უშუალოდ ხელით, თუნდაც შემთხვევით, მათ შორის მეკარეც
  - დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ბურთი შეეხო მის ხელს, თუნდაც შემთხვევით

მეკარეზე ვრცელდება საკუთარი საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა ბურთზე ხელით თამაშის ისეთივე შეზღუდვები, როგორიც სხვა ნებისმიერ მოთამაშეზე. თუ მეკარე ხელით თამაშობს ბურთზე საკუთარ საჯარიმო მოედანში, როდესაც არა აქვს ამის უფლება, ინიშნება თავისუფალი დარტყმა, თუმცა სადისციპლინო სანქციის გარეშე. თუმცა, თუ დარღვევა არის თამაშის განახლების შემდეგ ბურთზე განმეორებით თამაში (ხელით ან მის გარეშე), ვიდრე მას შეეხება სხვა მოთამაშე, მეკარე უნდა დაისაჯოს სადისციპლინო სანქციით, თუ დარღვევა გააჩერებს იმედისმომცემ შეტევას ან წაართმევს მეტოქეს ან მეტოქე გუნდს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას.



2. თავისუფალი დარტყმა

თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე:

- თამაშობს სახიფათოდ
- აფერხებს მეტოქის მოძრაობას ფიზიკური კონტაქტის გარეშე
- დამნაშავეა უთანხმოების გამოხატვაში შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან უცენზურო გამოთქმების და/ან მოქმედების/მოქმედებების გამოყენებით ან სხვა სიტყვიერ დარღვევებში
- ხელს უშლის მეკარეს ბურთის თამაშში შეგდებაში ან ურტყამს/ცდილობს დაარტყას ფეხი ბურთს, როდესაც მეკარე ბურთს აგდებს თამაშში
- წამოიწყებს წინასწარგანზრახულ ხრიკს მეკარისთვის ბურთის მისაწოდებლად (მათ შორის თავისუფალი/საჯარიმო ან კარიდან დარტყმისას) თავით, მკერდით, მუხლით და ა.შ., რათა გვერდი აუაროს წესს, იმის მიუხედავად, ეხება თუ არა მეკარე ხელებით ბურთს; მეკარე დაისჯება, თუ პასუხისმგებელია წინასწარგანზრახული ხრიკის წამოწყებაზე.
- ჩაიდენს ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც არ არის მოყვანილი თამაშის წესებში, რისთვისაც თამაში ჩერდება, რათა მოთამაშეს მიეცეს გაფრთხილება ან გაძევებული იქნას მოედნიდან

თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მეკარე საკუთარ საჯარიმო მოედანში ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს:

- ხელით აკონტროლებს ბურთს ექვს წამზე მეტ ხანს, ვიდრე გაუშვებს მას ხელიდან
- ხელით შეეხება ბურთს მას შემდეგ, რაც გაუშვებს მას ხელიდან და ბურთს არ შეხებია სხვა მოთამაშე
- ხელით ეხება ბურთს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეკარემ აშკარად დაარტყა ან ეცადა დაერტყა ბურთი თამაშის გაგრძელების მიზნით, მას შემდეგ, რაც:
  - მისმა თანაგუნდელმა ფეხით განზრახ მიაწოდა მას ბურთი
  - მიიღებს ბურთს უშუალოდ მისი თანაგუნდელის მიერ ბურთის შემოგდებიდან

მეკარე ხელით/ხელებით ფლობს/აკონტროლებს ბურთს, როდესაც:

- ბურთი არის მის ხელებს შორის ან მის ხელსა და რაიმე ზედაპირს შორის (მაგ.: მიწა, საკუთარი სხეული) ან ეხება ბურთს ხელის ნებისმიერი ნაწილით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი აისხლიტება მეკარიდან ან როდესაც მეკარე გადაარჩენს კარს
- ბურთი უჭირავს გაშლილ ხელისგულზე
- ბურთს აგდებს მიწაზე ან აისვრის ჰაერში

მეტოქეს არ შეუძლია მეკარესთან ორთაბრძოლა, როდესაც იგი ხელით/ხელებით აკონტროლებს ბურთს.

სახიფათო თამაში

სახიფათო თამაში არის ნებისმიერი ისეთი მოქმედება, როდესაც ბურთზე თამაშის მცდელობისას არსებობს ვინმესთვის (მათ შორის საკუთრივ მოთამაშისთვის) ტრავმის მიყენების საშიშროება და არ აძლევს იქვე მყოფ მეტოქეს ბურთზე თამაშის საშუალებას ტრავმის მიღების შიშით.

„მაკრატელა“ ან „ველოსიპედისებრი“ დარტყმა დასაშვებია იმ პირობით, რომ ის არ წარმოადგენს საშიშროებას მეტოქისთვის.

მეტოქის მოძრაობის შეფერხება ფიზიკური კონტაქტის გარეშე

მეტოქის მოძრაობის შეფერხება ნიშნავს მეტოქის მოძრაობის გზაზე ისეთ გადაადგილებას, რომელიც გზას გადაუღობავს მას, მოახდენს მის ბლოკირებას, აიძულებს შეამციროს სიჩქარე ან შეცვალოს მოძრაობის მიმართულება, როდესაც ბურთი არ არის ორივე მოთამაშის სათამაშო მანძილზე.

ყველა მოთამაშეს უფლება აქვს დაიკავოს საკუთარი პოზიცია სათამაშო მოედანზე; მეტოქის გზაზე ყოფნა არ არის ისეთივე რამ, რაც მოძრაობა, რათა აღმოჩნდე მეტოქის გზაზე.

მოთამაშეს შეუძლია დაფაროს ბურთი მეტოქესა და ბურთს შორის პოზიციის დაკავებით, თუ ბურთი იმყოფება სათამაშო მანძილზე და მეტოქე არ არის შეკავებული ხელით ან სხეულით. თუ ბურთი იმყოფება სათამაშო მანძილზე, წესების დაცვით მოთამაშეზე თავდასხმა შესაძლებელია.

3. სადისციპლინო სანქცია

მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება სადისციპლინო სანქციები გამოიტანოს სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან თამაშის წინ მოედნის შემოწმებისას, ვიდრე არ დატოვებს სათამაშო მოედანს მატჩის დასრულების შემდეგ (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ).

თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი ჩაიდენს დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლება არ დაუშვას მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. მე-3 წესი); მსაჯი წარადგენს მოხსენებას სხვა რაიმე უდისციპლინო საქციელის შესახებ.

მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც სათამაშო მოედანზე ან მის ფარგლებს მიღმა ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაფრთხილებას ან გაძევებას, დასჯილი იქნება დარღვევის შესაბამისად.

ყვითელი ბარათის ჩვენება ნიშნავს გაფრთხილებას და წითელი ბარათის ჩვენება ნიშნავს გაძევებას.

წითელი ან ყვითელი ბარათის ჩვენება შეიძლება მხოლოდ მოთამაშის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირისთვის.

მოთამაშეები, სათადარიგო მოთამაშეები და შეცვლილი მოთამაშეები

თამაშის განახლების დაყოვნება ბარათის საჩვენებლად

როგორც კი მსაჯი გადაწყვეტს გააფრთხილოს ან გააძევოს მოთამაშე, თამაში არ შეიძლება განახლდეს, ვიდრე სანქცია არ იქნება გამოტანილი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გუნდი, რომლის წინააღმდეგ ჩაიდინეს დარღვევა, სწრაფად ასრულებს საჯარიმო/თავისუფალ დარტყმას, აქვს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა და მსაჯს არ დაუწყია სადისციპლინო სანქციის გამოტანის პროცედურა. სანქცია გამოტანილი იქნება თამაშის შემდგომი შეჩერებისას; თუ დარღვევა წარმოადგენდა მეტოქე გუნდისთვის გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევას, მოთამაშე იქნება გაფრთხილებული. თუ დარღვევამ ხელი შეუშალა ან გააჩერა იმედისმომცემი შეტევა, მოთამაშე არ იქნება გაფრთხილებული.

უპირატესობა

თუ მსაჯი იყენებს უპირატესობას ისეთი დარღვევისთვის, რომელიც თამაშის შეჩერების შემთხვევაში გაფრთხილებით/გაძევებით უნდა ყოფილიყო დასჯილი, მაშინ ეს გაფრთხილება/გაძევება გამოტანილი უნდა იყოს ბურთის თამაშიდან გასვლის შემდეგ. თუმცა, თუ დარღვევამ წაართვა მეტოქე გუნდს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მოთამაშე გაფრთხილებული იქნება არასპორტული საქციელისთვის; თუ დარღვევამ ხელი შეუშალა ან გააჩერა იმედისმომცემი შეტევა, მოთამაშე არ იქნება გაფრთხილებული.

წესების სერიოზული დარღვევის, ძალადობრივი მოქმედების ან ისეთი დარღვევისას, რომელიც მეორე ყვითელ ბარათს იმსახურებს, უპირატესობა არ უნდა იყოს გამოყენებული, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც არის გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა. მსაჯმა უნდა გააძევოს მოთამაშე ბურთის თამაშიდან გასვლისთანავე, მაგრამ, თუ მოთამაშე თამაშობს ბურთზე ან ებრძვის/ხელს უშლის მეტოქეს, მსაჯმა უნდა შეაჩეროს თამაში, გააძევოს მოთამაშე და განაახლოს თამაში თავისუფალი დარტყმით, თუ მოთამაშემ არ ჩაიდინა უფრო სერიოზული დარღვევა.

თუ მოთამაშე იწყებს მეტოქის შეკავებას საჯარიმო მოედნის გარეთ და აგრძელებს მეტოქის შეკავებას საჯარიმო მოედნის შიგნით, მსაჯმა უნდა დანიშნოს 11 მ დარტყმა.

დარღვევები, რომლებიც ისჯება გაფრთხილებით

მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დამნაშავეა შემდეგ დარღვევებში:

- თამაშის განახლების დაყოვნება
- უთანხმოების გამოხატვა სიტყვიერად ან მოქმედებით
- მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლა, დაბრუნება ან მოედნის განზრახ დატოვება
- არ იცავს მოთხოვნილ მანძილს თამაშის განახლებისას „სადავო“ ბურთით, კუთხური დარტყმით, საჯარიმო დარტყმით, თავისუფალი დარტყმით ან ბურთის შემოგდებით
- თამაშის წესების სისტემატური დარღვევა („სისტემატური“ არ გულისხმობს დარღვევების გარკვეულ რაოდენობას ან ხასიათს)
- არასპორტული საქციელი
- მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონაში შესვლა
- „ვიდეოგადამოწმების“ ნიშნის (სატელევიზიო ეკრანი) გადაჭარბებული გამოყენება

სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დამნაშავეა შემდეგ დარღვევებში:

- თამაშის განახლების დაყოვნება
- უთანხმოების გამოხატვა სიტყვიერად ან მოქმედებით
- მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლა ან დაბრუნება
- არასპორტული საქციელი
- მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონაში შესვლა
- „ვიდეოგადამოწმების“ ნიშნის (სატელევიზიო ეკრანი) გადაჭარბებული გამოყენება

როდესაც ჩადენილია ორი სხვადასხვა დარღვევა, რომლებიც ისჯება ყვითელი ბარათით (თუნდაც დროის მოკლე მონაკვეთში), ნაჩვენები უნდა იყოს ორი ყვითელი ბარათი, მაგ.: თუ მოთამაშე შედის სათამაშო მოედანზე საჭირო ნებართვის გარეშე და ჩაიდენს გაუაზრებელ ვარდნას ან გააჩერებს იმედისმომცემ შეტევას წესის დარღვევით/ბურთზე ხელით თამაშით და ა.შ.

გაფრთხილებები არასპორტული საქციელისთვის

არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, თუ მოთამაშე:

- ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მსაჯი, მაგ.: სიმულირებს, რომ ტრავმირებულია ან მის წინააღმდეგ მოხდა დარღვევა (სიმულაცია)
- უცვლის ადგილს მეკარეს თამაშის მსვლელობისას ან მსაჯის ნებართვის გარეშე (იხ. მე-3 წესი)
- გაუაზრებლად ჩაიდენს დარღვევას, რომელიც ისჯება საჯარიმო დარტყმით
- ხელით თამაშობს ბურთზე იმედისმომცემი შეტევის ხელის შეშლის ან მისი ჩაშლის მიზნით
- ჩაიდენს სხვა ნებისმიერ დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტმას ისეთი დარღვევისთვის, რომელიც მოხდა ბურთზე თამაშის მცდელობისას
- წაართმევს მეტოქეს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას დარღვევით, რომელიც მოხდა ბურთზე თამაშის მცდელობისას და მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას
- ხელით ბურთზე თამაშით გოლის გატანის მცდელობისას (იმის მიუხედავად წარმატებულია თუ არა მცდელობა) ან წარუმატებელი მცდელობისას ხელი შეუშალოს გოლის გატანას
- სათამაშო მოედანზე ავლებს აკრძალულ ხაზებს
- თამაშობს ბურთზე მსაჯის ნებართვით მოედნიდან გასვლისას
- აჩვენებს უპატივცემულობას თამაშის მიმართ
- წამოიწყებს წინასწარგანზრახულ ხრიკს მეკარისთვის ბურთის მისაწოდებლად (მათ შორის საჯარიმო/თავისუფალი ან კარიდან დარტყმისას) თავით, მკერდით, მუხლით და ა.შ., რათა გვერდი აუაროს წესს, იმის მიუხედავად, ეხება თუ არა მეკარე ხელებით ბურთს; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია წინასწარგანზრახული ხრიკის წამოწყებაზე
- სიტყვიერად პროვოცირებს/ყურადღებას უფანტავს მეტოქეს თამაშის მსვლელობისას ან თამაშის განახლებისას

გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნა

მოთამაშეებს შეუძლიათ იზეიმონ გატანილი გოლი, მაგრამ ზეიმი არ უნდა იყოს გადაჭარბებული; ქორეოგრაფიულად დადგმული ზეიმი არ არის წახალისებული და არ უნდა გამოიწვიოს დროის გადაჭარბებული ხარჯვა.

სათამაშო მოედნის დატოვება გატანილი გოლის საზეიმოდ არ წარმოადგენს დარღვევას, რომელიც ყვითელი ბარათით ისჯება, თუმცა მოთამაშეები მოედანზე უნდა დაბრუნდნენ რაც შეიძლება სწრაფად.

მოთამაშე უნდა იყოს გაფრთხილებული, თუნდაც გატანილი გოლი გაუქმებული იქნა, თუ ის:

- აცოცდება მოედნის პერიმეტრზე არსებულ ღობეზე და/ან მიუახლოვდება მაყურებლებს იმგვარად, რომ იწვევს უსაფრთხოების და/ან დაცვის პრობლემებს
- იქცევა პროვოკაციული, დამცინავი ან წამქეზებლური მანერით
- სახეს ან თავს იფარავს ნიღბით ან რაიმე მსგავსი ნივთით
- იხდის მაისურს ან მაისურით იფარავს თავს

თამაშის განახლების დაყოვნება

მსაჯებმა უნდა გააფრთხილონ მოთამაშეები, რომლებიც აყოვნებენ თამაშის განახლებას შემდეგი მოქმედებებით:

- აპირებს ბურთის შემოგდებას, მაგრამ მოულოდნელად უთმობს ამ უფლებას თანაგუნდელს
- შეცვლის დროს აყოვნებს სათამაშო მოედნიდან გასვლას
- ზედმეტად აყოვნებს განახლებას
- ფეხს ურტყამს ბურთს, ხელით მიაქვს ის ან იწვევს კონფრონტაციას ბურთზე განზრახ შეხებით მსაჯის მიერ თამაშის შეჩერების შემდეგ
- საჯარიმო/თავისუფალ დარტყმას ასრულებს არასწორი პოზიციიდან, რათა გამოიწვიოს დარტყმის გამეორება

დარღვევები, რომლებიც ისჯება გაძევებით

მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე გაძევებული იქნება, თუ ის ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს:

- მეტოქეს წაართმევს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას დარღვევით, როდესაც ხელით თამაშობს ბურთზე (მეკარის გარდა მის საჯარიმო მოედანში)
- მეტოქეს, რომლის მოძრაობა ზოგადად მიმართულია დამრღვევის კარისკენ, წაართმევს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას დარღვევით, რომელიც ისჯება საჯარიმო/თავისუფალი დარტყმით (გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა)
- წესების სერიოზული დარღვევა
- ვინმეს კბენა ან შეფურთხება
- ძალადობრივი მოქმედება
- იმავე მატჩში მიიღებს მეორე ყვითელ ბარათს
- დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან უცენზურო გამოთქმების და/ან მოქმედების/მოქმედებების გამოყენება

- ვიდეოსაოპერაციო ოთახში შესვლა

გაძევებული მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე ვალდებულია დატოვოს სათამაშო მოედნის მიმდებარე ტერიტორია და ტექნიკური ზონა.

გოლის ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევა
როდესაც მოთამაშე წაართმევს მეტოქეს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას ბურთზე ხელით თამაშით ჩადენილი დარღვევით, იქნება გაძევებული, სადაც არ უნდა მოხდეს დარღვევა.

როდესაც მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს დარღვევას საკუთარ საჯარიმო მოედანში, რომელიც წაართმევს მეტოქეს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას და მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას, დამრღვევი მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დარღვევა არის ბურთზე თამაშის მცდელობა; ყველა სხვა გარემოებაში (მაგ.: შეკავება, მოქაჩვა, ბიძგი, ბურთზე თამაშის შესაძლებლობის არარსებობა და ა.შ.) დამრღვევი მოთამაშე უნდა იქნას გაძევებული.

მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე, სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშე, რომელიც შედის სათამაშო მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე, როდესაც ამგვარი ნებართვა აუცილებელია და ხელს უშლის თამაშს ან მეტოქეს და წაართმევს მეტოქე გუნდს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას, დამნაშავეა დარღვევაში, რომელიც ისჯება გაძევებით.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შემდეგი მოსაზრებები:

- დარღვევის ადგილსა და კარს შორის მანძილი
- თამაშის მიმართულება
- ბურთის ფლობის ან კონტროლის შესაძლებლობა
- მცველების მდებარეობა და რაოდენობა

წესების სერიოზული დარღვევა
ვარდნა ან ორთაბრძოლა, რომელიც საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას ან როდესაც გამოყენებულია გადაჭარბებულ ძალა ან სისასტიკე, უნდა დაისაჯოს, როგორც წესების სერიოზული დარღვევა.

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც ბურთისთვის ბრძოლისას გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით თავს ესხმის მეტოქეს ერთი ან ორივე ფეხის გამოყენებით, წინიდან, გვერდიდან ან უკნიდან, ან საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას, დამნაშავეა წესების სერიოზულ დარღვევაში.

ძალადობრივი მოქმედება
ძალადობრივი მოქმედება არის, როდესაც მოთამაშე იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს გადაჭარბებული ფიზიკური ძალა ან სისასტიკე მეტოქის, თანაგუნდელის, გუნდის ოფიციალური პირის, მატჩის ოფიციალური პირის, მაყურებლის ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, როდესაც არ იბრძვის ბურთისთვის, იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი ფიზიკურ კონტაქტს.

ასევე, მოთამაშე, რომელიც არ იბრძვის ბურთისთვის, სახეში ან თავში განზრახ დაარტყამს ხელს მეტოქეს ან ნებისმიერ სხვა პირს, დამნაშავეა ძალადობრივ მოქმედებაში, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც გამოყენებული ძალა იყო უმნიშვნელო.

გუნდის ოფიციალური პირები
როდესაც ჩადენილია დარღვევა და დამნაშავის გამოვლენა ვერ ხერხდება, სანქციას მიიღებს ტექნიკურ ზონაში მყოფი გუნდის უფროსი მწვრთნელი.

სიტყვიერი გაფრთხილება
ქვემოთ მოყვანილმა დარღვევებმა, როგორც წესი, უნდა გამოიწვიოს სიტყვიერი გაფრთხილება; გამეორებულმა ან ძალიან აშკარა დარღვევებმა უნდა გამოიწვიოს გაფრთხილება ან გაძევება:

- სათამაშო მოედანზე შესვლა პატივისცემის/არაკონფრონტაციული ფორმით
- მატჩის ოფიციალურ პირთან თანამშრომლობის იგნორირება, მაგ.: მსაჯის ასისტენტის ან სათადარიგო მსაჯის ინსტრუქციის/მოთხოვნის შეუსრულებლობა
- უმნიშვნელო/მცირე უთანხმოება გადაწყვეტილებასთან (სიტყვით ან მოქმედებით)
- დროდადრო ტექნიკური ზონის საზღვრების დატოვება სხვა რაიმე დარღვევის ჩადენის გარეშე

გაფრთხილება
გაფრთხილებით დასჯილი დარღვევებია (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

- აშკარად/სისტემატურად ტექნიკური ზონის საზღვრების არ დაცვა
- საკუთარი გუნდის მიერ თამაშის განახლების დაყოვნება
- მეტოქე გუნდის ტექნიკურ ზონაში განზრახ შესვლა (კონფრონტაციის გარეშე)
- უთანხმოების გამოხატვა სიტყვით ან მოქმედებით, მათ შორის:
    - სასმელი ბოთლის ან სხვა საგნების სროლა/ფეხის დარტყმა
    - მოქმედება/მოქმედებები, რომელიც აჩვენებს აშკარა უპატივცემულობას მატჩის ოფიციალური პირების მიმართ, მაგ.: სარკასტული ტაში

- მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონაში შესვლა
- გადაჭარბებული/დაჟინებული ჟესტიკულაციით წითელი ან ყვითელი ბარათის მოთხოვნა
- „სატელევიზიო სიგნალის“ გადაჭარბებული ჩვენება, რათა მსაჯის ვიდეოასისტენტმა მოახდინოს “ვიდეოგადამოწმება”
- მოქმედება გამომწვევი ან წამქეზებლური ფორმით
- მუდმივად მიუღებელი საქციელი (მათ შორის გამეორებული დარღვევები სიტყვიერი გაფრთხილებით)
- თამაშის მიმართ უპატივცემულობის დემონსტრირება

გაძევება

გაძევებით დასჯილი დარღვევებია (თუმცა ამით არ შემოიფარგლება):

- მეტოქე გუნდის მიერ თამაშის განახლების დაყოვნება, მაგ.: ბურთის დაჭერა, სხვა მიმართულებით ბურთის დარტყმა, მოთამაშის მოძრაობისთვის ხელის შეშლა
- ტექნიკური ზონის განზრახ დატოვება:
  - უთანხმოების ან პროტესტის დემონსტრირებისთვის მატჩის ოფიციალური პირის მიმართ
  - გამომწვევი და წამქეზებლური ფორმით მოქმედებისთვის
- მეტოქის ტექნიკურ ზონაში აგრესიული ან კონფრონტაციული ფორმით შესვლა
- საგნის განზრახ სროლა/ფეხის დარტყმა სათამაშო მოედანზე
- სათამაშო მოედანზე შესვლა:
  - მატჩის ოფიციალურ პირთან კონფრონტაციის მიზნით (მათ შორის შესვენებისას და მატჩის დასრულებისას)
  - თამაშისთვის, მეტოქე მოთამაშისთვის ან მატჩის ოფიციალური პირისთვის ხელის შეშლის მიზნით
- ვიდეოსაოპერაციო ოთახში შესვლა
- ფიზიკური ზემოქმედება ან აგრესიული საქციელი (მათ შორის შეფურთხება ან კბენა) მეტოქე გუნდის მოთამაშის, სათადარიგოს, გუნდის ოფიციალური პირის, მატჩის ოფიციალური პირის, მაყურებლის ან სხვა რომელიმე პირის (მაგ.: ბურთის მომტანები, უსაფრთხოების ან შეჯიბრების ორგანიზატორები და ა.შ.) მიმართ
- იმავე მატჩში მეორე ყვითელი ბარათის მიღება
- შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან უცენზურო გამოთქმების და/ან მოქმედების/მოქმედებების გამოყენება

- აკრძალული ელექტრონული ან საკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენება და/ან არასათანადო საქციელი აკრძალული ელექტრონული ან საკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენების შედეგად
- ძალადობრივი მოქმედება

დარღვევები, როდესაც ნასროლია საგანი (ან ბურთი)

ყველა შემთხვევაში მსაჯს გამოაქვს შესაბამისი სადისციპლინო სანქცია:

- გაუაზრებელი – გააფრთხილოს დამრღვევი არასპორტული საქციელისთვის
- გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით – გააძევოს დამრღვევი ძალადობრივი მოქმედებისთვის

4. თამაშის განახლება წესების დარღვევების და უდისციპლინო საქციელის შემდეგ

თუ ბურთი თამაშიდან გასულია, თამაში განახლდება წინა გადაწყვეტილების შესაბამისად. თუ ბურთი თამაშშია და მოთამაშე ჩაიდენს ფიზიკურ დარღვევას სათამაშო მოედანზე:

- მეტოქის წინააღმდეგ – თავისუფალი, საჯარიმო ან 11 მ დარტყმა
- თანაგუნდელის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი მოთამაშის ან გაძევებული მოთამაშის, გუნდის ოფიციალური პირის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ – საჯარიმო დარტყმა ან 11 მ დარტყმა

ყველა სიტყვიერი დარღვევა ისჯება თავისუფალი დარტყმით.

თუ მსაჯი აჩერებს თამაშს დარღვევისთვის, რომელიც ჩაიდინა მოთამაშემ უცხო პირის (ან ცხოველი, საგნის და ა.შ.) წინააღმდეგ სათამაშო მოედანზე ან მის მიღმა, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთის გდებით, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დანიშნულია საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედნის დატოვებისთვის.

თუ ბურთი თამაშშია და:

- მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას მატჩის ოფიციალური პირის, მეტოქე მოთამაშის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირის წინააღმდეგ სათამაშო მოედნის გარეთ ან
- სათადარიგო, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშე, ან გუნდის ოფიციალური პირი ჩაიდენს დარღვევას მეტოქე მოთამაშის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ ან ხელს შეუშლის მათ სათამაშო მოედნის გარეთ,

თამაში განახლდება საჯარიმო/თავისუფალი დარტყმით დარღვევის/ხელის შეშლის ადგილთან უახლოესი წერტილიდან მოედნის შემომსაზღვრელ ხაზზე; დარღვევებისთვის, რომლებიც ისჯება საჯარიმო დარტყმით, ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში.

თუ დარღვევა ჩადენილია მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის გარეთ საკუთარი გუნდის მოთამაშის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირის წინააღმდეგ, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით დარღვევის ადგილთან უახლოესი წერტილიდან მოედნის შემომსაზღვრელ ხაზზე.

თუ მოთამაშე ხელში დაჭერილი საგნით (ფეხსაცმელი, წვივსაფარი და ა.შ.) კონტაქტს ახდენს ბურთზე, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით (ან 11 მ დარტყმით).

თუ სათამაშო მოედანზე ან მის გარეთ მყოფი მოთამაშე ხელით ესვრის ან ფეხით დაარტყამს საგანს (სათამაშო ბურთისაგან განსხვავებულს) მეტოქე მოთამაშეს, ან ხელით ესვრის ან ფეხით დაარტყამს საგანს (მათ შორის ბურთს) მეტოქე სათადარიგო, შეცვლილ ან გაძევებულ მოთამაშეს, მეტოქე გუნდის ოფიციალური პირს, ან მატჩის ოფიციალურ პირს, ან სათამაშო ბურთს, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც საგანი მოხვდა ან შეიძლება მოხვედროდა პიროვნებას ან ბურთს. თუ ეს ადგილი არის სათამაშო მოედნის გარეთ, საჯარიმო დარტყმა შესრულდება უახლოესი წერტილიდან მოედნის შემომსაზღვრელი ხაზზე; თუ ეს მოხდა დამრღვევის საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა.

თუ სათადარიგო, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშე, დროებით სათამაშო მოედნის გარეთ მყოფი მოთამაშე ან გუნდის ოფიციალური პირი ხელით ისვრის ან ფეხს დაარტყამს საგანს სათამაშო მოედანში და ის ხელს შეუშლის თამაშს, მეტოქეს ან მატჩის ოფიციალურ პირს, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით (ან 11 მ დარტყმით) იმ ადგილიდან, სადაც საგანმა ხელი შეუშალა, მოხვდა ან შეიძლება მოხვედროდა მეტოქეს, მატჩის ოფიციალურ პირს ან ბურთს.



IFAB

წესი 13



IFAB

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

1. დარტყმის სახეობები

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები ინიშნება დარღვევაში დამნაშავე მოთამაშის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი მოთამაშის, გაძევებული მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირის მეტოქე გუნდის სასარგებლოდ.

თავისუფალი დარტყმის სიგნალი

თავისუფალ დარტყმას მსაჯი ანიშნებს თავს ზევით ხელის აწევით; ეს ნიშანი შენარჩუნებული უნდა იყოს, ვიდრე დარტყმა შესრულდება და ბურთი შეეხება რომელიმე მოთამაშეს, გავა თამაშიდან ან აშკარაა, რომ უშუალოდ თავისუფალი დარტყმისას გოლი არ გავა.

თავისუფალი დარტყმა უნდა გამეორდეს, თუ მსაჯი არ ანიშნებს, რომ დარტყმა თავისუფალია და ბურთი უშუალოდ დარტყმისას გავა კარში.

ბურთი გადის კარში

- თუ უშუალოდ საჯარიმო დარტყმისას ბურთი გადის მეტოქის კარში, გოლი ჩაითვლება
- თუ უშუალოდ თავისუფალი დარტყმისას ბურთი გადის მეტოქის კარში, დაინიშნება კარიდან დარტყმა
- თუ უშუალოდ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმისას ბურთი გადის გუნდის საკუთარ კარში, დაინიშნება კუთხური დარტყმა

2. პროცედურა

ყველა საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა სრულდება იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა, გარდა:

- თავისუფალი დარტყმები თავდამსხმელი გუნდის სასარგებლოდ დარღვევებისთვის მეტოქე გუნდის კარის მოედანში შესრულდება უახლოესი წერტილიდან კარის მოედნის ხაზზე, რომელიც კარის ხაზის პარალელურია
- თავისუფალი/საჯარიმო დარტყმები თავდამცველი გუნდის სასარგებლოდ საკუთარ კარის მოედანში შესრულდება კარის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან

- საჯარიმო/თავისუფალი დარტყმებისა მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე მოთამაშის შესვლასთან, დაბრუნებასთან ან მოედნიდან გასვლასთან დაკავშირებულ დარღვევებთან, რომლებიც სრულდება იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის შეჩერების მომენტში. თუმცა, თუ იგი ჩაიდენს დარღვევას სათამაშო მოედნის გარეთ, თამაში განახლდება საჯარიმო/თავისუფალი დარტყმით დარღვევის ადგილთან უახლოესი წერტილიდან მოედნის შემომსაზღვრელ ხაზზე; დარღვევებისთვის, რომლებიც ისჯება საჯარიმო დარტყმით, ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში
- იმ შემთხვევებისა, სადაც წესი განსაზღვრავს სხვა ადგილს (იხ. წესები 3, 11, 12)

ბურთი:

- უნდა იყოს უძრავი და დამრტყმელი ხელმეორედ არ უნდა შეეხოს მას, ვიდრე მას არ შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშე
- თამაშშია, როდესაც დარტყმის შემდეგ აშკარად მოძრაობს

ვიდრე ბურთი თამაშში არ არის, ყველა მეტოქე უნდა იყოს:

- არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე ბურთიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმყოფებიან საკუთარი კარის ხაზზე ბოძებს შორის
- საჯარიმო მოედნის გარეთ, საჯარიმო/თავისუფალი დარტყმებისას მეტოქე გუნდის საჯარიმო მოედნის ფარგლებში

როდესაც სამი ან მეტი დამცველი მოთამაშე ქმნის „კედელს“, ბურთის თამაშში შესვლამდე თავდამსხმელი გუნდის ყველა მოთამაშე უნდა დარჩეს არანაკლებ 1 მ (1 იარდი) მანძილზე „კედლიდან“.

საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა შეიძლება შესრულდეს ერთი ან ერთდროულად ორივე ფეხით ბურთის ჰაერში აწევით.

საჯარიმო/თავისუფალი დარტყმისას შესრულებული ცრუ მოძრაობა, რომელიც მეტოქის დასაბნევად გამოიყენება, დასაშვებია, როგორც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილი.

თუ მოთამაშე საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის სწორად შესრულებისას ფეხით განზრახ მოარტყამს ბურთს მეტოქეს იმ მიზნით, რომ კვლავ დაეუფლოს ბურთს, და ამავე დროს არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, გაუაზრებლად ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

3. დარღვევები და სანქციები

თუ საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულებისას მეტოქე იმყოფება მოთხოვნილ მანძილზე უფრო ახლოს ბურთთან, დარტყმა უნდა გამეორდეს, თუ გამოყენებული არ არის უპირატესობა; მაგრამ, თუ მოთამაშე ასრულებს საჯარიმო/თავისუფალ დარტყმას სწრაფად და მეტოქე, რომელიც ბურთისგან 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე უფრო ახლოს იმყოფება, ჩაჭრის მას, მსაჯი გააგრძელებს თამაშს. თუმცა, მეტოქე, რომელიც განზრახ ხელს შეუშლის საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულებას, უნდა იყოს გაფრთხილებული თამაშის განახლების დაყოვნებისთვის.

თუ საჯარიმო/თავისუფალი დარყმის შესრულებისას თავდამსხმელი გუნდის მოთამაშე 1 მ (1 იარდი) მანძილზე ახლოს იმყოფება თავდამცველი გუნდის სამი ან მეტი მოთამაშისაგან შექმნილი „კედლიდან“, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა.

თუ თავდამცველი გუნდის მიერ საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულებისას საკუთარ საჯარიმო მოედანში, რომელიმე მეტოქე იმყოფება საჯარიმო მოედნის ფარგლებში იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ საჯარიმო მოედნის დატოვებისთვის საკმარისი დრო, მსაჯი გააგრძელებს თამაშს. თუ საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულებისას მეტოქე იმყოფება საჯარიმო მოედანში, ან შედის საჯარიმო მოედანში, ვიდრე ბურთი თამაშში შევა და თამაშობს ბურთზე, ეხება მას ან იბრძვის ბურთისთვის, ვიდრე ის თამაშში შევა, საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა გამეორდება.

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დამრტყმელი მოთამაშე ხელმეორედ შეეხება ბურთს, ვიდრე მას სხვა რომელიმე მოთამაშე შეეხო, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა. თუ დამრტყმელი მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას ბურთზე ხელით თამაშით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- დაინიშნება 11 მ დარტყმა, თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელი მოთამაშის საკუთარ საჯარიმო მოედანში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე, რა შემთხვევაშიც დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

IFAB

წესი 14



IFAB

11 მ დარტყმა

11 მ დარტყმა ინიშნება, თუ მოთამაშე საკუთარ საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ, სათამაშო მოქმედების ფარგლებში, როგორც ეს განმარტებულია მე-12 და მე-13 წესებში, ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც ისჯება საჯარიმო დარტყმით.

გოლი შეიძლება გატანილი იყოს უშუალოდ 11 მ დარტყმისას.

1. პროცედურა

ბურთი უძრავად უნდა იყოს მოთავსებული 11 მ ნიშნულზე და კარის ბოძები, ძელი და ბადე არ უნდა მოძრაობდნენ.

11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ნათლად უნდა იყოს იდენტიფიცირებული.

დარტყმის შესრულებამდე დამცველი მეკარე უნდა დარჩეს კარის ხაზზე, პირისახით დამრტყმელისკენ და ბოძებს შორის, კარის ბოძების, ძელის ან ბადის შეხების გარეშე.

11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშის და მეკარის გარდა, ყველა დანარჩენი მოთამაშე უნდა იყოს:

- 11 მ ნიშნულიდან არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე
- 11 მ ნიშნულის უკან
- სათამაშო მოედანში
- საჯარიმო მოედნის გარეთ

მას შემდეგ, რაც მოთამაშეები დაიკავებენ პოზიციებს ამ წესის შესაბამისად, მსაჯი აძლევს ნიშანს 11 მ დარტყმის შესასრულებლად.

11 მ დარტყმის შემსრულებელმა მოთამაშემ ბურთი უნდა დაარტყას წინ; ქუსლით ბურთზე თამაში დასაშვებია, იმ პირობით, რომ ბურთი მოძრაობს წინ.

ბურთზე დარტყმის მომენტში, თავდამცველი მეკარის ერთი ტერფის ნაწილი მაინც უნდა ეხებოდეს ხაზს ან უნდა იყოს კარის ხაზთან ერთ დონეზე.

ბურთი თამაშშია, როდესაც ის დაარტყეს და აშკარად მოძრაობს.

11 მ დარტყმის შემსრულებელმა მოთამაშემ ხელმეორედ არ უნდა ითამაშოს ბურთზე, ვიდრე მას არ შეეხება რომელიმე სხვა მოთამაშე.

11 მ დარტყმა დასრულებულია, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, თამაშიდან გადის ან მსაჯი აჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის.

დრო შეიძლება დამატებული იქნას 11 მ დარტყმის შესასრულებლად და დასასრულებლად მატჩის ორივე ტაიმის ან დამატებითი დროის ორივე ტაიმის ბოლოს. როდესაც დრო დამატებულია 11 მ დარტყმის შესასრულებლად, 11 მ დარტყმა დასრულებულად ითვლება, როდესაც დარტყმის შესრულების შემდეგ ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, გავა თამაშიდან, მასზე ითამაშებს რომელიმე მოთამაშე (მათ შორის დამრტყმელი) გარდა დამცველი მეკარისა, ან მსაჯი შეაჩერებს თამაშს დამრტყმელის ან მისი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევისთვის. თუ თავდამცველი გუნდის მოთამაშე (მათ შორის მეკარე) ჩაიდენს დარღვევას და 11 მ დარტყმა აცილებულია/მოგერიებულია, 11 მ დარტყმა გამეორდება.

2. დარღვევები და სანქციები

მას შემდეგ, რაც მსაჯი მისცემს ნიშანს 11 მ დარტყმის შესასრულებლად, დარტყმა უნდა შესრულდეს. თუ დარტყმა არ შესრულდა, მსაჯს შეუძლია სადისციპლინო სანქციის გამოტანა მანამდე, ვიდრე კვლავ მისცემს ნიშანს 11 მ დარტყმის შესასრულებლად.

თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოხდება რაიმე ქვემოთ მოყვანილი:

- 11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ან მისი თანაგუნდელი არღვევს თამაშის წესებს:
    - თუ ბურთი გადის კარში, დარტყმა უნდა გამეორდეს
    - თუ ბურთი არ გადის კარში, მსაჯი აჩერებს თამაშს და განაახლებს მას თავისუფალი დარტყმით

შემდეგი შემთხვევების გამოკლებით, როდესაც თამაში იქნება შეჩერებული და განახლებული თავისუფალი დარტყმით, მიუხედავად იმისა, გოლი გატანილი იქნა თუ არა:

- 11 მ დარტყმა შესრულდა უკან
- იდენტიფიცირებული დამრტყმელის თანაგუნდელი შეასრულებს დარტყმას; მსაჯი გააფრთხილებს დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს
- მას შემდეგ, რაც დაასრულა გამორბენი, მოთამაშე აკეთებს ცრუ მოძრაობას ბურთის დარტყმისას (ცრუ მოძრაობა გამორბენისას ნებადართულია); მსაჯი გააფრთხილებს დამრტყმელს

- მეკარე არღვევს თამაშის წესებს:
    - თუ ბურთი გადის კარში, გოლი გატანილად ითვლება
    - თუ ბურთი ცდება კარს ან აისხლიტება ძელიდან ან ბოძიდან /ბოძებიდან, დარტყმა გამეორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეკარის დარღვევა აშკარად ახდენს ზეგავლენას დამრტყმელზე
    - თუ ბურთის კარში გასვლას ხელი შეუშლა მეკარემ, დარტყმა გამეორდება

თუ მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევა იწვევს დარტყმის გამეორებას, მეკარე მიიღებს სიტყვიერ გაფრთხილებას თამაშში ჩადენილი პირველი დარღვევისთვის და გაფრთხილებული იქნება ყვითელი ბარათით თამაშში ჩადენილი ყოველი შემდეგი დარღვევისთვის/დარღვევებისთვის.

- მეკარის თანაგუნდელი არღვევს თამაშის წესებს:
    - თუ ბურთი გადის კარში, გოლი გატანილად ითვლება
    - თუ ბურთი არ გადის კარში, დარტყმა გამეორდება
- ორივე გუნდის მოთამაშე არღვევს თამაშის წესებს, დარტყმა გამეორდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს უფრო სერიოზულ დარღვევას (მაგ.: აკრძალული ცრუ მოძრაობა)
- ორივე, მეკარე და დამრტყმელი, ერთდროულად ჩაიდენს დარღვევას, დამრტყმელი იქნება გაფრთხილებული და თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით თავდამცველი გუნდის სასარგებლოდ

თუ 11 მ დარტყმის შესრულების შემდეგ:

- დამრტყმელი ეხება ბურთს ხელმეორედ, ვიდრე მას შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშე:
    - დაინიშნება თავისუფალი დარტყმა (ან საჯარიმო დარტყმა ბურთზე ხელით თამაშით ჩადენილი დარღვევისთვის)
- ბურთს შეეხო უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.), როდესაც ის მოძრაობდა წინ:
    - დარტყმა გამეორდება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აშკარაა, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და გარეშე ჩარევა არ უშლის ხელს მეკარეს ან მცველს ითამაშოს ბურთზე; ასეთ შემთხვევაში, თუ ბურთი გადის კარში, გოლი ჩაითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თამაშში ჩარევა მოხდა თავდამსხმელი გუნდის მიერ

- ბურთი აისხლიტება სათამაშო მოედანში მეკარიდან, ძელიდან ან კარის ბოძებიდან და შემდეგ მას ეხება უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.):
    - მსაჯი აჩერებს თამაშს
    - თამაში განახლდება „სადავო“ ბურთის გდებით იმ ადგილას, სადაც მას შეეხო უცხო პირი (ან ცხოველი, საგანი და ა.შ.)

3. შემაჯამებელი ცხრილი

11 მ დარტყმის შედეგი		
	გოლი გატანილია	გოლი არ არის გატანილი
თავდამსხმელი მოთამაშის საჯარიმოში შეღწევა	11 მ დარტყმა მეორდება	თავისუფალი დარტყმა
დამცველი მოთამაშის საჯარიმოში შეღწევა	გოლი გატანილად ითვლება	11 მ დარტყმა მეორდება
დამცველისა და თავდამსხმელის საჯარიმოში შეღწევა	11 მ დარტყმა მეორდება	11 მ დარტყმა მეორდება
მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევა	გოლი გატანილად ითვლება	კარი არ არის გადარჩენილი: 11 მ დარტყმა არ მეორდება (თუ დამრტყმელზე აშკარად არ იმოქმედა) კარი გადარჩენილია: 11 მ დარტყმა მეორდება და სიტყვიერი გაფრთხილება მეკარეს; გაფრთხილება ყოველი მომდევნო დარღვევისთვის
მეკარე და დამრტყმელი არღვევენ ერთდროულად	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს
უკან დარტყმული ბურთი	თავისუფალი დარტყმა	თავისუფალი დარტყმა
აკრძალული ცრუ მოძრაობა	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს
არაიდენტიფიცირებული დამრტყმელი	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს

IFAB

წესი 15



IFAB

ბურთის შემოგდება

ბურთის შემოგდება დაინიშნება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს გვერდით ხაზს მიწაზე ან ჰაერში, იმ მოთამაშის მეტოქე გუნდის სასარგებლოდ, რომელიც ბოლო შეეხო ბურთს.

უშუალოდ ბურთის შემოგდებიდან გოლის გატანა არ შეიძლება:

- თუ ბურთი გადის მეტოქის კარში – დაინიშნება კარიდან დარტყმა
- თუ ბურთი გადის ბურთის შემომგდების საკუთარ კარში – დაინიშნება კუთხური დარტყმა

1. პროცედურა

ბურთის შემოგდების მომენტში შემომგდები მოთამაშე:

- პირისახით უნდა იდგეს სათამაშო მოედნისკენ
- ორივე ტერფის ნაწილი მოთავსებული უნდა ჰქონდეს გვერდით ხაზზე ან მიწაზე გვერდითი ხაზის გარეთ
- ბურთი უნდა შემოაგდოს ორივე ხელით, კეფის უკნიდან და თავს ზემოთ მოძრაობით, იმ ადგილიდან, სადაც ბურთმა დატოვა სათამაშო მოედანი

ყველა მეტოქე უნდა იმყოფებოდეს არანაკლებ 2 მ (2 იარდი) მანძილზე იმ წერტილიდან გვერდით ხაზზე, საიდანაც უნდა მოხდეს ბურთის შემოგდება.

ბურთი თამაშშია, როდესაც ის შედის სათამაშო მოედნის ფარგლებში. თუ ბურთი ეხება მიწას სათამაშო მოედნის ფარგლებში შესვლამდე, ბურთის შემოგდება გამეორდება იმავე გუნდის მიერ და იმავე ადგილიდან. თუ ბურთის შემოგდება არასწორად განხორციელდა, ის გამეორდება მეტოქე გუნდის მიერ.

თუ მოთამაშე ბურთის სწორად შემოგდებისას განზრახ მოარტყამს ბურთს მეტოქეს მისი კვლავ დაუფლების მიზნით და ამასთან არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, ან გაუაზრებლად, ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

ბურთის შემომგდები მოთამაშე არ უნდა შეეხოს ბურთს ხელმეორედ, ვიდრე მას არ შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშე.

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ ბურთის შემომგდები მოთამაშე ხელმეორედ ეხება ბურთს, მასზე სხვა რომელიმე მოთამაშის შეხებამდე, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა; თუ ბურთის შემომგდები მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას ბურთზე ხელით თამაშით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა შემომგდების საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდამცველი გუნდის მეკარე ეხება ბურთს ხელით; ამ შემთხვევაში დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ მეტოქე ყურადღებას უფანტავს ან ხელს უშლის შემომგდებს არასამართლიანი ხერხით (მათ შორის, ბურთის შემოგდების ადგილთან 2 მ (2 იარდი) ნაკლებ მანძილზე მიახლოებით), იგი იქნება გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის და თუ ბურთის შემოგდება შესრულდა, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის ბურთის შემოგდებას შეასრულებს მეტოქე გუნდის მოთამაშე.



IFAB

წესი 16



IFAB

კარიდან დარტყმა

კარიდან დარტყმა დაინიშნება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს მიწაზე ან ჰაერში მასზე ბოლოს თავდამსხმელი გუნდის მოთამაშის შეხების შემდეგ და გოლი არ არის გატანილი.

უშუალოდ კარიდან დარტყმისას გოლი შეიძლება გატანილი იქნას, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კარიდან დარტყმისას გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, დაინიშნება კუთხური დარტყმა.

1. პროცედურა

- ბურთი უნდა იყოს უძრავი და უნდა დაირტყას თავდამცველი გუნდის მოთამაშის მიერ კარის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან
- ბურთი თამაშშია, როდესაც ის დაარტყეს და აშკარად მოძრაობს
- ბურთის თამაშში შესვლამდე მეტოქეები უნდა იმყოფებოდნენ საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დამრტყმელი მოთამაშე ხელმეორედ ეხება ბურთს, მასზე სხვა რომელიმე მოთამაშის შეხებამდე, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა; თუ დამრტყმელი მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას ბურთზე ხელით თამაშით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელის საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე; ამ შემთხვევაში დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ კარიდან დარტყმის შესრულებისას ნებისმიერი მეტოქე იმყოფება საჯარიმო მოედანში იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა დრო მის დასატოვებლად, მსაჯი გააგრძელებს თამაშს. თუ მეტოქე იმყოფება საჯარიმო მოედანში კარიდან დარტყმის შესრულებისას ან შედის საჯარიმო მოედანში ბურთის თამაშში შესვლამდე, ეხება ბურთს ან იბრძვის ბურთისთვის, ვიდრე ის თამაშში შევა, კარიდან დარტყმა გამეორდება.

თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოთამაშე შედის საჯარიმო მოედანში და არღვევს წესს ან მეტოქე არღვევს მის წინააღმდეგ წესს, კარიდან დარტყმა გამეორდება და დამნაშავე შესაძლოა იქნას გაფრთხილებული ან გაძევებული დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის კარიდან დარტყმა გამეორდება.



IFAB

წესი 17



IFAB

კუთხური დარტყმა

კუთხური დარტყმა დაინიშნება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს მიწაზე ან ჰაერში, მასზე ბოლოს თავდამცველი გუნდის მოთამაშის შეხების შემდეგ და გოლი არ არის გატანილი.

უშუალოდ კუთხური დარტყმისას გოლი შეიძლება გატანილი იქნას, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კუთხური დარტყმისას გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, დაინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქეების სასარგებლოდ.

1. პროცედურა

- ბურთი უნდა მოთავსდეს კუთხური რკალით შემოსაზღვრულ ზონაში
- ბურთი უნდა იყოს უძრავი და უნდა დაირტყას თავდამსხმელი გუნდის მოთამაშის მიერ
- ბურთი თამაშშია, როდესაც ის დაარტყეს და აშკარად მოძრაობს; არ არის აუცილებელი, რომ მან დატოვოს კუთხური ზონა
- კუთხური ფლაგშტოკი არ უნდა იქნას გადაადგილებული
- მეტოქეები უნდა დარჩნენ არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე კუთხური რკალიდან ბურთის თამაშში შესვლამდე

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დამრტყმელი ხელმეორედ ეხება ბურთს მასზე სხვა რომელიმე მოთამაშის შეხებამდე, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა;
თუ დამრტყმელი ჩაიდენს დარღვევას ბურთზე ხელით თამაშით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელის საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე; ამ შემთხვევაში დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ მოთამაშე კუთხური დარტყმის სწორად შესრულებისას განზრახ მოარტყამს ბურთს მეტოქეს მისი კვლავ დაუფლების მიზნით და ამასთან არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, გაუაზრებლად ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის კუთხური დარტყმა გამეორდება.



IFAB

მსაჯის ვიდეო ასისტენტის (VAR) პროტოკოლი



IFAB

პროტოკოლი - პრინციპები, პრაქტიკული ასპექტები და პროცედურები

მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეესაბამება თამაშის წესების პრინციპებს და ფილოსოფიას.

მსაჯის ვიდეოასისტენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მატჩის/შეჯიბრების ორგანიზატორმა დააკმაყოფილა „დანერგვის მხარდაჭერის და დამტკიცების პროგრამის“ (IAAP – Implementation Assistance and Approval Programme) ყველა მოთხოვნა, როგორც ეს დადგენილია FIFA-ს საბუთებში IAAP-ის შესახებ და მიღებული აქვს FIFA-ს წერილობითი თანხმობა.

1. პრინციპები

ფეხბურთის მატჩებში მსაჯის ვიდეოასისტენტის გამოყენება დაფუძნებულია გარკვეულ პრინციპებზე და ყველა მათგანი გამოყენებული უნდა იქნას ნებისმიერ მატჩში, სადაც მოქმედებს მსაჯის ვიდეოასისტენტი.

1. მსაჯის ვიდეოასისტენტი არის მატჩის ოფიციალური პირი, დამოუკიდებელი წვდომით მატჩის სატელევიზიო კადრებზე, რომელსაც შეუძლია მსაჯის დახმარება მხოლოდ „ნათელი და აშკარა შეცდომის“ და „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტის“ შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ სიტუაციებთან:
   a. გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი
   b. 11 მ დარტყმა არის/11 მ დარტყმა არ არის
   c. პირდაპირი წითელი ბარათი (არა მეორე ყვითელი ბარათი)
   d. შეცდომა იდენტიფიკაციაში (როდესაც მსაჯი აფრთხილებს ან აძევებს დამნაშავე გუნდის მოთამაშეს, რომელსაც არ ჩაუდენია დარღვევა)
2. მსაჯმა ყოველთვის უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ანუ, მსაჯს არა აქვს უფლება „არ მიიღოს გადაწყვეტილება“ და შემდგომ გამოიყენოს მსაჯის ვიდეოასისტენტი გადაწყვეტილების მისაღებად; თამაშის გაგრძელების გადაწყვეტილება შესაძლო დარღვევის შემდეგ შეიძლება იქნას გადამოწმებული.

3. მსაჯის მიერ მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილება არ შეიცვლება, ვიდრე ვიდეოგადამოწმება ნათლად არ აჩვენებს, რომ გადაწყვეტილება იყო „ნათელი და აშკარა შეცდომა“.
4. მხოლოდ მსაჯს შეუძლია „ვიდეოგადამოწმების“ ინიცირება; მსაჯის ვიდეოასისტენტს (და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს) შეუძლია მხოლოდ ურჩიოს მსაჯს „ვიდეოგადამოწმება“.
5. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მსაჯი, დაფუძნებულს მსაჯის ვიდეოასისტენტისგან მიღებულ ინფორმაციაზე, ან მას შემდეგ, რაც განხორციელებული იქნა „ვიდეოგადამოწმება მოედანზე“.
6. ვიდეოგადამოწმების პროცესი არ არის შეზღუდული დროში, ვინაიდან სიზუსტე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიჩქარე.
7. მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები გარს არ უნდა შემოერტყან მსაჯს ან ზემოქმედება არ უნდა მოახდინონ მასზე, (თუ გადაწყვეტილება უნდა გადამოწმდეს), ვიდეოგადამოწმების პროცესზე ან საბოლოო გადაწყვეტილებაზე.
8. ვიდეოგადამოწმების პროცესის დროს მსაჯი უნდა დარჩეს თვალთახედვის არეში, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა.
9. თუ თამაში გაგრძელდა ინციდენტის შემდეგ, რომელიც შემდეგ გადამოწმებული იქნა, ინციდენტის შემდგომ პერიოდში ნებისმიერი მიღებული ან საჭირო სადისციპლინო სანქცია არ იქნება გაუქმებული, თუნდაც თავდაპირველი გადაწყვეტილება იქნა შეცვლილი (გარდა გაფრთხილებისა /გაძევებისა იმედისმომცემი შეტევის გაჩერებისთვის ან ხელის შეშლისთვის, ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევისთვის).
10. თუ თამაში შეჩერებული და შემდეგ განახლებული იქნა, მსაჯს არ შეუძლია „ვიდეოგადამოწმების“ განხორციელება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა შეცდომას იდენტიფიკაციაში, ან შესაძლო გაძევებით დასჯად დარღვევას, რაც დაკავშირებულია ძალადობრივ მოქმედებასთან, შეფურთხებასთან, კბენასთან ან უაღრესად შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და/ან უცენზურო მოქმედების/მოქმედებების გამოყენებასთან.
11. თამაშის მონაკვეთი ინციდენტამდე და ინციდენტის შემდეგ, რომელიც შეიძლება იქნას გადამოწმებული, განისაზღვრება თამაშის წესებით და მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლით.
12. ვინაიდან მსაჯის ვიდეოასისტენტი ავტომატურად „შეამოწმებს“ ყველა სიტუაციას/გადაწყვეტილებას, არ არის საჭიროება, მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა მოითხოვონ „ვიდეოგადამოწმება“.

2. გადაწყვეტილებები/ინციდენტები, რომლებიც ექვემდებარებიან ვიდეოგადამოწმებას და ზეგავლენას ახდენენ მატჩზე

მსაჯს შეუძლია მსაჯის ვიდეოასისტენტის დახმარების მიღება მხოლოდ ოთხი კატეგორიის გადაწყვეტილებების ან ინციდენტებისას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მატჩის მიმდინარეობაზე. ყველა ამ სიტუაციაში, მსაჯის ვიდეოასისტენტი გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსაჯმა მიიღო (თავდაპირველი/ორიგინალური) გადაწყვეტილება (მათ შორის თამაშის გაგრძელების გადაწყვეტილება), ან მაშინ, თუ სერიოზული ინციდენტი გამოტოვებული იქნა/არ იქნა დანახული მატჩის ოფიციალური პირების მიერ.

მსაჯის თავდაპირველი გადაწყვეტილება არ შეიცვლება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც არის „ნათელი და აშკარა შეცდომა“ (ეს მოიცავს მსაჯის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება მატჩის სხვა ოფიციალური პირებისგან მიღებულ ინფორმაციას, მაგ.: თამაშგარე).

გადაწყვეტილებების/ინციდენტების კატეგორიები, რომლებიც შესაძლოა „გადამოწმდეს“ „ნათელი ან აშკარა შეცდომის“ ან „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტის“ შემთხვევაში, არის შემდეგი:

a. გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი

- თავდამსხმელი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევა საგოლე შეტევის განვითარებისას ან გოლის გატანისას (ბურთზე ხელით თამაში, წესის დარღვევა, თამაშგარე და ა.შ.)
- ბურთი თამაშის გარეთ გოლის გატანამდე
- გადაწყვეტილებები: გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი
- მეკარის და/ან დამრტყმელის მიერ ჩადენილი დარღვევა 11 მ დარტყმის შესრულებისას, ან, თავდამსხმელის ან მცველის შეღწევა დადგენილ საზღვრებში, რომლებიც უშუალოდ ჩაერივნენ თამაშში, თუ 11 მ დარტყმა აისხლიტება კარის ბოძიდან, ძელიდან ან მეკარიდან

b. 11 მ დარტყმა არის/11 მ დარტყმა არ არის

- თავდამსხმელი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევა შეტევის განვითარებისას 11 მ ინციდენტამდე (ბურთზე ხელით თამაში, წესების დარღვევა, თამაშგარე და ა.შ.)
- ბურთი თამაშის გარეთ 11 მ ინციდენტამდე
- დარღვევის ადგილი (საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ)
- 11 მ დარტყმა არასწორად არის დანიშნული
- დარღვევა, რომელიც ისჯება 11 მ დარტყმით, არ არის დანიშნული

c. პირდაპირი წითელი ბარათები (არა მეორე ყვითელი ბარათი)

- გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევა (კერძოდ, დარღვევის და სხვა მოთამაშეების პოზიცია)
- წესების სერიოზული დარღვევა (ან გაუაზრებელი ორთაბრძოლა)
- ძალადობრივი მოქმედება, ვინმეს კბენა ან შეფურთხება
- შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან უცენზურო მოქმედება/მოქმედებები

d. იდენტიფიკაციის შეცდომა (წითელი ან ყვითელი ბარათი)

თუ მსაჯი დასჯის დარღვევას და შემდეგ უჩვენებს ყვითელ ან წითელ ბარათს დამრღვევი (დასჯილი) გუნდის მოთამაშეს, რომელსაც არ ჩაუდენია დარღვევა, დამრღვევის პიროვნება შეიძლება იქნას გადამოწმებული; თავად დარღვევა არ შეიძლება იქნას გადამოწმებული, თუ ის არ არის დაკავშირებული გოლთან, 11 მ დარტყმის ინციდენტთან ან პირდაპირ წითელ ბარათთან.

3. პრაქტიკული ასპექტები

მატჩის მიმდინარეობისას მსაჯის ვიდეოასისტენტის გამოყენება მოიცავს შემდეგ პრაქტიკულ ღონისძიებებს:

- მსაჯის ვიდეოასისტენტი მატჩს უყურებს ვიდეოსაოპერაციო ოთახში, სადაც მას დახმარებას უწევენ მისი ასისტენტი და გამეორების ოპერატორი
- ვიდეოკამერების რაოდენობის (და სხვა მოსაზრებების) გათვალისწინებით შეიძლება იყოს ერთზე მეტი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი ან გამეორების ოპერატორი
- მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ უფლება შევიდნენ ვიდეოსაოპერაციო ოთახში ან კომუნიკაციაში იყვნენ მატჩის მიმდინარეობისას მსაჯის ვიდეოასისტენტთან, მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტთან და გამეორების ოპერატორთან
- მსაჯის ვიდეოასისტენტს აქვს დამოუკიდებელი წვდომა სატელევიზიო ტრანსლაციასთან და ვიდეოგამეორებების კონტროლთან
- მსაჯის ვიდეოასისტენტი დაკავშირებულია იმ საკომუნიკაციო სისტემასთან, რომელსაც იყენებენ მატჩის ოფიციალური პირები და შეუძლია მოისმინოს ყველაფერი, რასაც ისინი საუბრობენ; მსაჯის ვიდეოასისტენტს შეუძლია ესაუბროს მსაჯს მხოლოდ სპეციალური ღილაკის დაჭერის შემდეგ (რათა თავიდან იქნას აცილებული მსაჯის ყურადღების გაფანტვა ვიდეოსაოპერაციო ოთახში არსებული საუბრებით)
- თუ მსაჯის ვიდეოასისტენტი დაკავებულია „შემოწმებით“ ან „ვიდეოგადამოწმებით“, მის ასისტენტს შეუძლია დაუკავშირდეს მსაჯს, კერძოდ მაშინ, როდესაც საჭიროა მატჩის შეჩერება ან რომ არ მოხდეს მისი განახლება
- თუ მსაჯი გადაწყვეტს, რომ ნახოს ვიდეოგამეორება, მსაჯის ვიდეოასისტენტი შეარჩევს საუკეთესო რაკურსს/გამეორების სიჩქარეს; მსაჯს შეუძლია მოითხოვოს სხვა დამატებითი რაკურსები/გამეორების სიჩქარეები

4. პროცედურები

თავდაპირველი გადაწყვეტილება

- მსაჯმა და მატჩის სხვა ოფიციალურმა პირებმა ყოველთვის უნდა მიიღონ თავდაპირველი გადაწყვეტილება (მათ შორის ნებისმიერი სადისციპლინო სანქცია), თითქოს მსაჯის ვიდეოასისტენტი არ არის („გამოტოვებული“ ინციდენტის შემთხვევის გარდა)
- მსაჯს და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს არა აქვთ უფლება „არ მიიღონ გადაწყვეტილება“, ვინაიდან ამის შედეგი იქნება „სუსტი“/ „გაუბედავი” მსაჯობა, ზედმეტად ხშირი „ვიდეოგადამოწმება“ და მნიშვნელოვანი სირთულეები, თუ ტექნოლოგია მწყობრიდან გამოვა
- მხოლოდ მსაჯი არის ერთადერთი პიროვნება, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას; მსაჯის ვიდეოასისტენტს გააჩნია ისეთივე სტატუსი, როგორც მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს და მას მსაჯის მხოლოდ დახმარება შეუძლია
- ალმის/სასტვენის დაყოვნება დარღვევისას ნებადართულია მხოლოდ ძალიან აშკარა შეტევის სიტუაციაში, როდესაც მოთამაშემ უნდა გაიტანოს გოლი ან მისი მოძრაობა აშკარად მიმართულია მეტოქის საჯარიმო მოედანში შესვლისკენ/ საჯარიმო მოედნისკენ
- თუ მსაჯის ასისტენტი აყოვნებს ალმის აწევას დარღვევისთვის, მაშინ მან უნდა ასწიოს ალამი, თუ თავდამსხმელი გუნდი გაიტანს გოლს, მიიღებს 11 მ დარტყმის, საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის, კუთხური დარტყმის, ბურთის შემოგდების უფლებას ან აგრძელებს ბურთის ფლობას მას შემდეგ, რაც თავდაპირველი შეტევა დასრულდა; ყველა სხვა სიტუაციაში, თამაშის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მსაჯის ასისტენტმა უნდა გადაწყვიტოს საჭიროა თუ არა ალმის აწევა

შემოწმება

- მსაჯის ვიდეოასისტენტი ავტომატურად „ამოწმებს” ტრანსლაციას სატელევიზიო კამერიდან ყოველი შესაძლო ან რეალური გატანილი გოლისას, 11 მ დარტყმის ან პირდაპირი წითელი ბარათის გადაწყვეტილების/ინციდენტის ან იდენტიფიკაციაში

შეცდომის შემთხვევისას, კამერის სხვადასხვა რაკურსის და ვიდეოგამეორების სხვადასხვა სიჩქარის გამოყენებით

- მსაჯის ვიდეოასისტენტს შეუძლია კადრების „შემოწმება“ ნორმალურ და/ან შენელებულ სიჩქარეზე. თუმცა, როგორც წესი, ვიდეოგამეორებები შენელებული სიჩქარით გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ ფაქტების შეფასებისთვის, მაგ.: დარღვევის /მოთამაშის პოზიცია, კონტაქტის ადგილი ფიზიკური დარღვევებისას და ხელით თამაშისას, ბურთი თამაშის გარეთ (მათ შორის გოლი გატანილია/ გოლი არ არის გატანილი); ნორმალური სიჩქარე გამოყენებული უნდა იყოს დარღვევის „ინტენსიურობის“ შეფასებისთვის ან იმის განსაზღვრისთვის, იყო თუ არა დარღვევა ბურთზე ხელით თამაშისას
- თუ „შემოწმება“ არ მიუთითებს „ნათელ და აშკარა შეცდომაზე“ ან „სერიოზულ გამოტოვებულ ინციდენტზე“, მსაჯის ვიდეოასისტენტისთვის, როგორც წესი, არ არის აუცილებელი მსაჯთან დაკავშირება – ეს არის „ჩუმი შემოწმება“; თუმცა, თუ მსაჯის ვიდეოასისტენტი დაადასტურებს, რომ არ ყოფილა „ნათელი და აშკარა შეცდომა“ ან „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტი“, ეს ხანდახან დაეხმარება მსაჯს/მსაჯის ასისტენტს მოთამაშეების/მატჩის მართვაში
- თუ „შემოწმებისთვის“ საჭიროა თამაშის განახლების დაყოვნება, მსაჯი ამას ანიშნებს თითის აშკარად მიტანით ყურსასმენთან და მეორე ხელის გვერდზე გაშლით; ეს სიგნალი შენარჩუნებული უნდა იქნას, ვიდრე „შემოწმება“ არ დასრულდება, ვინაიდან ის ანიშნებს, რომ მსაჯი არის ინფორმაციის მიღების პროცესში (რაც შეიძლება მიწოდებული იყოს მსაჯის ვიდეოასისტენტის ან მატჩის სხვა ოფიციალური პირის მიერ)
- თუ „შემოწმება“ მიუთითებს შესაძლო „ნათელ და აშკარა შეცდომაზე“ ან „სერიოზულ გამოტოვებულ ინციდენტზე“, მსაჯის ვიდეოასისტენტი მიაწოდებს ამ ინფორმაციას მსაჯს, რომელიც შემდეგ გადაწყვეტს, მოახდინოს თუ არა „ვიდეოგადამოწმება“

ვიდეოგადამოწმება

- მსაჯს შეუძლია „ვიდეოგადამოწმების“ ინიცირება შესაძლო „ნათელი და აშკარა შეცდომისას“ ან „სერიოზული გამოტოვებული ინციდენტისას“, როდესაც:
  - მსაჯის ვიდეოასისტენტი (ან მატჩის სხვა ოფიციალური პირი) ურჩევს „ვიდეოგადამოწმებას“
  - მსაჯი ვარაუდობს, რომ რაღაც სერიოზული იქნა „გამოტოვებული“
- თუ თამაში უკვე იქნა შეჩერებული, მსაჯი დააყოვნებს მის განახლებას
- თუ თამაში ჯერ კიდევ არ არის შეჩერებული, მსაჯი შეაჩერებს თამაშს, როდესაც ბურთი აღმოჩნდება ნეიტრალურ ზონაში/სიტუაციაში (როგორც წესი, როდესაც არც ერთი გუნდი არ იმყოფება შეტევაში) და აჩვენებს „სატელევიზიო სიგნალს“
- მსაჯის ვიდეოასისტენტი განუმარტავს მსაჯს, თუ რისი ნახვა შეიძლება სატელევიზიო გამეორებებზე და შემდეგ მსაჯი:
  - აჩვენებს „სატელევიზიო სიგნალს“ (თუ უკვე არ არის ნაჩვენები) და გაემართება მსაჯის ვიდეოგადამოწმების ზონისკენ ვიდეოგამეორების კადრების სანახავად – „ვიდეოგადამოწმება მოედანზე“ (on-field review – OFR) – საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მატჩის სხვა ოფიციალური პირები არ ნახავენ კადრებს, ვიდრე, განსაკუთრებულ გარემოებებში, მსაჯი არ სთხოვს მათ ამის გაკეთებას

ან

  - მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაფუძნებულს მის საკუთარ შთაბეჭდილებაზე და მსაჯის ვიდეოასისტენტისგან მიღებულ ინფორმაციაზე და თუ შესაძლებელია, მატჩის სხვა ოფიციალური პირებისგან მიღებულ ინფორმაციაზე – ეს არის მხოლოდ მსაჯის ვიდეოასისტენტის ვიდეოგადამოწმება

- „ვიდეოგადამოწმების“ ორივე პროცესის ბოლოს, მსაჯმა უნდა აჩვენოს „სატელევიზიო სიგნალი“, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება საბოლოო გადაწყვეტილება
- სუბიექტური გადაწყვეტილებებისთვის, როგორიც არის ორთაბრძოლისას დარღვევის ინტენსიურობა, ხელის შეშლა თამაშგარისას, ხელით თამაშის მოსაზრებებისთვის, უმჯობესია მოხდეს „ვიდეოგადამოწმება მოედანზე“
- ფაქტობრივი გადაწყვეტილებებისთვის, როგორიც არის დარღვევის ან მოთამაშის პოზიცია (თამაშგარე), კონტაქტის ადგილი (ხელით თამაში/ ფიზიკური დარღვევა), ადგილი/პოზიცია (საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ), ბურთი თამაშის გარეთ და ა.შ., მხოლოდ მსაჯის ვიდეოასისტენტის ვიდეოგადამოწმება როგორც წესი საკმარისია, თუმცა „ვიდეოგადამოწმება მოედანზე“ შეიძლება გამოყენებული იქნას ფაქტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის, თუ ეს დაეხმარება მოთამაშეების/მატჩის მართვას ან გადაწყვეტილების „გამყარებას“ (მაგ.: მნიშვნელოვანი, საკვანძო გადაწყვეტილება მატჩის მიწურულს)
- მსაჯს შეუძლია მოითხოვოს კამერის განსხვავებული რაკურსები/ ვიდეოგამეორების სიჩქარეები, თუმცა ძირითადად ვიდეოგამეორებები

შენელებული სიჩქარით გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ფაქტების შეფასებისთვის, როგორიც არის დარღვევის/მოთამაშის ადგილი/პოზიცია, კონტაქტის ადგილი ფიზიკური დარღვევებისას და ხელით თამაშისას, ბურთი თამაშის გარეთ (მათ შორის გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი); ნორმალური სიჩქარე გამოყენებული უნდა იქნას დარღვევის „ინტენსიურობის“ შეფასებისას ან დარღვევის შეფასებისას ბურთზე ხელით თამაშის დროს

- გადაწყვეტილებებისთვის/ინციდენტებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია გოლებთან, 11 მ დარტყმა/11 მ დარტყმა არ არის და წითელ ბარათებთან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევისას, შესაძლოა აუცილებელი იყოს თამაშის შეტევის ფაზის ვიდეოგადამოწმება, რომელიც უშუალოდ დასრულდა გადაწყვეტილებით /ინციდენტით; ეს შეიძლება მოიცავდეს სიტუაციას, თუ როგორ დაეუფლა ბურთს თავდამსხმელი გუნდი
- თამაშის წესები კრძალავს, რომ თამაშის განახლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (კუთხური დარტყმა, ბურთის შემოგდება და ა.შ.) შეიცვალოს თამაშის განახლების შემდეგ, ასე რომ, ისინი არ შეიძლება იქნას გადამოწმებული
- თუ თამაში შეჩერდა და შემდეგ განახლდა, მსაჯს შეუძლია „ვიდეოგადამოწმება“ და შესაბამისი სადისციპლინო სანქციის გამოტანა მხოლოდ იდენტიფიკაციაში შეცდომისას ან შესაძლო დარღვევისას, რომელიც ისჯება გაძევებით, როგორიც არის ძალადობრივი მოქმედება, შეფურთხება, კბენა ან უაღრესად შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და უცენზურო მოქმედება/მოქმედებები
- ვიდეოგადამოწმების პროცესი უნდა დასრულდეს რაც შეიძლება სწრაფად. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების სიზუსტე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მიღების სიჩქარე. ამ მიზეზით და იმის გამო, რომ ზოგიერთი რთული სიტუაცია მოიცავს რამდენიმე გადაწყვეტილებას/ინციდენტს ვიდეოგადამოწმების საჭიროებით, არ არის დადგენილი დროის მაქსიმალური ლიმიტი ვიდეოგადამოწმების პროცესისთვის

საბოლოო გადაწყვეტილება

- როგორც კი ვიდეოგადამოწმების პროცესი დასრულებულია, მსაჯმა უნდა აჩვენოს „სატელევიზიო სიგნალი“ და გამოაცხადოს საბოლოო გადაწყვეტილება
- ამის შემდეგ მსაჯი მიიღებს/შეცვლის/გააუქმებს ნებისმიერ სადისციპლინო სანქციას (საჭიროების შემთხვევაში) და განაახლებს თამაშს თამაშის წესების შესაბამისად

მოთამაშეები, სათადარიგო მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები

- ვინაიდან მსაჯის ვიდეოასისტენტი ავტომატურად „შეამოწმებს“ ყველა სიტუაციას/ინციდენტს, არ არის საჭიროება, რომ მოთამაშეებმა ან მწვრთნელებმა მოითხოვონ „შემოწმება“ ან „ვიდეოგადამოწმება“
- მოთამაშეები, სათადარიგო მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები არ უნდა ეცადონ ვიდეოგადამოწმების პროცესზე ზეგავლენის მოხდენას ან მასში ჩარევას, მათ შორის როდესაც ცხადდება საბოლოო გადაწყვეტილება
- ვიდეოგადამოწმების პროცესის მიმდინარეობისას მოთამაშეები უნდა დარჩნენ სათამაშო მოედანზე; სათადარიგო მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები უნდა დარჩნენ სათამაშო მოედნის გარეთ
- მოთამაშე/სათადარიგო მოთამაშე/შეცვლილი მოთამაშე/გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც გადაჭარბებულად აჩვენებს „სატელევიზიო სიგნალს“ ან შედის ვიდეოგადამოწმების ზონაში, იქნება გაფრთხილებული
- მოთამაშე/სათადარიგო მოთამაშე/შეცვლილი მოთამაშე/გუნდის ოფიციალური პირი, რომელიც შედის ვიდეოსაოპერაციო ოთახში, იქნება გაძევებული

მატჩის ლეგიტიმურობა

როგორც წესი, მატჩი არ ითვლება ძალადაკარგულად იმის გამო, რომ:

- მსაჯის ვიდეოასისტენტის ტექნოლოგია გაუმართავად მუშაობს (როგორც გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიისთვის)
- მსაჯის ვიდეოასისტენტის მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები მცდარია (ვინაიდან მსაჯის ვიდეოასისტენტი არის მატჩის ოფიციალური პირი)
- მიღებულია გადაწყვეტილება არ მოხდეს ინციდენტის/ინციდენტების ვიდეოგადამოწმება
- მოხდა იმ სიტუაციის/გადაწყვეტილების ვიდეოგადამოწმება / ვიდეოგადამოწმებები, რომელიც არ ექვემდებარება ვიდეოგადამოწმებას

მსაჯის ვიდეოასისტენტი, მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი და გამეორების ოპერატორი, რომელთაც არ შეუძლიათ თავისი ფუნქციების შესრულება

წესი 6 – მატჩის სხვა ოფიციალური პირები – ადგენს: „შეჯიბრების დებულებამ ნათლად უნდა დაადგინოს თუ ვინ შეცვლის მატჩის ოფიციალურ პირს, როდესაც მას არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი და ასევე ნებისმიერი ამასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება“. იმ მატჩებში, სადაც გამოყენებულია მსაჯის ვიდეოასისტენტი, ეს ეხება ასევე გამეორების ოპერატორს.

ვინაიდან მატჩის ვიდეო ოფიციალურ პირს/გამეორების ოპერატორს სჭირდება სპეციალური მომზადება და კვალიფიკაცია, შემდეგი პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში:

- თუ მსაჯის ვიდეოასისტენტს, მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტს ან გამეორების ოპერატორს არ შეუძლია მატჩის დაწყება ან გაგრძელება, ის შეიძლება შეცვლილი იქნას მხოლოდ ამ როლისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე პირით
- თუ ვერ მოიძებნა კვალიფიციური პირი მსაჯის ვიდეოასისტენტის ან გამეორების ოპერატორის* შეცვლისთვის, მატჩი უნდა ჩატარდეს მსაჯის ვიდეოასისტენტების გარეშე
- თუ ვერ მოიძებნა კვალიფიციური პირი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტის* შეცვლისთვის, მატჩი უნდა ჩატარდეს/გაგრძელდეს მსაჯის ვიდეოასისტენტების გარეშე, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც ორივე გუნდი წერილობითი ფორმით თანახმაა, რომ მატჩი ჩატარდეს/გაგრძელდეს მხოლოდ მსაჯის ვიდეოასისტენტით და გამეორების ოპერატორით

**ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც არის ერთზე მეტი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი/გამეორების ოპერატორი.*



FIFA-ს ხარისხის პროგრამა (FQP)



FIFA-ს ხარისხის პროგრამა

FIFA-ს ხარისხის პროგრამა ადგენს კრიტერიუმებს, რომლებიც დაფუძნებულია ფეხბურთში გამოყენებული პროდუქციის, სათამაშო ზედაპირების და ტექნოლოგიების შესახებ საიმედო გამოკვლევებზე. გამოყენების ზოგიერთ სფეროში სავალდებულო ხარისხის მოთხოვნების გარდა, შეთავაზებულია საერთო რეკომენდაციები სხვა სფეროებისთვისაც, რის საფუძველზეც შეჯიბრების ორგანიზატორებს შემდგომში შეუძლიათ დააზუსტონ საკუთარი წესები.

ტესტირების დამოუკიდებელი ინსტიტუტები ამოწმებენ პროდუქციის, სათამაშო ზედაპირების და ტექნოლოგიების ფუნქციონალობას შესაბამისი სტანდარტების მიხედვით. ტესტის ჩამტარებელ ინსტიტუტებს ამტკიცებს FIFA. ქვემოთმოყვანილი ხარისხის ნიშნები ახდენენ იმ პროდუქციის, სათამაშო ზედაპირების და ტექნოლოგიების იდენტიფიცირებას, რომლებიც ტესტირებული და სერტიფიცირებულია არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

FIFA BASIC | FIFA QUALITY | FIFA QUALITY PRO

FIFA Basic*

ამ სტანდარტის ტესტის მოთხოვნები შემუშავებულია, რათა მოხდეს პროდუქციის იდენტიფიცირება, რომლებიც აკმაყოფილებენ საექსპლუატაციო მახასიათებლების, სიზუსტის, უსაფრთხოების და გამძლეობის ძირითად კრიტერიუმებს ფეხბურთისთვის. ყურადღება გამახვილებულია მინიმალური სტანდარტების დადგენაზე და ამავე დროს გამოყენების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე თამაშის ყველა დონისთვის.

FIFA Quality

ტესტის მოთხოვნები უფრო მეტად უსვამს ხაზს ამ პროდუქციის, სათამაშო ზედაპირების და ტექნოლოგიების გამძლეობას და უსაფრთხოებას, ვიდრე FIFA Basic სტანდარტი. საექსპლუატაციო მახასიათებლების და სიზუსტის ძირითადი

კრიტერიუმები ტესტირებულია, თუმცა ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ინტენსიურ გამოყენებაზე.

FIFA Quality Pro

ტესტირებისას ძირითადი ყურადღება გამახვილებულია უმაღლეს საექსპლუატაციო მახასიათებლებზე, სიზუსტეზე და უსაფრთხოებაზე. პროდუქცია, სათამაშო ზედაპირები და ტექნოლოგიები ხარისხის ამ ნიშნით შემუშავებულია ოპტიმალური მახასიათებლებით და უმაღლეს დონეზე გამოსაყენებლად.

მეტი ინფორმაციისთვის FIFA-ს ხარისხის პროგრამაზე, ცალკეულ სტანდარტებზე და სერტიფიცირებულ პროდუქტებზე, სათამაშო ზედაპირებზე და ტექნოლოგიებზე, ეწვიეთ **https://football-technology.fifa.com**.

* FIFA Basic-მა ჩაანაცვლა International Match Standard-ი (IMS). ფეხბურთის ბურთები და სათამაშო ზედაპირები, რომლებიც ტესტირებულია წინა სტანდარტის შესაბამისად, შეიძლება გამოყენებული იყოს სერტიფიცირების ვადის გასვლამდე.

IFAB

ცვლილებები წესებში 2021/22

IFAB

წესებში ძირითადი ცვლილებების მოკლე მიმოხილვა

ძირითადი ცვლილებების/დაზუსტებების მოკლე მიმოხილვა

ცვლილებები, რომლებიც შეეხო ერთზე მეტ წესს

შენიშვნები თამაშის წესებზე (ყველა წესი) - მეტრული ერთეულები

- დაზუსტება, რომ თუ არსებობს რაიმე განსხვავება მეტრულ და იმპერიულ ერთეულთა შორის, სავალდებულოა მეტრული სისტემის ერთეულები

წესი 4, 5, 12 და მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი - არაძალადობრივი არასათანადო საქციელი

- იმის დასაშვებად, რომ ზოგიერთი არაძალადობრივი არასათანადო საქციელი განხილული იყოს, როგორც „დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ან უცენზურო“ და დაისაჯოს გაძევებით, „მოქმედება/ მოქმედებები“ ჩაანაცვლებს „ჟესტს/ ჟესტიკულაციას“ შესაბამის განსაზღვრებებში

წესი 1, 2 და 4 - FIFA-ს ხარისხის პროგრამა (FQP)

- ინფორმაცია FIFA-ს ხარისხის პროგრამის შესახებ ამჟამად მოცემულია მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის შემდეგ – დეტალები ამოღებული იქნა წესებიდან

ინდივიდუალური ცვლილებები წესებში (წესების თანმიმდევრობით)

წესი 1 - სათამაშო მოედანი

- ბოძები და ძელი (და ყველა კარი) უნდა იყოს ერთნაირი ფორმის
- გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სიგნალი შეიძლება გადაცემული იქნას ვიდეოსაოპერაციო ოთახში

წესი 6 - მატჩის სხვა ოფიციალური პირები

- ამჟამად არსებობს მატჩის საერთაშორისო ვიდეო ოფიციალური პირების სია

წესი 7 - მატჩის ხანგრძლივობა

- მატჩის შეჩერებებზე დახარჯული დრო ნიშნავს „დაკარგულ“ სათამაშო დროს

წესი 11 - თამაშგარე

- მე-12 წესის განმარტების – თუ სად მთავრდება ხელი (იღლიის ქვედა ნაწილი) – გამოყენება თამაშგარე პოზიციის განსაზღვრის მიზნით

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- ბურთზე ხელით თამაში:
    - ხელის ყოველი შეხება ბურთთან არ არის დარღვევა
    - მოთამაშის ხელის მდგომარეობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მისი სხეულის მოძრაობასთან კავშირში
    - „თანაგუნდელზე“ და „გოლის გატანის შესაძლებლობის შექმნაზე“ მითითების ამოღება შეტევაში ბურთზე შემთხვევით ხელით თამაშისას ჩადენილი დარღვევის განსაზღვრებიდან
- წესისთვის გვერდის ავლის მიზნით „ხრიკის“ გამოყენებით ჩადენილი დარღვევა ვრცელდება კარიდან დარტყმაზე, როდესაც თანაგუნდელის მიერ მეკარისთვის ბურთის გამიზნულად მიწოდებისას მეკარე თამაშობს ბურთზე ხელით. ინიციატორი უნდა დაისაჯოს ყვითელი ბარათით
- საჯარიმო/თავისუფალი/11 მ დარტყმა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ გუნდის განაცხადში მყოფი რომელიმე პირის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევისთვის

მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი

- მსაჯის ვიდეოასისტენტის გამოყენებისთვის საჭიროა მხოლოდ FIFA-ს წერილობითი ნებართვა
- დადგენილია პრინციპები, რომლებიც გამოიყენება სცენარებისას, როდესაც მატჩის ვიდეო ოფიციალურ პირს ან გამეორების ოპერატორს არ შეუძლია მატჩის დაწყება ან გაგრძელება

წესებში ყველა ცვლილების დეტალები 2021/22

ქვემოთ მოყვანილია თამაშის წესების ყველა ცვლილება 2021/22 წლების გამოცემისთვის. ყოველი ცვლილებისთვის მოყვანილია ახალი/შეცვლილი/დამატებული ტექსტი და სადაც შესაძლებელია, ძველი ტექსტიც – მას მოჰყვება ყოველი ცვლილების განმარტება.

ცვლილებები, რომლებიც შეეხო ერთზე მეტ წესს

შენიშვნები თამაშის წესებზე (ყველა წესი) - მეტრული ერთეულები (გვ. 17)

სხვა ენები

(...)

გაზომვები

თუ არსებობს რაიმე სხვაობა ერთეულთა მეტრულ და იმპერიულ სისტემებს შორის, სავალდებულოა მეტრული სისტემით სარგებლობა.

წესი 4, 5, 12 და მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი - არაძალადობრივი არასათანადო საქციელი

იმის დასაშვებად, რომ ზოგიერთი არაძალადობრივი არასათანადო საქციელი (მაგ.: რომელიმე პირის დამამცირებლად შეხება) განხილული იყოს, როგორც „დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან უცენზურო“ და დაისაჯოს გაძევებით, „მოქმედება/მოქმედებები“ ჩაანაცვლებს ~~„ჟესტს/ჟესტიკულაციას“~~ შემდეგ წესებში:

წესი 4 - მოთამაშეთა ეკიპირება

- 5. მოწოდებები, განცხადებები, გამოსახულებები და რეკლამა – წესების ინტერპრეტაცია

წესი 5 - მსაჯი

- 4. მსაჯის ვიდეოასისტენტი – ვიდეოგადამოწმებები თამაშის განახლების შემდეგ

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- 2. თავისუფალი დარტყმა
- 3. სადისციპლინო სანქცია – გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნა
- 3. სადისციპლინო სანქცია – დარღვევები, რომლებიც ისჯება გაძევებით
- 3. სადისციპლინო სანქცია – გუნდის ოფიციალური პირები

მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი

- 1. პრინციპები
- 2. გადაწყვეტილებები/ინციდენტები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მატჩზე და ექვემდებარებიან ვიდეოგადამოწმებას
- 4. პროცედურები

წესი 1, 2 და 4 – FIFA-ს ხარისხის პროგრამა (FQP)

არსებობს ახალი სექცია, რომელშიც აღწერილია „FIFA-ს ხარისხის პროგრამა“. გარკვეული დეტალები „FIFA-ს ხარისხის პროგრამასთან“ მიმართებით და მასთან დაკავშირებული სტანდარტები ამოღებულია წესებიდან ისე, რომ “FIFA-ს ხარისხის პროგრამის“ მომავალი ცვლილებები არ გამოიწვევს წესებში ცვლილებების საჭიროებას. შედეგად, ტექსტში შეტანილი ცვლილებები შემდეგია:

წესი 1 - სათამაშო მოედანი (გვ. 31)

1.მოედნის საფარი

შეცვლილი ტექსტი

FIFA-ს წევრი ასოციაციების წარმომადგენელ გუნდებს შორის შეჯიბრებებში ან საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში გამოყენებული ხელოვნური საფარი უნდა აკმაყოფილებდეს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას საფეხბურთო საფარისთვის“, ~~ან „International Match Standard“~~, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გაცემულია IFAB-ის სპეციალური ნებართვა.

წესი 1 - სათამაშო მოედანი (გვ. 36 და 38)

11. გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია (GLT)

შეცვლილი ტექსტი

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სისტემები შესაძლოა გამოყენებული იყოს იმის დასადგენად, გატანილი იქნა თუ არა გოლი და მსაჯის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.
~~თუ გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, შესაძლოა ნებადართული იყოს კარის კარკასის მოდიფიკაციები გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიისთვის განკუთვნილ „FIFA-ს ხარისხის პროგრამის“ და თამაშის წესების შესაბამისად.~~ გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის გამოყენება გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.
(...)

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის მოთხოვნები და სპეციფიკაციები
თუ გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია გამოყენებულია შეჯიბრების მატჩებში, შეჯიბრების ორგანიზატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ სისტემა (მათ შორის კარის ფორმის ან ბურთში გამოყენებული ტექნოლოგიის ნებისმიერი შესაძლო დასაშვები მოდიფიკაცია) ~~სერტიფიცირებულია ქვემოთ მოყვანილი ერთი რომელიმე სტანდარტის შესაბამისად:~~ პასუხობს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიისთვის“.

- ~~FIFA Quality PRO~~
- ~~FIFA Quality~~
- ~~IMS – INTERNATIONAL MATCH STANDARD~~

~~დამოუკიდებელმა შემმოწმებელმა ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს სხვადასხვა ტექნოლოგიების მომწოდებლების სისტემების აკურატულობა და გამოსადეგობა „FIFA-ს ხარისხის პროგრამა გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიისთვის"-ის ტესტირების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად.~~ თუ გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, მსაჯმა უნდა შეამოწმოს ტექნოლოგიის გამოსადეგობა მატჩამდე, როგორც ეს დადგენილია „ტესტირების სახელმძღვანელოში“. თუ ტექნოლოგია არ ფუნქციონირებს „ტესტირების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, მაშინ მსაჯმა არ უნდა გამოიყენოს გატანილი გოლის განაზღვრის ტექნოლოგიის სისტემა და უნდა მოახსენოს ამის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

~~თუ გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, მსაჯმა უნდა შეამოწმოს ტექნოლოგიის გამოსადეგობა მატჩამდე, როგორც ეს დადგენილია „ტესტირების სახელმძღვანელოში“~~

წესი 2 - ბურთი (გვ. 41)

1. ხარისხი და პარამეტრები

შეცვლილი ტექსტი

FIFA-ს ან კონფედერაციების ეგიდით ორგანიზებული ყველა ოფიციალური შეჯიბრების მატჩებში გამოყენებული ყველა ბურთი უნდა ~~ატარებდეს ქვემოთ მოყვანილიდან ერთ-ერთ ნიშანს:~~ პასუხობდეს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას ბურთებისთვის“ და ატარებდეს ამ პროგრამის ერთ-ერთ ნიშანს.

ყოველი ნიშანი აჩვენებს, რომ (...) და დამტკიცებული უნდა იყოს IFAB-ის მიერ.
~~ტესტების ჩამტარებელ ორგანიზაციებს ამტკიცებს FIFA.~~

~~თუ გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, ბურთები, რომლებშიც ინტეგრირებულია ტექნოლოგია, უნდა ატარებდნენ ზემოთმოყვანილი ხარისხის ნიშნებიდან ერთ-ერთს.~~

წესი 4 - მოთამაშეთა ეკიპირება (გვ. 55)

4. სხვა ეკიპირება
ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები (EPTS)

შეცვლილი ტექსტი

როდესაც FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული ასოციაციების ეგიდით ორგანიზებული ოფიციალური შეჯიბრების მატჩში გამოყენებულია სატარებლად გამოსადეგი ტექნოლოგია (...) შეჯიბრების ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოთამაშეების ეკიპირებაზე მიმაგრებული ტექნოლოგია არ არის სახიფათო და ~~მასზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ნიშანი:~~ და პასუხობს „EPTS-თვის FIFA-ს ხარისხის პროგრამის“ მოთხოვნებს სატარებლად გამოსადეგი EPTS-თვის.

~~ტესტების ჩამტარებელ ორგანიზაციებს ამტკიცებს FIFA.~~

(...)

~~FIFA-ს მიერ შემუშავებული იქნა პროფესიონალური სტანდარტი იმ მიზნით, რათა~~ „EPTS-თვის FIFA-ს ხარისხის პროგრამა“ ეხმარება ~~დაეხმაროს~~ შეჯიბრების ორგანიზატორებს (...)

~~ქვემოთ მოყვანილი ნიშანი მიუთითებს, რომ EPTS (სატარებელი ან ოპტიკური) ოფიციალურად არის შემოწმებული და პასუხობს ფეხბურთის მოთხოვნებს ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების სანდოობის და სიზუსტის თვალსაზრისით.~~

ინდივიდუალური ცვლილებები წესებში (წესების თანმიმდევრობით)

წესი 1 - სათამაშო მოედანი (გვ. 36)

10. კარი

შეცვლილი ტექსტი

კარი შედგება (...) ბოძები და ძელი დამზადებული უნდა იყოს ნებადართული მასალისგან. ~~ისინი უნდა იყოს კვადრატული, მართკუთხა, წრიული ან ელიფსური ~~~~კვეთის~~ და არ უნდა იყოს სახიფათო. ორივე კარის ბოძები და ძელი უნდა იყოს ერთნაირი ფორმის, რომელიც უნდა იყოს კვადრატული, მართკუთხა, წრიული, ელიფსური ან ამ ფორმების ნარევი.

რეკომენდირებულია, რომ FIFA-ს ან კონფედერაციების ეგიდით ჩატარებულ ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოყენებული კარი პასუხობს „FIFA-ს ხარისხის პროგრამას საფეხბურთო კარისთვის“.

განმარტება

- ბოძები და ძელი უნდა იყოს ერთნაირი ფორმის; ორივე კარი უნდა იყოს ერთნაირი.
- დამატებული იქნა მითითება „FIFA-ს ხარისხის პროგრამაზე საფეხბურთო კარისთვის“

წესი 1 - სათამაშო მოედანი (გვ. 38)

11. გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია (GLT)

შეცვლილი ტექსტი

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის პრინციპები

გატანილი გოლის ინდიკაცია უნდა იყოს მყისიერი და ავტომატურად დამოწმებული ერთი წამის ფარგლებში გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სისტემის საშუალებით მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირებისთვის (მსაჯის საათის მეშვეობით, ვიზუალური სიგნალის და ვიბრაციის დახმარებით). ის ასევე შეიძლება გადაცემული იქნას ვიდეოსაოპერაციო ოთახში.

განმარტება

როდესაც გამოყენებულია მსაჯის ვიდეოასისტენტი, გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგიის სიგნალი შეიძლება გაგზავნილი იქნას ვიდეოსაოპერაციო ოთახში.

წესი 6 - მატჩის სხვა ოფიციალური პირები (გვ. 69)

შეცვლილი ტექსტი

მსაჯის ვიდეოასისტენტი (VAR) და მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი (AVAR) არიან მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები და ეხმარებიან მსაჯს თამაშის წესების და მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის შესაბამისად. ~~როგორც განსაზღვრულია IFAB-ის მიერ~~.

განმარტება

ამჟამად არსებობს მატჩის საერთაშორისო ვიდეო ოფიციალური პირების სია.

წესი 7 - მატჩის ხანგრძლივობა (გვ. 77)

3. დამატებული დრო

შეცვლილი ტექსტი

მსაჯი ორივე ტაიმს დაუმატებს იმ სრულ სათამაშო დროს, რაც დაიკარგა შესაბამის ტაიმში (...)

განმარტება

დაზუსტება, რომ თუ მაგალითად ტაიმის მიწურულისკენ არის შეჩერება, რომელიც უფრო ხანგრძლივია, ვიდრე დარჩენილი სათამაშო დრო, მაშინ ნათამაშები (და სათადარიგო მსაჯის მიერ ნაჩვენები) „დამატებული დრო“ , არის დარჩენილი სათამაშო დრო და არა შეჩერების ხანგრძლივობა.

წესი 11 - თამაშგარე (გვ. 93)

1. თამაშგარე მდგომარეობა

დამატებული ტექსტი

ყველა მოთამაშის, მათ შორის მეკარის, ხელები მხედველობაში არ მიიღება. თამაშგარის განსაზღვრის მიზნით ხელის ზედა საზღვარი არის იღლიის ქვედა ნაწილთან ერთ ხაზზე.

განმარტება

ბურთზე ხელით თამაშისთვის მხარი არ წარმოადგენს ხელის ნაწილს. შესაბამისად ის არის სხეულის ნაწილი, რომლითაც შესაძლებელია გოლის დარღვევის გარეშე გატანა და ამიტომ თამაშგარის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი (გვ. 98)

1. საჯარიმო დარტყმა

დამატებული ტექსტი

საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე დარღვევას:

- (...)
- კბენს ან აფურთხებს ვინმეს გუნდების განაცხადებიდან ან მატჩის ოფიციალურ პირს

განმარტება

საჯარიმო/თავისუფალი/11 მ დარტყმა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ გუნდების განაცხადებში მყოფი რომელიმე პირის (მოთამაშეები, სათადარიგოები, შეცვლილი მოთამაშეები, გაძევებული მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები) ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევისთვის.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი (გვ. 98)

1. საჯარიმო დარტყმა-ბურთზე ხელით თამაში

ძველი ტექსტი (წაშლილი ნაწილების ჩვენებით)

(...)

დარღვევაა, თუ მოთამაშე:

- განზრახ ეხება ბურთს ხელით, მათ შორის ხელის მოძრაობით ბურთისკენ
- გაიტანს მას მეტოქის კარში უშუალოდ ხელით, თუნდაც შემთხვევით, მათ შორის მეკარეც
- მას შემდეგ, რაც ბურთი შეეხო მის ~~ან მისი თანაგუნდელის ხელს~~, თუნდაც შემთხვევით, დაუყოვნებლივ:
  - გაიტანს მას მეტოქის კარში
  - ~~ქმნის გოლის გატანის შესაძლებლობას~~
- ~~ეხება ბურთს მისი ხელით, როდესაც:~~
  - ~~ხელი მის სხეულს ხდის არაბუნებრივად დიდს~~
  - ~~ხელი არის მისი მხრის დონის ზევით/მილმა (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოთამაშე თამაშობს ბურთზე, რომელიც შემდეგ ეხება მის ხელს)~~

~~ზემოთ მოყვანილი დარღვევები ვრცელდება იმ შემთხვევებზეც კი, თუ ბურთი ეხება მოთამაშის ხელს უშუალოდ სხვა რომელიმე მოთამაშის თავისგან ან სხეულისგან (მათ შორის ფეხისგან), რომელიც იმყოფება ახლოს.~~

~~ზემოთ მოყვანილი დარღვევების გამოკლებით, როგორც წესი, არ არის დარღვევა, თუ ბურთი ეხება მოთამაშის ხელს:~~

- ~~უშუალოდ მოთამაშის საკუთარი თავისგანნ ან სხეულისგან (მათ შორის ფეხისგან)~~
- ~~უშუალოდ სხვა რომელიმე მოთამაშის თავისგან ან სხეულისგან (მათ შორის ფეხისგან), რომელიც იმყოფება ახლოს~~
- ~~თუ ხელი არის სხეულთან ახლოს და არ ხდის სხეულს არაბუნებრივად დიდს~~
- ~~როდესაც მოთამაშე ეცემა და ხელი არის სხეულსა და მიწას შორის სხეულის მხარდასაჭერად და არ არის გაშლილი სხეულიდან გვერდით ან ზევით~~

ახალი ტექსტი

(...)

ხელის ყოველი შეხება ბურთთან არ არის დარღვევა.

დარღვევაა, თუ მოთამაშე:

- განზრახ ეხება ბურთს ხელით, მაგალითად ხელის მოძრაობით ბურთისკენ
- ეხება ბურთს ხელით, როდესაც ის მის სხეულს ხდის არაბუნებრივად დიდს. ითვლება, რომ მოთამაშემ მისი სხეული არაბუნებრივად გაზარდა, როდესაც მისი ხელის მდგომარეობა ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არ არის მისი სხეულის მოძრაობის შედეგი ან არ არის გამართლებული ამ მოძრაობით. ხელის ამგვარი მდგომარეობით მოთამაშე ეწევა რისკს, რომ ბურთი მოხვდება მის ხელს და იქნება დასჯილი.
- გაიტანს მას მეტოქის კარში:
  - უშუალოდ ხელით, თუნდაც შემთხვევით, მათ შორის მეკარეც
  - დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ბურთი შეეხო მის ხელს, თუნდაც შემთხვევით

განმარტება

- ხელსა და ბურთს შორის ყოველი კონტაქტი არ წარმოადგენს ბურთზე ხელით თამაშით დარღვევას
- მსაჯებმა უნდა შეაფასონ თუ რამდენად "გამართლებულია" ხელის მდგომარეობა იმასთან მიმართებით, თუ რას აკეთებს მოთამაშე კონკრეტულ სიტუაციაში
- თანაგუნდელის მიერ გოლის გატანამდე ბურთზე შემთხვევით ხელით თამაში და გოლის გატანის შესაძლებლობის შექმნა ბურთზე შემთხვევით ხელით თამაშით აღარ განიხილება, როგორც დარღვევა

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი (გვ. 100 და 104)

2. თავისუფალი დარტყმა

დამატებული ტექსტი

თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე:

- (...)
- წამოიწყებს წინასწარგანზრახულ ხრიკს მეკარისთვის ბურთის მისაწოდებლად (მათ შორის თავისუფალი/საჯარიმო ან კარიდან დარტყმისას) თავით, მკერდით, მუხლით და ა.შ., რათა გვერდი აუაროს წესს, იმის მიუხედავად, ეხება თუ არა მეკარე ხელებით ბურთს; მეკარე დაისჯება, თუ პასუხისმგებელია წინასწარგანზრახული ხრიკის წამოწყებაზე.
- ჩაიდენს ნებისმიერ სხვა დარღვევას (...)

(...)

3. სადისციპლინო სანქცია - გაფრთხილებები არასპორტული საქციელისთვის

შეცვლილი ტექსტი

არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, მათ შორის, თუ მოთამაშე:

- (...)
- წამოიწყებს წინასწარგანზრახულ ხრიკს მეკარისთვის ბურთის მისაწოდებლად, ~~რათა ბურთი მიაწოდოს~~ (მათ შორის საჯარიმო/თავისუფალი ან კარიდან დარტყმისას) მეკარეს თავით, მკერდით, მუხლით და ა.შ., რათა გვერდი აუაროს წესს, იმის მიუხედავად, ეხება თუ არა მეკარე ხელებით ბურთს; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია წინასწარგანზრახული ხრიკის წამოწყებაზე.

განმარტება

დარღვევა „ხრიკის" გამოყენებით, რათა გვერდი აუარონ წესებს, რომელიც აარიდებს მეკარეს ბურთზე ხელით თამაშს თანაგუნდელის მიერ მისთვის ბურთის გამიზნულად მიწოდებისას, ამჟამად გამოიყენება კარიდან დარტყმის დროსაც; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია „ხრიკის" ინიცირებაზე.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი (გვ. 109-110)

4. თამაშის განახლება წესების დარღვევების და უდისციპლინო საქციელის შემდეგ

შეცვლილი ტექსტი

თუ ბურთი თამაშშია და მოთამაშე ჩაიდენს ფიზიკურ დარღვევას სათამაშო მოედანზე:

- მეტოქის წინააღმდეგ – თავისუფალი, საჯარიმო ან 11 მ დარტყმა
- თანაგუნდელის, სათადარიგო მოთამაშის, შეცვლილი მოთამაშის ან გაძევებული მოთამაშის, გუნდის ოფიციალური პირის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ – საჯარიმო დარტყმა ან 11 მ დარტყმა
- ~~ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ – „სადავო“ ბურთის გდება~~

ყველა სიტყვიერი დარღვევა ისჯება თავისუფალი დარტყმით.

თუ მსაჯი აჩერებს თამაშს დარღვევისთვის, რომელიც ჩაიდინა მოთამაშემ უცხო პირის (ან ცხოველის, საგნის და ა.შ.) წინააღმდეგ სათამაშო მოედანზე ან მის მიღმა, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთის გდებით, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დანიშნულია საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედნის დატოვებისთვის.

განმარტება

საჯარიმო/თავისუფალი/11 მ დარტყმა შეიძლება დანიშნული იქნას მხოლოდ გუნდების განაცხადებში შეყვანილი პირების (მოთამაშეები, სათადარიგოები, შეცვლილი მოთამაშეები, გაძევებული მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები) ან მატჩის ოფიციალური პირების წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევებისთვის. თუ მატჩი შეჩერებული იქნა ინციდენტისთვის ნებისმიერი სხვა პირის, ცხოველის, საგნის და ა.შ. (გარეშე ფაქტორი) მონაწილეობით, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დანიშნულია საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა მოთამაშის მიერ მსაჯის ნებართვის გარეშე მოედნის დატოვებისთვის.

მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი (გვ. 135)

შეცვლილი ტექსტი

მსაჯის ვიდეოასისტენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მატჩის/შეჯიბრების ორგანიზატორმა შეასრულა „დანერგვის მხარდაჭერის და დამტკიცების პროგრამის“ (IAAP – Implementation Assistance and Approval Programme) ~~მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის და დანერგვის~~ ყველა მოთხოვნა, როგორც ეს დადგენილია FIFA-ს საბუთებში IAAP-ის შესახებ ~~მსაჯის ვიდეოასისტენტის სახელმძღვანელოში~~ და მიღებული აქვს ~~IFAB-ის და~~ FIFA-ს წერილობითი თანხმობა.

განმარტება

წერილობითი ნებართვა მსაჯის ვიდეოასისტენტის გამოყენებისთვის საჭიროა მხოლოდ FIFA-გან.

მსაჯის ვიდეოასისტენტის (VAR) პროტოკოლი (გვ. 142)

4. პროცედურები

დამატებული ტექსტი

მსაჯის ვიდეოასისტენტი, მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი და გამეორების ოპერატორი, რომელთაც არ შეუძლიათ თავისი ფუნქციების შესრულება

წესი 6 – მატჩის სხვა ოფიციალური პირები – ადგენს: „შეჯიბრების დებულებამ ნათლად უნდა დაადგინოს თუ ვინ შეცვლის მატჩის ოფიციალურ პირს, როდესაც მას არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი და ასევე ნებისმიერი ამასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება“. იმ მატჩებში, სადაც გამოყენებულია მსაჯის ვიდეოასისტენტი, ეს ეხება ასევე გამეორების ოპერატორს.

ვინაიდან მატჩის ვიდეო ოფიციალურ პირს/გამეორების ოპერატორს სჭირდება სპეციალური მომზადება და კვალიფიკაცია, შემდეგი პრინციპები გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში:

- თუ მსაჯის ვიდეოასისტენტს, მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტს ან გამეორების ოპერატორს არს შეუძლია მატჩის დაწყება ან გაგრძელება, ის შეიძლება შეცვლილი იქნას მხოლოდ ამ როლისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე პირით
- თუ ვერ მოიძებნა კვალიფიციური პირი მსაჯის ვიდეოასისტენტის ან გამეორების ოპერატორის* შეცვლისთვის, მატჩი უნდა ჩატარდეს მსაჯის ვიდეოასისტენტების გარეშე
- თუ ვერ მოიძებნა კვალიფიციური პირი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტის* შეცვლისთვის, მატჩი უნდა ჩატარდეს/გაგრძელდეს მსაჯის ვიდეოასისტენტების გარეშე, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც ორივე გუნდი წერილობითი ფორმით თანახმაა, რომ მატჩი ჩატარდეს/გაგრძელდეს მხოლოდ მსაჯის ვიდეოასისტენტით და გამეორების ოპერატორით

*ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც არის ერთზე მეტი მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი/გამეორების ოპერატორი.

განმარტება

შეჯიბრების დებულება უნდა შეიცავდეს პრინციპებს, რომელთა დაცვა საჭიროა, როდესაც მატჩის ვიდეო ოფიციალურ პირს ან გამეორების ოპერატორს არ შეუძლიათ თავისი ფუნქციების შესრულება მატჩის დაწყებამდე ან მატჩის მიმდინარეობისას.

ლექსიკონი - საფეხბურთო ტერმინები (გვ. 173)

დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და უცენზურო გამოთქმები/მოქმედებები

სიტყვიერი ან ფიზიკური საქციელი, რომელიც არის უხეში, შეურაცხმყოფელი, უპატივცემულო; ისჯება გაძევებით (წითელი ბარათი)

ლექსიკონი - სამსაჯო ტერმინები (გვ. 179)

მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები (VMO’s)

ეს პირები არიან მსაჯის ვიდეოასისტენტი და მსაჯის ვიდეოასისტენტის ასისტენტი, რომლებიც ეხმარებიან მსაჯს თამაშის წესების და მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის შესაბამისად





ლექსიკონი

ტერმინთა ლექსიკონი შეიცავს სიტყვებს/ფრაზებს, რომლებიც საჭიროებენ დაზუსტებას ან განმარტებას წესებში მოყვანილი დეტალების გარდა და/ან რომელთა თარგმნა სხვა ენებზე არ არის ყოველთვის ადვილი.

საფეხბურთო ორგანიზაციები

The IFAB - საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო

ორგანიზაცია, რომელიც შედგება ოთხი ბრიტანული საფეხბურთო ასოციაციის და FIFA-გან და პასუხისმგებელია თამაშის წესებზე მთელ მსოფლიოში. ცვლილებები წესებში შესაძლებელია დამტკიცდეს მხოლოდ ყოველწლიურ გენერალურ სხდომაზე, რომელიც, როგორც წესი, ტარდება თებერვალში ან მარტში

FIFA - საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია

ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე მთელ მსოფლიოში

National Football Association - ეროვნული საფეხბურთო ასოციაცია

ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე ქვეყნის მასშტაბით

Confederation - კონფედერაცია

ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე კონტინეტის მასშტაბით. არსებობს ექვსი კონფედერაცია: AFC (აზია), CAF (აფრიკა), CONCACAF (ჩრდილოეთი, ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები), CONMEBOL (სამხრეთ ამერიკა), OFC (ოკეანია) და UEFA (ევროპა)

საფეხბურთო ტერმინები

ა

არასპორტული საქციელი (Unsporting behaviour)
არასამართლიანი მოქმედება/საქციელი; ისჯება გაფრთხილებით

გ

გაფრთხილება (Caution)
ოფიციალური სანქცია, რომლის შედეგად სადისციპლინო ორგანოს მიეწოდება პატაკი; გამოიხატება ყვითელი ბარათის ჩვენებით; მატჩში ორი ყვითელი ბარათი იწვევს მოთამაშის ან გუნდის ოფიციალური პირის გაძევებას

გადაჭარბებული ძალა (Excessive force)
საჭიროზე მეტი ძალის/ენერგიის გამოყენება

გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია (Goal line technology - GLT)
ელექტრონული სისტემა, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს მსაჯს გატანილი გოლის შესახებ, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს კარში (დეტალებისთვის იხ. წესი 1)

გარეშე ფაქტორი (Outside agent)
ნებისმიერი ცხოველი, საგანი ან კონსტრუქცია და ა.შ., ასევე ნებისმიერი უცხო პირი, რომელიც არ წარმოადგენს მატჩის ოფიციალურ პირს ან არ არის შეყვანილი გუნდის შემადგენლობაში (მოთამაშეები, სათადარიგო მოთამაშეები და გუნდის ოფიციალური პირები)

გაუაზრებელი (Reckless)
მოთამაშის რაიმე მოქმედება (როგორც წესი ვარდნა ან ორთაბრძოლა), რომელიც უგულვებელყოფს (არ ითვალისწინებს) საფრთხეს ან შედეგებს მეტოქისთვის

განახლება (Restart)
თამაშის განახლების ნებისმიერი მეთოდი მისი შეჩერების შემდეგ

განახლების ადგილი (Restart position)
მოთამაშეთა პოზიცია თამაშის განახლებისას განისაზღვრება მათი ტერფების ან სხეულის ნებისმიერი ნაწილით, რომელიც ეხება მიწას, გარდა მე-11 წესში - თამაშგარე - ნახსენებისა

გაძევება (Sending-off)
სადისციპლინო სანქცია, როდესაც მოთამაშეს მოეთხოვება დატოვოს მოედანი მატჩის ბოლომდე ისეთი დარღვევისთვის, რომელიც იმსახურებს გაძევებას (წითელი ბარათის ჩვენებით); თუ მატჩი დაწყებულია, მოთამაშის ჩანაცვლება არ შეიძლება

გუნდის განაცხადი (Team list)
გუნდის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც როგორც წესი შეიცავს მოთამაშეთა, სათადარიგო მოთამაშეთა და გუნდის ოფიციალური პირების ჩამონათვალს

გუნდის ოფიციალური პირი (Team official)
ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს მოთამაშეს და შეყვანილია გუნდის ოფიციალურ განაცხადში, მაგ.: მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ექიმი (იხილეთ ტექნიკური პერსონალი)

დ

დროებით გაძევება (Temporary dismissal)
ზოგიერთი/ყველა ყვითელი ბარათით დასჯადი (შეჯიბრების დებულების მიხედვით) დარღვევებისთვის დამნაშავე მოთამაშის მატჩის შემდგომ ნაწილში მონაწილეობის დროებით შეჩერება

დამატებული დრო (Additional time)
დრო, რომელიც ემატება მატჩის ყოველ ტაიმს დასასრულისას – შეცვლების, ტრავმების, სადისციპლინო სანქციების, გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნის და სხვა მიზეზების გამო „დაკარგული“ სათამაშო დროის კომპენსირებისთვის

დამატებითი დრო (Extra time)
მატჩის შედეგის განსაზღვრის მეთოდი თამაშის ორი დამატებითი ტაიმის დანიშვნით

დროებით შეწყვეტა (Suspend)
მატჩის შეჩერება დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში საბოლოოდ მისი კვლავ განახლების მიზნით, მაგ.: ნისლი, ძლიერი წვიმა, ჭექა-ქუხილი, მძიმე ტრავმა

დაჯარიმება (Penalise)
დასჯა, როგორც წესი თამაშის შეჩერებით და საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმის დანიშვნით მეტოქე გუნდის სასარგებლოდ *(იხილეთ აგრეთვე უპირატესობა)*

დარტყმები 11 მ ნიშნულიდან (Kicks from the penalty mark)
მატჩის შედეგის დადგენის მეთოდი, როდესაც ორივე გუნდი რიგრიგობით ასრულებს დარტყმებს, ვიდრე რომელიმე გუნდი არ გაიტანს ერთით მეტ გოლს ორივე გუნდის მიერ დარტყმების თანაბარი რაოდენობის შესრულებისას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც პირველი 5 დარტყმისას ორივე გუნდისთვის, ერთი გუნდი ვერ შეძლებს გაუთანაბრდეს მეორე გუნდს გატანილი გოლების რაოდენობაში, თუნდაც მათ ყველა დარჩენილი დარტყმისას გაიტანონ გოლი)

დარღვევა (Offence)
მოქმედება, რომელიც არღვევს/ბღალავს თამაშის წესებს

ე

ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემა (Electronic performance and tracking system)
სისტემა, რომელიც იწერს და აანალიზებს მოთამაშის ფიზიკური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების მონაცემებს

ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას (Endanger the safety of an opponent)
მეტოქის საფრთხეში ან რისკის ქვეშ (დაშავების) ჩაგდება

ვ

ვარდნა (Tackle)
ბრძოლა ბურთისთვის ფეხების გამოყენებით (მიწაზე ან ჰაერში)

თ

თავისუფალი დარტყმა (Indirect free kick)
დარტყმა, რომლიდანაც უშუალოდ გოლის კარში გატანა შესაძლებელია, თუ რომელიმე სხვა მოთამაშე (ნებისმიერი გუნდის) შეეხება ბურთს დარტყმის შემდეგ

თამაშის სულისკვეთება (Spirit of the game)
ფეხბურთის, როგორც სპორტის და ასევე ცალკეული მატჩის (იხ. მე-5 წესი) ძირითადი/არსებითი პრინციპები/ხასიათი/ეთოსი

თავდასხმა (მეტოქეზე) (Charge (an opponent)
ფიზიკური ბრძოლა/ზემოქმედება მეტოქის წინააღმდეგ, როგორც წესი მხრის ან ხელის ზედა ნაწილის გამოყენებით (რომელიც სხეულთან ახლოს იმყოფება)

თამაში (Play)
მოთამაშის მოქმედება, რომელიც გულისხმობს ბურთზე კონტაქტს

კ

კარის გადარჩენა (Save)
მოთამაშის მოქმედება, როდესაც ის აჩერებს ან ცდილობს გააჩეროს ბურთი, რომელიც უნდა გავიდეს კარში ან ძალიან ახლოს არის კართან, სხეულის ნებისმიერი ნაწილის გამოყენებით, ხელების გარდა (გარდა მეკარისა საკუთარ საჯარიმო მოედანში)

მ

მოტყუება (Deceive)
მოქმედება მსაჯის შეცდომაში შეყვანის/მოტყუების მიზნით, რათა გამოტანილი იქნას არასწორი გადაწყვეტილება/სადისციპლინო სანქცია, რომლითაც სარგებლობს მომტყუებელი და/ან მისი გუნდი

ო

ორთაბრძოლა (Challenge)
მოქმედება, როდესაც მოთამაშე ეჯიბრება/ებრძვის მეტოქეს ბურთისთვის

ს

სტუმრად გატანილი გოლების წესი (Away goals rule)
მატჩის/შეხვედრებში გამარჯვებულის გამოვლენის მეთოდი, როდესაც ორივე გუნდმა გაიტანა გოლების ერთნაირი რაოდენობა; მასპინძლისთვის სტუმრად გატანილი გოლი ითვლება ორად

სისასტიკე (Brutality)
ველური, დაუნდობელი ან განზრახ ძალადობრივი მოქმედება

საჯარიმო დარტყმა (Direct free kick)
დარტყმა, საიდანაც უშუალოდ შესაძლებელია ბურთზე ფეხის დარტყმით მეტოქის კარში გოლის გატანა

„სადავო“ ბურთი (Dropped ball)
თამაშის განახლების მეთოდი – მსაჯი აგდებს ბურთს გუნდის იმ ერთი მოთამაშისთვის, რომელიც ბოლოს შეეხო ბურთს (გარდა საჯარიმო მოედნისა, სადაც ბურთი იქნება დაგდებული მეკარისთვის); ბურთი თამაშშია, როდესაც შეეხება მიწას

სათამაშო მოედანი (Field of play (pitch))
სათამაშო არეალი, მოქცეული გვერდითი, კარის ხაზების და კარის ბადეს შორის (სადაც ის გამოყენებულია)

სათამაშო მანძილი (Playing distance)
მანძილი ბურთამდე, რომელიც საშუალებას აძლევს მოთამაშეს შეეხოს ბურთს ტერფის/ფეხის გაშლით ან ნახტომში ან მეკარეებისთვის, ნახტომში გაშლილი ხელებით. მანძილი დამოკიდებულია მოთამაშის ფიზიკურ ზომაზე

სწრაფი საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა (Quick free kick)
თამაშის შეჩერების შემდეგ ძალიან სწრაფად შესრულებული საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა (მსაჯის ნებართვით)

სანქცია (Sanction)
მსაჯის მიერ გამოტანილი სადისციპლინო სანქცია

სიგნალი (Signal)
ფიზიკური ნიშანი მსაჯისაგან ან მატჩის ნებისმიერი ოფიციალური პირისაგან; როგორც წესი გულისხმობს ხელის ან ალმის მოძრაობას, ან სასტვენის გამოყენებას (მხოლოდ მსაჯი)

სიმულაცია (Simulation)
მოქმედება, რომელიც ქმნის მცდარ/ყალბ შთაბეჭდილებას, რომ რაღაც მოხდა, როდესაც ეს არ მომხდარა (იხილეთ აგრეთვე deceive); ჩადენილია მოთამაშის მიერ არასამართლიანი უპირატესობის მოპოვების მიზნით

ტ

ტრავმირებული მოთამაშის შემოწმება (Assessment of injured player)
ტრავმის სწრაფი შემოწმება, როგორც წესი, სამედიცინო პერსონალის მიერ, იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა მოთამაშე მკურნალობას

ტექნიკური ზონა (Technical area)
გარკვეული ზონა (სტადიონზე) დასაჯდომი ადგილებით გუნდის ოფიციალური პირებისთვის (იხილეთ წესი 1 დეტალებისთვის)

ტექნიკური პერსონალი (Technical staff)
გუნდის ოფიციალური წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოთამაშეებს და შეყვანილი არიან გუნდის ოფიციალურ განაცხადში, მაგ.: მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ექიმი (იხილეთ გუნდის ოფიციალური პირი)

უ

უპირატესობა (Advantage)
მსაჯი აგრძელებს თამაშს, როდესაც ხდება დარღვევა, თუ ეს სარგებელს აძლევს იმ გუნდს, რომლის წინააღმდეგ მოხდა დარღვევა

უთანხმოება (Dissent)
მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილების მიმართ პროტესტის ან უთანხმოების საჯარო გამოხატვა (სიტყვიერად და/ან ფიზიკურად); ისჯება გაფრთხილებით (ყვითელი ბარათით)

უმნიშვნელო (Negligible)
შეუმჩნეველი, მინიმალური

უადგილო ჩარევა (Undue Interference)
მოქმედება/ზეგავლენა, რომელიც არ არის საჭირო

ფ

ფეხით დარტყმა (Kick)
ბურთი ფეხით დარტყმულია, როდესაც მოთამაშე მასზე მოახდენს კონტაქტს ტერფით და/ან ქუსლით

ყ

ყურადღების გაფანტვა (Distract)
შეცბუნება, დაბნევა ან ყურადღების გაფანტვა (როგორც წესი არასამართლიანად)

შ

შეწყვეტა სრულად (Abandon)
წინასწარ დადგენილ დროზე ადრე მატჩის დასრულება/დამთავრება

შესვენება გაგრილებისთვის (“Cooling” brake)
მოთამაშეთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, შეჯიბრების დებულებამ შეიძლება დაუშვას, ამინდის გარკვეულ პირობებში (მაღალი ტენიანობა და ტემპერატურა), შესვენებები „გასაგრილებლად“ (როგორც წესი, 90 წამიდან 3 წუთამდე), რათა სხეულის ტემპერატურა შემცირდეს; ეს შესვენებები განსხვავდება „სითხეების დასალევად“ გამოყოფილი შესვენებებისაგან

შეხედულება, მოსაზრება (Discretion)
მსაჯის ან მატჩის სხვა ოფიციალური პირის მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოყენებული მსჯელობა

„შესვენებები სითხეების დასალევად" ("Drinks brake")
შეჯიბრების დებულებამ შესაძლოა დაუშვას შესვენებები მოთამაშეებისათვის სითხეების დასალევად (არაუმეტეს ერთი წუთი), რეჰიდრატაციის მიზნით; ეს განსხვავდება შესვენებისგან „გაგრილების" მიზნით

შეფერხება (Impede)
ოპონენტის მოქმედების ან მოძრაობის შეყოვნება, ბლოკირება ან ხელის შეშლა

შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან უცენზურო გამოთქმები/მოქმედებები (Offensive, insulting or abusive language/action(s)
სიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც არის უხეში, შეურაცხმყოფელი, უპატივცემულო; ისჯება გაძევებით (წითელი ბარათი)

ჩ

ჩაჭრა (Itrecept)
ხელის შეშლა ბურთზე თამაშით, რათა მან არ მიაღწიოს დანიშნულების ადგილ

ცვ

ცრუ მოძრაობა (Feinting)
მოქმედება, როდესაც მოთამაშე ცდილობს მეტოქის დაბნევას. წესები განსაზღვრავს დასაშვებ და „აკრძალულ" ცრუ მოძრაობებს

ძ

ძალადობრივი მოქმედება (Violent conduct)
მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს ბურთისთვის ორთაბრძოლას, რომელიც გამოიხატება გადაჭარბებული ძალის ან სისასტიკის გამოყენებაში ან გამოყენების მცდელობაში მეტოქის წინააღმდეგ ან როდესაც მოთამაშე განზრახ ურტყამს თავში ან სახეში ვინმეს და გამოყენებული ძალა არ არის უმნიშვნელო

წ

წინასწარგანზრახული, გამიზნული (Deliberate)
მოქმედება, რომელსაც მოთამაშე აპირებდა/უნდოდა ჩაედინა: ეს არ არის „რეფლექსური" ან დაუფიქრებელი რეაქცია

წესების სერიოზული დარღვევა (Serious foul play)
ვარდნა ან ორთაბრძოლა ბურთისთვის, რომელიც ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას ან იყენებს გადაჭარბებულ ფიზიკურ ძალას/სისასტიკეს; ისჯება გაძევებით (წითელი ბარათით)

ჰ

ჰიბრიდული სისტემა (Hybrid system)
ხელოვნური და ბუნებრივი მასალების კომბინაცია, სათამაშო ზედაპირის შექმნის მიზნით, რომელიც საჭიროებს მზის სინათლეს, წყალს, ჰაერის ცირკულაციას და მოძრაობას

სამსაჯო ტერმინები

მატჩის ოფიციალური პირი/პირები (Match official (s))
ძირითადი ტერმინი იმ პირის ან პირებისათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფეხბურთის მატჩის კონტროლზე საფეხბურთო ასოციაციის და/ან შეჯიბრების სახელით, რომლის იურისდიქციითაც ტარდება მატჩი

მსაჯი (Referee)
მატჩის მთავარი ოფიციალური პირი, რომელიც მოქმედებს სათამაშო მოედანზე. მატჩის სხვა ოფიციალური პირები მოქმედებენ მსაჯის კონტროლით და ხელმძღვანელობით. მსაჯი არის ერთადერთი პირი, ვინც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს

მატჩის სხვა ოფიციალური პირები (Other match officials)
„მოედანზე მყოფი“ მატჩის ოფიციალური პირები (“On-field” match officials) მსაჯის დასახმარებლად შეჯიბრებებში შესაძლოა დაინიშნონ მატჩის სხვა ოფიციალური პირები:

- **მსაჯის ასისტენტი (Assistant referee)**
  მატჩის ოფიციალური პირი ალმით ხელში, რომელსაც უკავია პოზიცია ყოველი გვერდითი ხაზის ერთ ნახევარზე მსაჯის დასახმარებლად, კერძოდ, თამაშგარე სიტუაციებისას და კარიდან დარტყმის/კუთხური დარტყმის/ბურთის შემოგდების გადაწყვეტილებებისას
- **სათადარიგო მსაჯი (Fourth official)**
  მატჩის ოფიციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელია მსაჯის დახმარებაზე მოედნის გარეთ და მოედანზე არსებულ საკითხებში, კერძოდ, ტექნიკური ზონის მეთვალყურეობაში, სათადარიგო მოთამაშეების კონტროლში და ა.შ.
- **მსაჯის დამატებითი ასისტენტი (Additional assistant referee)**
  მატჩის ოფიციალური პირი, რომელსაც უკავია პოზიცია ყოველ კარის ხაზზე მსაჯის დასახმარებლად, კერძოდ, საჯარიმო მოედანსა და მის გარშემო წარმოქმნილ სიტუაციებში და გადაწყვეტილებებში, რომლებიც დაკავშირებულია სიტუაციასთან: გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი
- **მსაჯის სათადარიგო ასისტენტი (Reserve assistant referee)**
  მსაჯის ასისტენტი, რომელიც შეცვლის ასისტენტს (და, თუ შეჯიბრების დებულება უშვებს, სათადარიგო მსაჯს და/ან მსაჯის დამატებით ასისტენტს), რომელსაც აღარ შეუძლია მატჩის გაგრძელება

მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები (“Video” match officials (VMOs))
მსაჯის ვიდეოასისტენტი და „მსაჯის ვიდეოასისტენტის“ ასისტენტი არიან მატჩის „ვიდეო“ ოფიციალური პირები, რომლებიც ეხმარებიან მსაჯს თამაშის წესების და მსაჯის ვიდეოასისტენტის პროტოკოლის შესაბამისად

- **მსაჯის ვიდეოასისტენტი (Video assistant referee)**
  მოქმედი ან ყოფილი მსაჯი, რომელიც დანიშნულია მატჩზე, რათა დაეხმაროს მსაჯს გამეორებული ვიდეოკადრების შესახებ ინფორმაციის მისთვის მიწოდებით, მხოლოდ „ნათელ და აშკარა შეცდომასთან“ და „სერიოზულ გამოტოვებულ ინციდენტთან“ დაკავშირებულ ერთ-ერთ კატეგორიაში, რომელიც ექვემდებარება ვიდეოგადამოწმებას
- **„მსაჯის ვიდეოასისტენტის“ ასისტენტი (Assistant video assistant referee)**
  მოქმედი ან ყოფილი მსაჯი/მსაჯის ასისტენტი, რომელიც დანიშნულია მატჩზე, რათა დაეხმაროს მსაჯის ვიდეოასისტენტს

პრაქტიკული სახელმძღვანელო მსაჯებისათვის



შესავალი

ეს სახელმძღვანელო შეიცავს პრაქტიკულ რჩევებს მატჩის ოფიციალური პირებისთვის, რომელიც ავსებს თამაშის წესებში არსებულ ინფორმაციას.

მე-5 წესში არის მითითება მსაჯებზე, რომლებიც მოქმედებენ თამაშის წესების და „თამაშის სულისკვეთების“ ფარგლებში. არსებობს იმის მოლოდინი, რომ მსაჯები იხელმძღვანელებენ საღი აზრით და გაითვალისწინებენ „თამაშის სულისკვეთებას“ თამაშის წესების გამოყენებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მატჩის ჩატარების და/ან გაგრძელების შესახებ.

ეს განსაკუთრებით სწორია ფეხბურთის დაბალი საფეხურებისთვის, სადაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი წესების მკაცრად დაცვა. მაგ.: თუ არ არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, მსაჯმა უნდა დაიწყოს/ გააგრძელოს თამაში, თუ:

- არ არის ერთი ან მეტი კუთხური ალამი
- არის მცირე უზუსტობა მოედნის დახაზვაში, მაგალითად, კუთხური ზონის, ცენტრალური წრის და ა.შ.
- კარის ბოძები/ძელი არ არის თეთრი ფერის

ასეთ შემთხვევებში, მსაჯმა, გუნდებთან შეთანხმებით, უნდა დაიწყოს/ გააგრძელოს მატჩი და წარუდგინოს პატაკი შესაბამის ორგანოებს.

აღნიშვნა:

- AR = მსაჯის ასისტენტი
- AAR = მსაჯის დამატებითი ასისტენტი

ადგილის შერჩევა, მოძრაობა და გუნდური მუშაობა

1. **ადგილის შერჩევის და მოძრაობის ძირითადი პრინციპები**
   საუკეთესო პოზიცია არის ის, საიდანაც მსაჯს შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება. ყველა რეკომენდაცია მოედანზე ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით კორექტირებული უნდა იქნას გუნდების, მოთამაშეების და მატჩში მომხდარი მოვლენების შესახებ არსებული სპეციფიური ინფორმაციის გამოყენებით.

   სქემებზე ნაჩვენებია ძირითადი რეკომენდირებული პოზიციები მსაჯებისთვის. მინიშნება „ზონაზე“ ხაზს უსვამს, რომ რეკომენდირებული პოზიცია არის სივრცე, სადაც მსაჯი სავარაუდოდ იმოქმედებს ყველაზე ეფექტურად. ზონა შეიძლება იყოს უფრო ვრცელი, მცირე ან სხვადასხვა ფორმის, კონკრეტულ მატჩში არსებული გარემოებების მიხედვით.

   რეკომენდაციები:
   - თამაში უნდა მიმდინარეობდეს მსაჯსა და მსაჯის „წამყვან“ ასისტენტს შორის
   - მსაჯის „წამყვანი“ ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს მსაჯის მხედველობის არეში, ამიტომ მსაჯმა, როგორც წესი, უნდა გამოიყენოს განიერი დიაგონალური სისტემა
   - თამაშის გვერდიდან ყურება აადვილებს თამაშის და მსაჯის „წამყვანი“ ასისტენტის ყოფნას მსაჯის მხედველობის არეში
   - მსაჯი საკმარისად ახლოს უნდა იყოს, რათა დაინახოს თამაში მასზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე
   - „ის, რისი დანახვაც საჭიროა“ - ყოველთვის არ არის უშუალოდ ბურთთან არსებული სივრცე. მსაჯმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე:
     - მოთამაშეთა შორის კონფრონტაციებს, რომლებიც არ ფლობენ ბურთს
     - შესაძლო დარღვევებს იმ ზონაში, საითაც არის მიმართული თამაში
     - დარღვევებს, რომლებიც მოხდა გადაცემის შესრულების შემდეგ



ადგილის შერჩევა მსაჯის ასისტენტებისა და მსაჯის დამატებითი ასისტენტებისათვის

მსაჯის ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს ბოლოდან მეორე მცველთან ან ბურთთან ერთ ხაზზე, თუ ის უფრო ახლოს იმყოფება კარის ხაზთან, ვიდრე ბოლოდან მეორე მცველი. მსაჯის ასისტენტი პირისახით ყოველთვის სათამაშო მოედნისკენ უნდა იყოს, სირბილის დროსაც კი. გვერდითი მოძრაობა გამოყენებული უნდა იქნას მოკლე დისტანციებისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრისას, რადგან უკეთეს ხედვის ხაზს აძლევს ასისტენტს.

მსაჯის დამატებითი ასისტენტის პოზიცია არის კარის ხაზის უკან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა კარის ხაზზე დგომა გადაწყვეტილების მისაღებად გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი სიტუაციებისას. მსაჯის დამატებით ასისტენტებს არა აქვთ უფლება შევიდნენ სათამაშო მოედანზე, გარდა განსაკუთრებული სიტუაციებისა.

2. ადგილის შერჩევა და გუნდური მუშაობა

კონსულტაცია

სიტუაციებში, როდესაც საჭიროა სადისციპლინო სანქციების გამოტანა, ვიზუალური კონტაქტი და მსაჯის ასისტენტის ძირითადი, ხელის ფარული სიგნალი მსაჯისთვის შესაძლოა საკმარისი იყოს. როდესაც საჭიროა უშუალო კონსულტაცია, მსაჯის ასისტენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოედნის სიღრმეში 2–3 მეტრით შესვლა. საუბრისას მსაჯი და მსაჯის ასისტენტი უნდა იმყოფებოდნენ პირისახით მოედნისკენ, რათა მათი საუბარი არ იყოს მოსმენილი ვინმეს მიერ და ხედავდნენ მოთამაშეებს და სათამაშო მოედანს.

კუთხური დარტყმა

მსაჯის ასისტენტის პოზიცია კუთხური დარტყმის დროს არის კუთხური ალმის უკან, კარის ხაზის გასწვრივ. თუმცა, მსაჯის ასისტენტმა არ უნდა შეუშალოს ხელი კუთხური დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს და უნდა შეამოწმოს, რომ ბურთი სწორად არის მოთავსებული კუთხურ ზონაში.



საჯარიმო/თავისუფალი დარტყმები

მსაჯის ასისტენტის პოზიცია საჯარიმო/თავისუფალი დარტყმების დროს უნდა იყოს ბოლოდან მეორე მცველთან ერთ ხაზზე – თამაშგარის ხაზის შესამოწმებლად. თუმცა, თუ ადგილი აქვს კარში პირდაპირ დარტყმას, მსაჯის ასისტენტი მზად უნდა იყოს გაჰყვეს ბურთს გვერდითი ხაზის გასწვრივ კუთხური ალმისკენ მოძრაობით.









გოლი გატანილია/გოლი არ არის გატანილი

თუ გოლი გატანილია და გადაწყვეტილება ეჭვს არ იწვევს, მსაჯმა და მსაჯის ასისტენტმა უნდა დაამყარონ ვიზუალური კონტაქტი და მსაჯის ასისტენტმა ალმის აწევის გარეშე სწრაფად უნდა გაირბინოს 25-30 მეტრი გვერდითი ხაზის გასწვრივ მოედნის შუა ხაზისკენ.

როდესაც გოლი გატანილია, თუმცა თითქოს ისე ჩანს, რომ ბურთი ჯერ კიდევ თამაშშია, მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა ასწიოს ალამი მსაჯის ყურადღების მისაპყრობად და შემდეგ გააგრძელოს გოლის ჩათვლის ჩვეულებრივი პროცედურა 25-30 მეტრის სწრაფი გარბენით გვერდითი ხაზის გასწვრივ მოედნის შუა ხაზისკენ.

იმ შემთხვევებში, როდესაც ბურთი მთლიანად არ გადაკვეთს კარის ხაზს და თამაში ჩვეულებრივ გრძელდება, ვინაიდან გოლი არ იქნა გატანილი, მსაჯმა უნდა დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯის ასისტენტთან და თუ საჭიროა, მისცეს თავშეკავებული/ფარული სიგნალი ხელით.



კარიდან დარტყმა

მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ბურთი კარის მოედანში. თუ ბურთი არასწორადაა მოთავსებული, მსაჯის ასისტენტი უნდა დარჩეს საკუთარ ადგილას, დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან და ასწიოს ალამი. როგორც კი ბურთი სწორად მოთავსდა კარის მოედანში, მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია თამაშგარის ხაზის გასაკონტროლებლად.

თუმცა, თუ არის მსაჯის დამატებითი ასისტენტი, მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია თამაშგარის ხაზზე, ხოლო მსაჯის დამატებითმა ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია კარის ხაზის და კარის მოედნის ხაზის გადაკვეთის ადგილას და შეამოწმოს, მოთავსებულია თუ არა ბურთი კარის მოედანში. თუ ბურთი არასწორადაა მოთავსებული, მსაჯის დამატებითმა ასისტენტმა უნდა მიაწოდოს ეს ინფორმაცია მსაჯს.



მეკარე ბურთს აგდებს თამაშში

მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია საჯარიმო მოედნის ხაზის გასწვრივ და შეამოწმოს, რომ მეკარე არ ეხება ბურთს ხელით საჯარიმო მოედნის გარეთ. მას შემდეგ, რაც მეკარე შეაგდებს ბურთს თამაშში, მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია თამაშგარის ხაზის გასაკონტროლებლად.



საწყისი დარტყმა

მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია ბოლოდან მეორე მცველთან ერთ ხაზზე.



დარტყმები 11 მ ნიშნულიდან

მსაჯის ერთი ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს კარის და კარის მოედნის ხაზების გადაკვეთის ადგილას. მსაჯის მეორე ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს ცენტრალურ წრეში მოთამაშეების გასაკონტროლებლად. თუ არიან მსაჯის დამატებითი ასისტენტები, მათ უნდა დაიკავონ პოზიცია კარის და კარის მოედნის ხაზების გადაკვეთის წერტილებში, შესაბამისად კარისგან მარჯვნივ და მარცხნივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოყენებულია გატანილი გოლის განსაზღვრის ტექნოლოგია, რომლის დროსაც მხოლოდ ერთი დამატებითი ასისტენტი არის საჭირო. მსაჯის მეორე დამატებითმა ასისტენტმა და მსაჯის პირველმა ასისტენტმა უნდა გააკონტროლონ მოთამაშეები ცენტრალურ წრეში, ხოლო მსაჯის მეორე ასისტენტმა და სათადარიგო მსაჯმა უნდა გააკონტროლონ ტექნიკური ზონები.





11 მ დარტყმა

მსაჯის ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს კარის და საჯარიმო მოედნის ხაზების გადაკვეთის ადგილას.



თუ არიან მსაჯის დამატებითი ასისტენტები, მსაჯის დამატებითი ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს კარის და კარის მოედნის ხაზების გადაკვეთის ადგილას, ხოლო მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია 11 მ ნიშნულთან ერთ ხაზზე (რომელიც წარმოადგენს თამაშგარის ხაზს).



მასობრივი კონფრონტაცია

მასობრივი კონფრონტაციების დროს, მსაჯის უახლოეს ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა მსაჯის დასახმარებლად. მსაჯის მეორე ასისტენტი უნდა დააკვირდეს და ჩაიწეროს ინციდენტის დეტალები. სათადარიგო მსაჯი უნდა დარჩეს ტექნიკური ზონების მახლობლად.

სავალდებულო მანძილი

როდესაც საჯარიმო დარტყმა დანიშნულია მსაჯის ასისტენტთან ახლოს, მსაჯის ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა (როგორც წესი, მსაჯის მოთხოვნით) მსაჯის დასახმარებლად, რათა უზრუნველყოს, რომ მოთამაშეები იმყოფებიან ბურთიდან 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე. ამ შემთხვევაში, მსაჯი უნდა დაელოდოს, ვიდრე მსაჯის ასისტენტი დაბრუნდება საკუთარ პოზიციაზე თამაშის განახლებამდე.

შეცვლა

თუ არ არის სათადარიგო მსაჯი, მსაჯის ასისტენტი გადაადგილდება შუა ხაზისკენ შეცვლის პროცედურაში მსაჯის დასახმარებლად; მსაჯი უნდა დაელოდოს, ვიდრე მსაჯის ასისტენტი დაბრუნდება საკუთარ პოზიციაზე თამაშის განახლებამდე.

თუ არის სათადარიგო მსაჯი, მსაჯის ასისტენტისთვის არ არის სავალდებულო გადაადგილდეს შუა ხაზისკენ, ვინაიდან შეცვლის პროცედურას ახორციელებს სათადარიგო მსაჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთდროულად ხდება რამდენიმე შეცვლა; ამ შემთხვევაში მსაჯის ასისტენტი გადაადგილდება შუა ხაზისკენ სათადარიგო მსაჯის დასახმარებლად.



სხეულის ენა, ურთიერთქმედება და სასტვენი

1. **მსაჯები**

სხეულის ენა

სხეულის ენა არის ინსტრუმენტი, რომელსაც მსაჯი იყენებს:

- მატჩის გასაკონტროლებლად
- უფლებამოსილების და თავდაჭერილობის დემონსტრირებისთვის

სხეულის ენა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებას.

სიგნალები

იხილეთ სიგნალების დიაგრამები მე-5 წესში

სასტვენი

სასტვენი საჭიროა:

- თამაშის დასაწყებად (ძირითადი და დამატებითი დროის პირველი და მეორე ტაიმები), გატანილი გოლის შემდეგ
- თამაშის შესაჩერებლად:
  - საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმისთვის
  - თუ მატჩი არის დროებით შეწყვეტილი ან შეწყვეტილი
  - ყოველი ტაიმის ბოლოს
- თამაშის განახლებისთვის:
  - საჯარიმო/თავისუფალი დარტყმებისას, როდესაც საჭიროა სავალდებულო მანძილის დაცვა
  - დარტყმებისას 11 მ ნიშნულიდან
- თამაშის განახლებისთვის მას შემდეგ, რაც ის შეჩერებული იქნა:
  - გაფრთხილებისთვის ან გაძევებისთვის
  - ტრავმის გამო
  - შეცვლისთვის

სასტვენი არ არის საჭირო:

- თამაშის შესაჩერებლად აშკარა:
  - კარიდან დარტყმისას, კუთხური დარტყმისას, ბურთის შემოგდებისას ან გატანილი გოლისას
- თამაშის განახლებისთვის:
  - უმეტესი საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას, კარიდან დარტყმისას, კუთხური დარტყმისას, ბურთის შემოგდების ან „სადავო“ ბურთისას

როდესაც სასტვენი ზედმეტად ხშირად/აუცილებლობის გარეშე არის გამოყენებული, საჭიროების შემთხვევაში მას ნაკლები ეფექტი ექნება.

როდესაც მსაჯს სურს, რომ მოთამაშე/მოთამაშეები დაელოდონ სასტვენს თამაშის განახლებამდე (მაგ.:, როდესაც საჭიროა დამცველი მოთამაშეების დაყენება 9.15 მ მანძილზე საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმებისას), მსაჯმა მკაფიოდ უნდა შეატყობინოს თავდამსხმელ მოთამაშეს/მოთამაშეებს, რომ ისინი უნდა დაელოდონ სასტვენს.

თუ მსაჯი შეცდომით მისცემს სასტვენს და თამაში ჩერდება, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთით.

2. **მსაჯის ასისტენტები**

ბიპ სიგნალი

ალმებზე ბიპ სიგნალის სისტემა არის დამატებითი სასიგნალო სისტემა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მსაჯის ყურადღების მისაპყრობად. ბიპ სიგნალის გამოყენება შეიძლება სასარგებლო იქნას შემდეგ სიტუაციებში:

- თამაშგარე
- დარღვევები (მსაჯის მხედველობის არის მიღმა)
- ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან, კუთხური დარტყმა, კარიდან დარტყმა ან გატანილი გოლი (რთული გადაწყვეტილებები)

კომუნიკაციის ელექტრონული სისტემა

როდესაც გამოყენებულია კომუნიკაციის ელექტრონული სისტემა, მსაჯი მატჩის წინ ინსტრუქციას მისცემს მსაჯის ასისტენტს, თუ როდის შეიძლება იყოს შესაფერისი საკომუნიკაციო სისტემის გამოყენება ფიზიკურ სიგნალთან ერთად, ან მის ნაცვლად.

ალმით მუშაობის ტექნიკა

მსაჯის ასისტენტის ალამი ყოველთვის გაშლილი და ხილული უნდა იყოს მსაჯისთვის. ეს როგორც წესი, გულისხმობს, რომ ასისტენტს ალამი უჭირავს მსაჯისგან უახლოეს ხელში. სიგნალის მიცემისას, მსაჯის ასისტენტი ჩერდება, პირისახით შეტრიალდება სათამაშო მოედნისკენ, ამყარებს ვიზუალურ კონტაქტს მსაჯთან და ასწევს ალამს მკაფიო მოძრაობით (არა ნაჩქარევად ან გადაჭარბებულად). ალამი უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ხელის ბუნებრივი გაგრძელება. მსაჯის ასისტენტმა ალამი უნდა ასწიოს იმ ხელით, რომელიც მიმდინარე სიტუაციაში გამოყენებული იქნება შემდგომი სიგნალისთვის. თუ ვითარება იცვლება და შემდგომი სიგნალისთვის მეორე ხელი უნდა იქნას გამოყენებული, მსაჯის ასისტენტმა ალამი მეორე ხელში უნდა გადაიტანოს წელს ქვევით მოძრაობით. თუ მსაჯის ასისტენტი ანიშნებს ბურთის თამაშიდან გასვლას, მან სიგნალის მიცემა უნდა გააგრძელოს, ვიდრე მსაჯი არ შეამჩნევს მას.

თუ მსაჯის ასისტენტი ანიშნებს, რომ მოხდა დარღვევა, რომელიც ისჯება გაძევებით და ის არ იქნა დაუყოვნებლივ დანახული:

- თუ თამაში შეჩერებული იქნა, განახლების მეთოდი შესაძლოა შეცვლილი იყოს წესების შესაბამისად (საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა, 11 მ დარტყმა და ა.შ.)
- თუ თამაში განახლდა, მსაჯს ჯერ კიდევ შეუძლია სადისციპლინო სანქციის გამოტანა, მარგამ არ შეუძლია დარღვევის დასჯა საჯარიმო/თავისუფალი ან 11 მ დარტყმით

ჟესტები

როგორც წესი, მსაჯის ასისტენტებმა არ უნდა გამოიყენონ ხელის აშკარა სიგნალები. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში თავშეკავებული, ფარული სიგნალი ხელით შესაძლოა დაეხმაროს მსაჯს. ხელით ნაჩვენებ სიგნალს მკაფიო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და შეთანხმებული უნდა იყოს მატჩის წინ მსაჯების თათბირზე.

სიგნალები

იხილეთ სიგნალების დიაგრამა მე-6 წესში

კუთხური დარტყმა/კარიდან დარტყმა

როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს, მსაჯის ასისტენტი ასწევს ალამს მარჯვენა ხელით (მხედველობის უკეთესი არე), რათა აცნობოს მსაჯს, რომ ბურთი თამაშიდან გავიდა და შემდეგ, თუ ეს მოხდა:

- მსაჯის ასისტენტის მახლობლად – აჩვენოს კარიდან დარტყმა ან კუთხური დარტყმა
- შორს მსაჯის ასისტენტისგან – დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან და მიჰყვეს მის გადაწყვეტილებას

როდესაც ბურთი აშკარად გადაკვეთს კარის ხაზს, არ არის სჭირო, რომ მსაჯის ასისტენტმა ასწიოს ალამი იმის საჩვენებლად, რომ ბურთმა დატოვა სათამაშო მოედანი. თუ კარიდან დარტყმის ან კუთხური დარტყმის გადაწყვეტილება აშკარაა, არ არის აუცილებელი სიგნალის ჩვენება, მით უმეტეს, თუ მსაჯი იძლევა ნიშანს.

წესების დარღვევები

მსაჯის ასისტენტმა ალამი უნდა ასწიოს, როდესაც წესი ირღვევა ან უდისციპლინო საქციელს ადგილი აქვს უშუალოდ ასისტენტთან ახლოს ან მსაჯის მხედველობის არის მიღმა. ყველა სხვა სიტუაციაში, მსაჯის ასისტენტი უნდა დაელოდოს და თუ საჭიროა, შესთავაზოს მსაჯს საკუთარი აზრი და შემდეგ აცნობოს მსაჯს, თუ რა დაინახა და მოისმინა მან და რომელი მოთამაშეები მონაწილეობდნენ.

ვიდრე დარღვევის გამო მისცემს სიგნალს, მსაჯის ასისტენტმა უნდა განსაზღვროს, რომ:

- დარღვევა მოხდა მსაჯის მხედველობის არის მიღმა ან მსაჯის მხედველობის არე იყო გადაფარული
- მსაჯი არ გამოიყენებდა უპირატესობას

როდესაც ადგილი აქვს დარღვევას, რომელიც საჭიროებს სიგნალს მსაჯის ასისტენტისაგან, მსაჯის ასისტენტმა უნდა:

- ასწიოს ალამი იმავე ხელით, რომლითაც იგი დაასრულებდა სიგნალს – ეს აძლევს მსაჯს იმის მკვეთრ ნიშანს, თუ ვის სასარგებლოდ უნდა დაინიშნოს საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა
- დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან
- ოდნავ გააქნიოს ალამი წინ და უკან (გადაჭარბებული ან აგრესიული მოძრაობის გარეშე)

მსაჯის ასისტენტმა უნდა გამოიყენოს „დაელოდე და შეხედე“ ტექნიკა, იმ მიზნით, რომ თამაში გაგრძელდეს და არ ასწიოს ალამი, როდესაც ის გუნდი რომლის წინააღმდეგაც მოხდა დარღვევა, მიიღებს სარგებელს უპირატესობისაგან; ამგვარად, მსაჯის ასისტენტისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ვიზუალური კონტაქტის დამყარება მსაჯთან.

წესების დარღვევები საჯარიმო მოედანში

როდესაც მცველი არღვევს წესს საჯარიმო მოედანში მსაჯის მხედველობის არის მიღმა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება მსაჯის ასისტენტის სიახლოვეს, მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან, რათა დაინახოს, თუ სად იმყოფება მსაჯი და რა მოქმედებას ახორციელებს. თუ

მსაჯი არ ახორციელებს რაიმე მოქმედებებს, მსაჯის ასისტენტმა ალმით უნდა მისცეს სიგნალი, გამოიყენოს ბიპ სიგნალი და შემდეგ აშკარად გადაადგილდეს გვერდითი ხაზის გასწვრივ კუთხური ალმისკენ.

წესების დარღვევები საჯარიმო მოედნის გარეთ

როდესაც მცველი არღვევს წესს საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა (საჯარიმო მოედნის საზღვრებთან ახლოს), მსაჯის ასისტენტმა ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან, რათა დაინახოს, თუ სად იმყოფება მსაჯი და რა მოქმედებას ახორციელებს და თუ საჭიროა, ალმით მისცეს სიგნალი. კონტრშეტევების დროს, მსაჯის ასისტენტმა უნდა შეძლოს შემდეგი ინფორმაციის მიიწოდება მსაჯისთვის: ჩადენილი იყო თუ არა დარღვევა, სად მოხდა დარღვევა (საჯარიმო მოედანში თუ მის გარეთ) და რა სადისციპლინო სანქციები არის მისაღები. მსაჯის ასისტენტი აშკარად უნდა გადაადგილდეს გვერდითი ხაზის გასწვრივ შუა ხაზისკენ, რათა ანიშნოს, რომ დარღვევას ადგილი ჰქონდა საჯარიმო მოედნის გარეთ.

გოლი გატანილია - გოლი არ არის გატანილი

როდესაც აშკარაა, რომ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი კარში, მსაჯის ასისტენტმა ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან რაიმე სხვა დამატებითი სიგნალის მიცემის გარეშე.

როდესაც გოლი გატანილია, მაგრამ არ არის ნათელი, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა ასწიოს ალამი მსაჯის ყურადღების მიპყრობის მიზნით და შემდეგ დაადასტუროს გოლის გატანა.

თამაშგარე

პირველი მოქმედება, რასაც მსაჯის ასისტენტი ახორციელებს თამაშგარე მდგომარეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, არის ალმის აწევა (მარჯვენა ხელის გამოყენებით, რაც აძლევს მსაჯის ასისტენტს ხედვის უკეთეს ხაზს) და შემდეგ, თუ მსაჯი აჩერებს თამაშს, ალმის საშუალებით ანიშნებს, თუ სათამაშო მოედნის რომელ ნაწილში მოხდა დარღვევა. თუ მსაჯი დაუყოვნებლივ ვერ დაინახავს აწეულ ალამს, მსაჯის ასისტენტმა უნდა გააგრძელოს სიგნალის მიცემა, ვიდრე ის არ იქნება დანახული ან ბურთი ნათლად არ იქნება თავდამცველი გუნდის კონტროლის ქვეშ.

11 მ დარტყმა

თუ მეკარე ბურთის დარტყმამდე აშკარად ტოვებს კარის ხაზს და გოლი არ არის გატანილი, მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი.

შეცვლა

მას შემდეგ, რაც მსაჯს აცნობებენ (სათადარიგო მსაჯი ან გუნდის ოფიციალური პირი) მოთხოვნილი შეცვლის შესახებ, მსაჯის ასისტენტმა უნდა ანიშნოს მსაჯს ამის შესახებ თამაშის შემდგომი შეჩერებისას.

ბურთის შემოგდება

როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს გვერდით ხაზს:

- მსაჯის ასისტენტთან ახლოს – პირდაპირი სიგნალით ნაჩვენები უნდა იქნას ბურთის შემოგდების მიმართულება
- შორს მსაჯის ასისტენტისგან და გადაწყვეტილება ნათელია – მსაჯის ასისტენტმა უნდა მისცეს პირდაპირი სიგნალი ბურთის შემოგდების მიმართულების საჩვენებლად
- შორს მსაჯის ასისტენტისგან და მსაჯის ასისტენტი არ არის დარწმუნებული ბურთის შემოგდების მიმართულებაში – მსაჯის ასისტენტმა ალმის აწევით უნდა ანიშნოს მსაჯს, რომ ბურთი თამაშიდან გასულია, დაამყაროს მსაჯთან ვიზუალური კონტაქტი და მიჰყვეს მსაჯის სიგნალს

3. მსაჯის დამატებითი ასისტენტები

მსაჯის დამატებითი ასისტენტები მსაჯთან ურთიერთქმედებისთვის იყენებენ რადიო საკომუნიკაციო სისტემას (და არა ალმებს). თუ რადიო საკომუნიკაციო სისტემა აღარ მუშაობს, მსაჯის დამატებითი ასისტენტები გამოიყენებენ ალმების ელექტრონულ ფლაგშტოკებს ბიპ სიგნალით. როგორც წესი, მსაჯის დამატებითი ასისტენტები არ იყენებენ ხელის აშკარა სიგნალებს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ხელის თავშეკავებულმა/ფარულმა სიგნალმა შესაძლოა მსაჯს მისცეს ღირებული მხარდაჭერა. ხელის სიგნალს უნდა ჰქონდეს ნათელი მნიშვნელობა და ამგვარი სიგნალები შეთანხმებული უნდა იყოს მატჩის წინ თათბირზე.

როდესაც მსაჯის დამატებითი ასისტენტი განსაზღვრავს, რომ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი კარში:

- დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მსაჯს საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით, რომ გატანილი გოლი უნდა ჩაითვალოს
- კარის ხაზის მართობული და მოედნის ცენტრისკენ მიმართული მარცხენა ხელით აჩვენოს ნათელი სიგნალი (ასევე საჭიროა მარცხენა ხელით დაჭერილი ფლაგშტოკის გამოყენება). ეს სიგნალი არ არის საჭირო, როდესაც ბურთი ძალიან აშკარად გადაკვეთს კარის ხაზს

საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს მსაჯი.

სხვა რჩევები

1. უპირატესობა

მსაჯს შეუძლია უპირატესობის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დარღვევას, მაგრამ უპირატესობის გამოყენების ან თამაშის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- დარღვევის სიმძიმე – თუ დარღვევა იმსახურებს გაძვებას, მსაჯმა უნდა შეაჩეროს თამაში და გააძევოს მოთამაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა
- დარღვევის ადგილი – რაც უფრო ახლოა მეტოქის კართან, მით უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს უპირატესობა
- დაუყოვნებლივი, იმედისმომცემი შეტევის შესაძლებლობა
- მატჩის ატმოსფერო

2. დაკარგული დროის დამატება

ხშირი პაუზები თამაშში სრულიად ბუნებრივია (მაგ.: ბურთის შემოგდებები გვერდითი ხაზიდან, კარიდან დარტყმები). დრო დამატებული უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაყოვნებები გადაჭარბებულია.

3. მეტოქის შეკავება

მსაჯებს მოეთხოვებათ დროულად ჩაერიონ და მტკიცედ იმოქმედონ მეტოქის შეკავებისას, განსაკუთრებით საჯარიმო მოედანში, კუთხური და საჯარიმო/თავისუფალი დარტყმების დროს. ამ სიტუაციებთან გამკლავებისას მსაჯმა:

- სიტყვიერად უნდა გააფრთხილოს ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც აკავებს მეტოქეს ბურთის თამაშში შესვლამდე
- უნდა გააფრთხილოს მოთამაშე, თუ ის აგრძელებს შეკავებას ბურთის თამაშში შესვლამდე
- უნდა დანიშნოს საჯარიმო ან 11 მ დარტყმა და გააფრთხილოს მოთამაშე, თუ ეს ხდება ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ

4. თამაშგარე



თავდამსხმელი იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), ხელს არ უშლის მეტოქეს, ეხება ბურთს. მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი, როდესაც მოთამაშე შეეხება ბურთს.



თავდამსხმელი იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), ხელს არ უშლის მეტოქეს, არ ეხება ბურთს. მოთამაშე არ უნდა დაისაჯოს, ვინაიდან არ შეხებია ბურთს.



თავდამსხმელი, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), გარბის ბურთისკენ, ხოლო მისი თანაგუნდელი სწორი მდგომარეობიდან (B) აგრეთვე გარბის ბურთისკენ და თამაშობს ბურთზე. (A) არ შეიძლება დაისაჯოს, ვინაიდან იგი არ შეხებია ბურთს.



მოთამაშე, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), შეიძლება დასჯილი იყოს, ვიდრე ითამაშებს ან შეეხება ბურთს, თუ მსაჯის აზრით, სხვა რომელიმე მის თანაგუნდელს არა აქვს შანსი ითამაშოს ბურთზე სწორი მდგომარეობიდან.



თავდამსხმელი, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (1), გარბის ბურთისკენ და არ ეხება ბურთს. ასისტენტმა უნდა ანიშნოს „კარიდან დარტყმა“.



თავდამსხმელი, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), აშკარად ფარავს მეკარის ხედვის ხაზს. ის უნდა დაისაჯოს, ვინაიდან ხელს უშლის მეტოქეს ითამაშოს ან ჰქონდეს შესაძლებლობა ითამაშოს ბურთზე.



თავდამსხმელი, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), არ ფარავს აშკარად მეკარის ხედვის ხაზს ან არ შედის მეტოქესთან ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში (A), გარბის ბურთისკენ, მაგრამ ხელს არ უშლის მეტოქეს ბურთზე თამაშში ან ჰქონდეს ბურთზე თამაშის შესაძლებლობა. თავდამსხმელი (A) არ შედის მეტოქესთან (B) ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, იმყოფება რა თამაშგარე მდგომარეობაში (A), გარბის ბურთისკენ და მეტოქესთან (B) ორთაბრძოლაში შესვლით ხელს უშლის მას ითამაშოს ბურთზე ან ჰქონდეს ბურთზე თამაშის შესაძლებლობა. თავდამსხმელი (A) შედის მეტოქესთან (B) ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, იმყოფება რა თამაშგარე მდგომარეობაში (B), ისჯება ბურთზე თამაშის ან შეხებისთვის, რომელიც მისი მიმართულებით აისხლიტა მეკარიდან ან მეკარის მიერ გამიზნულად კარის გადარჩენისას, ვინაიდან თანაგუნდელის მიერ ბოლოს ბურთზე თამაშის ან შეხების მომენტში იგი იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.



თავდამსხმელი, იმყოფება რა თამაშგარე მდგომარეობაში (B), ისჯება ბურთზე თამაშის ან შეხებისთვის, რომელიც მისი მიმართულებით აისხლიტა თავდამცველი გუნდის მოთამაშის მიერ (C) კარის გამიზნულად გადარჩენისას, ვინაიდან თანაგუნდელის მიერ ბოლოს ბურთზე თამაშის ან შეხების მომენტში იგი იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.



თანაგუნდელის (A) მიერ დარტყმული ბურთი აისხლიტა მეკარიდან, მოთამაშე (B) იმყოფება სწორ მდგომარეობაში და თამაშობს ბურთზე, მოთამაშე (C), რომელიც იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, არ ისჯება, ვინაიდან არ მოიპოვებს უპირატესობას ამ მდგომარეობაში ყოფნით, რადგან იგი არ შეხებია ბურთს.



მოთამაშის (A) მიერ კარში დარტყმული ბურთი აიხლიტება მეტოქისგან და მისდის მის თანაგუნდელს (B), რომელიც დაისჯება ბურთზე თამაშის ან შეხებისთვის, ვინაიდან მანამდე იგი იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.



თავდამსხმელი (C), იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში და არ უშლის ხელს მეტოქეს, როდესაც მისი თანაგუნდელი (A) აძლევს პასს სწორ მდგომარეობაში მყოფ მოთამაშეს (B1), რომელიც გარბის მეტოქის კარის მიმართულებით და აწოდებს ბურთს (B2) თანაგუნდელს (C). თავდამსხმელი (C) არ შეიძლება იყოს დასჯილი, ვინაიდან როდესაც ბურთი მისკენ იქნა გადაწოდებული, იგი იმყოფებოდა სწორ მდგომარეობაში.

5. ტრავმები

მოთამაშეთა უსაფრთხოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, და მსაჯმა ხელი უნდა შეუწყოს სამედიცინო პერსონალის მუშაობას, განსაკუთრებით მძიმე ტრავმის და/ან თავის ტრავმის შეფასების დროს. ეს მოიცავს შეფასების/მკურნალობის შეთანხმებული პროტოკოლების ხელშეწყობას და პატივისცემას.

6. სამედიცინო დახმარება/შეფასება გაფრთხილებით/გაძევებით დასჯადი დარღვევების შემდეგ

წარსულში, ტრავმირებულ მოთამაშეს, რომელიც იღებდა სამედიცინო დახმარებას სათამაშო მოედანზე, უნდა დაეტოვებინა მოედანი თამაშის განახლებამდე. ეს შესაძლოა არასამართლიანი იყოს, ვინაიდან მეტოქე გუნდი, რომლის მიზეზით დაშავდა მოთამაშე, იღებს რიცხობრივი უპირატესობას თამაშის განახლების შემდეგ.

თუმცა, ეს მოთხოვნა შემოღებული იყო იმიტომ, რომ მოთამაშეები ხშირად არასპორტულად იყენებდნენ ტრავმას, რათა დაეყოვნებინათ თამაშის განახლება ტაქტიკური მიზნებით.

როგორც ბალანსი ამ ორ არასამართლიან სიტუაციას შორის, IFAB-მა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ფიზიკური დარღვევებისას, როდესაც მეტოქე გაფრთხილებული ან გაძევებული იყო, ტრავმირებულ მოთამაშეს შეიძლება სწრაფად ჩაუტარდეს შემოწმება/მკურნალობა და შემდეგ დარჩეს სათამაშო მოედანზე.

როგორც წესი, შეფერხება არ უნდა იყოს იმაზე მეტი, როგორც ეს ამჟამად ხდება, როდესაც სამედიცინო პერსონალი შედის მოედანზე ტრავმის შესაფასებლად. განსხვავება იმაშია, რომ ადრე მსაჯი ითხოვდა სამედიცინო პერსონალის და მოთამაშის სათამაშო მოედნიდან გასვლას, თუმცა ამჟამად სამედიცინო პერსონალი უნდა გავიდეს მოედნიდან, ხოლო მოთამაშეს შეუძლია მოედანზე დარჩენა.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრავმირებული მოთამაშე არ იყენებს/აჭიანურებს პაუზას არასამართლიანად, მსაჯებს ეძლევათ რჩევა:

- გააცნობიერონ მატჩში მომხდარი სხვადასხვა სიტუაციები და განახლების დაყოვნების შესაძლო ტაქტიკური მიზეზები
- მიაწოდონ ინფორმაცია დაშავებულ მოთამაშეს, რომ თუ საჭიროა სამედიცინო დახმარება, ის უნდა იყოს სწრაფი
- მისცენ სიგნალი სამედიცინო პერსონალს (და არა მზიდავებს) და თუ შესაძლებელია, შეახსენონ მათ დახმარების სწრაფად გაწევის აუცილებლობა

როდესაც მსაჯი გადაწყვეტს, რომ თამაში უნდა განახლდეს:

- სამედიცინო პერსონალი გადის და მოთამაშე რჩება მოედანზე, ან
- მოთამაშე გადის მოედნიდან შემდგომი შემოწმების/სამედიცინო დახმარების მიღების მიზნით (შესაძლოა საჭირო იყოს ნიშანი მზიდავებისთვის)

როგორც ძირითადი რეკომენდაცია, განახლება არ უნდა დაყოვნდეს 20-25 წამზე მეტად იმ მომენტიდან, როდესაც ყველა მზად არის თამაშის განახლებისთვის, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ადგილი აქვს სერიოზულ ტრავმას და/ან უნდა შეფასდეს თავის ტრავმა.

მსაჯმა სრულად უნდა დაამატოს მატჩის შეჩერებაზე დაკარგული დრო.

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD

FA WALES

FIFA®

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD



IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD